ეროვნული ბიბლიოთეკა



GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №255 (3296) ხუთშაბათი, 23 სექტემბერი, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

გულისთქმა

## ყველამ უნდა წაიკითხოს!

ძნელი წარმოსადგენია საქართველოში ცხოვრობდე და შრომობდე და არ გახარებდეს გარე და შინა მტრისგან დაღლილ-შეწუხებული ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე. გაზეთების მცირე ნაწილმა ერთ-ორ წინადადებაში ჩატია ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა, აბსოლუტურმა უმრავლესობამ კი საერთოდ გვერდი აუარა მას, აქაოდა, მერე რა მოხდაო!

არადა, ძალზე დიდი რამ მოხდა: პატარა საქართველოს დიდი ხელმძღვანელი, დღევანდელი ჭრელი სამყაროს პოლიტიკური ელიტის წინაშე წარსდგა ღრმად ეროვნული, საერთაშორისო რეზონანსის მქონე წინადადებებით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უცილობელი გარდაქმნის მოთხოვნით. ამის უფლება ბატონ ედუარდ შევარდნაძეს დიალაც აქვს და მართლაც ბრმა, ყრუ უნდა იყო, ეს ვერ დაინახო.

იხ. მე-2 გვ.

პრობლემა

## ეს მარტო ჩვენ კი არა, მომავალ თაობებს სჭირდება!

ისტორია ყველაზე მეტად იმ თაობის ნაღვაწს აჩენს, რომელიც თავისი გონიერებით მოერგება ეპოქის პრობლემებს და სამომავლოდ მრავალ ნიშნეულს დატოვებს. ჩვენი ყოფიერებისა და კულტურის მაღალ რეესტრში წარმოჩენა თანამედროვეობის გონიერების აღიარებაა. დღეს იწყება დიდი მსოფლიო დაინტერესება ქართული კულტურის ფენომენისადმი, დროა მოვიცალოთ და თვალსაჩინო გავხადოთ ჩვენი სულმნათი მამულიშვილების ცხოვრებისა და მოღვაწეობის თავისებურად საინტერესო და მრავალფეროვანი წარსული.

ასეთი ადამიანები კი, რომლებიც საკაცობრიო სოლიდარობის სიმბოლოდ აღიქმებიან, თავის გამოსაჩენად, მართლაც, გვყვანან საქართველოში.

უპირველესია ის, რომ თბილისში არა გვაქვს დიდი შოთა რუსთაველის სახლი.

თბილისში არა გვაქვს არც აკაკი წერეთლისა და არც ვაჟა-ფშაველას სახლები!

იხ. მე-2 გვ.

გვწერენ

## მოხეულ ტალონებს 20 თეთრი ურჩევნიათ

ომის ვეტერანებისადმი მეტად მნიშვნელოვან საკითხზე გწერთ. გთხოვთ ყურადღებას. ჩვენი დღევანდელი ყოფის ნაკლს და გასაჭირს ვინ არ განიცდის, მაგრამ ის, რის შესახებაც მსურს მოგითხრობთ, სულ სხვაა...

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს კანონით აქვთ მიკუთვნებული უფასოდ მგზავრობის უფლება, მაგრამ რა გამოვიდა?

სახელმწიფო ტრანსპორტით, ეს იქნება ტროლეიბუსი თუ ავტობუსი, მგზავრობისას მძღოლების ლანძღვის ობიექტი ვხდებით. საზღვარი არა აქვს მათ უპატივცემლობას, ბევრჯერ — უტიფრობასაც.

იხ. მე-2 გვ.

განცხადება

## დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარება უკანონოა

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი, ძებნილი მურმან ომანიძე 1999 წლის ოქტომბერში პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ მისი დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარება შეუძლებელია, რადგან აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დეპუტატობის კანდიდატი ბოლო ორი წლის განმავლობაში უნდა ცხოვრობდეს საქართველოში ან აღრიცხვაზე იყოს აყვანილი საქართველოს რომელიმე საკონსულოში.

**მურმან ომანიძეს ბრალი ედება მძიმე დანაშაულობებში, კერძოდ, კონტრაბანდასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებით სხვისი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებაში.**

იხ. მე-2 გვ.

ვიზიტი

# „აზერბაიჯანს აქვს დიდი ნავთობი, სომხეთს — დიდი დიასპორა, საქართველოს კი ჰყავს შევარდნაძე“, — ამბობენ ამერიკელები

ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი. (საქინფორმის სპეც. კორესპონდენტები მაია ალუდაური, ციური ბაქრაძე).

საქართველო — ახალი დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფო, რეფორმისტული და მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველაზე დინამიურად განვითარებადი ქვეყანა, საქართველო — კაცობრიობის ყველაზე მაღალი იდეალების ერთგული, რომელიც ესწრაფვის სწორედ ისეთი საზოგადოების შექმნას, რომელიც განუხრელად დაიცავს ადამიანის უფლებებს და ჭეშმარიტად სამართლებრივი იქნება, — ასეთად იცნობენ და ამიტომაც აღიარებენ მას ამერიკელები, ყოველ შემთხვევაში, მათი პოლიტიკასთან დაახლოებული ნაწილი. აქ ისიც ჩვეულებრივი ამბავია, რომ ყველა ეს დადებითი ტენდენცია უაპელაციოდ უკავშირდება ქვეყნის ლიდერის ედუარდ შევარდნაძის სახელს. სტრატეგიულმა ინტერესებმა სწორედ აქ, ამერიკის პოლიტიკურ წრეებში აქცია სამხრეთ კავკასია უაღრესად პოპულარულ თემად და სწორედ აქ იშვა ასეთი მოსწრებული ფრაზა რეგიონის ქვეყნების სიმდიდრეების შესახებ: „აზერბაიჯანს აქვს დიდი ნავთობი, სომხეთს — დიდი დიასპორა, საქართველოს კი ჰყავს შევარდნაძე“.

ამერიკაში ვიზიტის განმავლობაში გამართულ ყველა საქმიან შეხვედრაზე მკაფიოდ არის გამოხატული ეს განწყობილება. იგივე ითქმის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზეც, რომლებმაც შემთხვევა არ გაუშვეს ხელიდან, რათა გაეროში ედუარდ შევარდნაძის გამოსვლისას მოესმინათ მისი აზრი არა მარტო საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, არამედ, (და უფრო მეტადაც), მსოფლიოს მომავალი მოწყობისა და მასში ცალკეული ქვეყნების ბედისადმი საერთაშორისო თანამეგობრობის პასუხისმგებლობის შესახებ. უფრო რეალურად კი, ბუნებრივია, საქართველოს მიმართ ინტერესის ხარისხი იქ იკვეთება, სადაც პოლიტიკოსები დიდი პოლიტიკის გადასახედიდან აანალიზებენ და აფასებენ მის მიერ განვლილ გზასა და მომავლის პერსპექტივას.

„რეფორმები და დემოკრატია საქართველოში: ხედვა დასავლეთისაკენ“ — ასეთი იყო 21 სექტემბერის შეხვედრ.-დიალოგის თემა, რომელიც გაიმართა ევრაზიის ჯგუფისა და ედუარდ შევარდნაძის სახელობის დემოკრატიისა და უშიშროების ფონდის ეგიდით. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, ქალბატონი ნანული შევარდნაძე და საქართველოს დელეგაცია.



საქართველს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი.

ევრაზიის ჯგუფი შეიქმნა 1997 წელს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებსა და ევრაზიაში მათს მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთგაგების, თანამშრომლობის განმტკიცების, მათი განვითარებისა და ინვესტირების მიზნით. ჯგუფის ამოცანა ის არის, რომ დასავლელ ინვესტორებს გააცნოს ევრაზიის რეგიონში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები, მეორე მხრივ, ევრაზიის პოლიტიკისა და საქმიანი წრეების ლიდერები მჭიდროდ დააახლოვოს დასავლელ პარტნიორებთან.

რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძის სახელობის დემოკრატიისა და უშიშროების ფონდს, იგი ის დამაკავშირებელი რგოლია, რომლის მეშვეობითაც ევრაზიის ჯგუფი ახორციელებს საქართველოსთვის შემუშავებულ პროგრამებს ეკონომიკის, სამართლის, მეცნიერებისა და მედიცინის სფეროებში. გარდა ამისა, ფონდი მიზნად ისახავს ამერიკის საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას საქართველოსთვის ისეთი საარსებო მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით, როგორიც არის კონფლიქტების მოწესრიგება, მის ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების უსაფრთხოება, სასაზღვრო და საბაჟო კონტროლი, ტერორიზმი, აგრესიული სეპარატიზმი, რეგიონული თანამშრომლობის დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფა.

ფონდისა და ევრაზიის ჯგუფის მიერ მოწყობილ შეხვედრაზე ნათლად გამოჩნდა, რომ ამ მთავარი მიმართულებებით მათმა მუშაობამ გარკვეული ნაყოფი გამოიღო უკვე თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ დაინტერესებული საზოგადოების გარკვეული ნაწილი საკმაოდ კარგად არის ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე პროცესების თაობაზე, ამასთან, არა განყენებულად, არამედ რეგიონული და საერთაშორისო ეითარების თვალსაზრისითაც.



საქართველს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და აშშ სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი.

იხ. მე-2 გვ.

საზღვარი

## საქართველო დადგენილების სრულ ტექსტს თხოულობს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არ აკმაყოფილებს სამშაბათს რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყებისგან მიღებული ნოტა საქართველოსთან და აზერბაიჯანთან რუსეთის საზღვარზე გამშვების რეჟიმის შეცვლის შესახებ.

როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მერაბ ანთაძემ, რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ნოტა ეხებოდა 9 სექტემბერს რუსეთის მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებას, რომლის თანახმად ძალა ეკარგება 1994 წელს მიღებულ დოკუმენტს საქართველოსთან და აზერბაიჯანთან რუსეთის საზღვრის გადაკვეთაზე შეზღუდვების შესახებ.

ანთაძის თქმით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მიღებულ ნოტაში არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ შეზღუდვების გაუქმება ეხება საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთსაც.

რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილების თავისუფალი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად, ქართული მხარე ითხოვს 9 სექტემბერს მიღებული დადგენილების სრული ტექსტის გადაცემას.

თუ ამ დადგენილებაში საუბარი არის გამშვების რეჟიმის შეცვლაზე რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე, მაშინ ოფიციალური თბილისის რეაქცია შეიძლება მწვავე იყოს.

პრაიმ-ნიუსი.



გამოფენის გახსნის ოფიციალურ ცერემონიალზე. მიშელ ბასკოს ფოტო.

ინფორმაცია

### სოხუმი არ განიხილავს ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში აჭარის ჩარევას

ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში აჭარის ხელმძღვანელობის წარმომადგენლების ჩართვას ოფიციალური სოხუმი არ განიხილავს. „მით უმეტეს შეუძლებელია აჭარის ჩართვა მოლაპარაკებებში ოფიციალური თბილისის საწინააღმდეგოდ“, — განაცხადა პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ, ამის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელთა წარმომადგენლების გამოთქმების კომენტირებისას.

შამბას თქმით, კონფლიქტის მოგვარების მოლაპარაკებათა პროცესი ორმხრივია — ქართულ-აფხაზური და ამ პრობლემის გადაწყვეტა შეუძლიათ სწორედ ოფიციალურ სტრუქტურებს თბილისში და სოხუმში.

### გალის რაიონში აფხაზური არჩევნები არ ჩატარდება

ქართველი პარტიზანების მტკიცებით, გალის რაიონში აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებას არ დაუშვებენ.

როგორც პრაიმ-ნიუსს განუცხადა ერთ-ერთი პარტიზანული შენაერთის მეთაურმა, პარტიზანთა მთელი ძალისხმევა მოხმარდება იმას, რომ „არჩევნები აფხაზეთის სხვა ქალაქებშიც ჩაიშალოს“. მისი თქმით, პარტიზანებს გააჩნიათ ყველანაირი ძალა და საშუალება, რომ თვითმარქვია რესპუბლიკის ტერიტორიაზე საპრეზიდენტო არჩევნები ჩაშალონ.

პარტიზანთა შენაერთის მეთაურის თქმით, „ვლადისლავ არძინბას გარემოცვა და ძალოვანი სტრუქტურები ერთადერთ სწორ პროგნოზს აკეთებენ, როდესაც აცხადებენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში გალის რაიონში შესაძლოა ქართველმა პარტიზანებმა სიტუაცია გაამწვავონ“.

### ირინა სარიშვილი-ჭანტურიას კანდიდატურას წამოაყენებენ

„ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი — მესამე გზა“ 2000 წელს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში ეროვნულ დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ირინა სარიშვილი-ჭანტურიას კანდიდატურას წამოაყენებს.

სარიშვილი-ჭანტურიას ვარაუდით, საპრეზიდენტო არჩევნებში მისი და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გარდა, თავის კანდიდატურას წამოაყენებს ბათუმური ალიანსიდან აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე ან საქართველოს ყოფილი ცკ-ის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი.

ედპ-ს ლიდერის აზრით, პატიაშვილი ვერ მიაღწევს წარმატებას საპრეზიდენტო არჩევნებში, რადგან იგი „უკვე დავიწყებული წარსულია“.

საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსი აქვს ედუარდ შევარდნაძეს, თუმცა ისიც „ხვალ დასავიწყებელი წარსულია“, — უთხრა პრაიმ-ნიუსს სარიშვილი-ჭანტურიამ. მისი განცხადებით, „ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი“ ყველაფერს ილონებს არჩევნებში გამარჯვებისათვის. ამასთან მან არ გამორიცხა საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების შესაძლებლობა.

### საქართველოს დაფინანსება შესაძლოა 100 პროცენტამდე გაიზარდოს

ნატოს სამხრეთ-აღმოსავლეთის გაერთიანებული ძალების სარდალი, ოთხვარსკვლავიანი გენერალი ტამერ აკბაში ოქტომბერში დაგეგმილ ნატოს სარდლების შეხვედრაზე დააყენებს საკითხს საქართველოსთვის დაფინანსების 100 პროცენტამდე გაზრდის შესახებ.

დღეისათვის, ნატო საქართველოს 70 პროცენტით აფინანსებს, — უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბთან არსებული ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის შტაბის უფროსმა მაიორმა ირაკლი ბატკუაშვილმა.

ტამერ აკბაში საქართველოში სამუშაო ვიზიტით 19 სექტემბერს ესტუმრა.

უახლოეს მომავალში ქართველი ოფიცრები ჯერ მეთვალყურის სტატუსით, ხოლო შემდგომ სრულუფლებიან წევრებად მონაწილეობას მიიღებენ ნატოს სხვადასხვა წვრთნების დაგეგმარების პროცესში.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

უკანასკნელ საათს

ტაივანში მომხდარი მიწისძვრის შედეგად, წუხანდელი მონაცემებით, დაიღუპა 2000-ზე მეტი და დაშავდა 5000-ზე მეტი ადამიანი. 3000-მდე ჯერ კიდევ ნანგრევებქვეშაა. 3 ატომური ელექტროსადგურიდან არც ერთი არ დაზიანებულა.

ჩეჩნეთი ინტერპოლმა იმ 18 ადამიანის საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა, ვინც უშუალოდ მონაწილეობს დაღესტანში მიმდინარე ბრძოლებში ან იდეოლოგიურად ამზადებს მას. ძებნილთა შორის არიან შამილ ბასაევი, ზელიმხან იანდარბიევი და პატაბი.

ჩეჩნეთი რუსეთის გუბერნატორთა წინასაარჩევნო ბლოკის „ედინსტვოსგან“ მოულოდნელი წინადადება მიიღო სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების მინისტრმა სერგეი შოიგუმ, — მას ბლოკის ლიდერობა შესთავაზეს, რაც შოიგუმ დაადასტურა, თუმცა, პასუხისგან თავი შეიკავა.



დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 18 სექტემბერი ქ. თბილისი

**ვ. ჩხეიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს სასაზღვრო ძალების აღმშენებლობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 18 სექტემბერი ქ. თბილისი

**პ. კერვალიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს სატელეკომუნიკაციო სფეროს გლობალურ საკომუნიკაციო-საინფორმაციო სივრცეში ინტეგრირების საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პაატა კერვალიშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

სიტუაცია

## აჭარაში დაკავებული ურანი შეიძლება ირანში გაყიდულიყო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ატომური ცენტრის ხელმძღვანელი შუქრი აბრამიძე ვარაუდობს, რომ ორშაბათს აჭარაში, თურქეთის საზღვართან დაკავებული ერთი კილოგრამი რადიაქტიული ნივთიერება „ურანი 235“ შეიძლებოდა ირანში გაყიდულიყო, რომელიც ცდილობს საკუთარი ატომური ბომბის შექმნას.

როგორც შუქრი აბრამიძემ პრაიმ-ნიუსს უთხრა, „ბუნებაში გვხვდება 99 პროცენტი ურან-238 და მხოლოდ ერთი პროცენტი ურან-235, რომელიც გამოიყენება სწორედ ატომური ბომბის შესაქმნელად“.

იხ. მე-2 გვ.

თანამშრომლობა

## ქრისტიანობის 16 საუკუნის ისტორია — უნიკალური გამოფენის შთაგონება

საქართველოს საელჩოსა და პარიზის მე-16 არონდისმანის მერიის თაოსნობით მერიის შენობაში გაიხსნა უნიკალური გამოფენა სახელწოდებით „ქრისტიანობის 16 საუკუნე კავკასიაში“, რომლის ავტორიც გახლავთ ამავე მერიის თანამშრომელი, ცნობილი ფოტომოყვარული კრისტოფ მელინა. აღსანიშნავია, რომ იგივე გამოფენას ამ რამდენიმე თვის წინათ უმასპინძლა პარიზის მე-6 არონდისმანის მერიამ და მნახველთა უდიდესი მოწონება დაიმსახურა.

იხ. მე-2 გვ.

კონტაქტები

## „ცირა ბატონები“ და „კოჩი ბატონები“ — მსოფლიო ფსიქიატრთა ყურადღების ცენტრში

ახლახან გერმანიის ქ. ჰამბურგში გაიმართა ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციის მე-11 კონგრესი, რომლის მუშაობაში უშუალოდ მონაწილეობდა ექვსი ქართველი ფსიქიატრი 17-დან, რომელთა მოხსენებები შეტანილი იყო კონგრესის პროგრამაში, მაგრამ ფინანსური სიძნელეების გამო 11 კონგრესს ვერ დაესწრო.

ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაცია შეიქმნა 1950 წელს და მისი პირველი კონგრესი იმავე წელს პარიზში გაიმართა. გასაგებია, 2000 წელს პარიზშივე გაიმართება საიუბილეო კონგრესი, ხოლო 2002 წელს მორიგი მე-12 კონგრესი გაიმართება იაპონიაში ქ. იოკაგამაში, რაც ამ კონგრესის პრეზიდენტის, პროფესორ ოკუმას აზრით, იაპონიისათვის XXI საუკუნის ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იქნება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ქართული ფსიქიატრია, ორივე ამ კონგრესზე უფრო მეტი წარმატებებით და რაოდენობით იქნება წარმოდგენილი.

იხ. მე-4 გვ.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— მყავს ყრუ-მუნჯი, წერა-კითხვის უცოდინარი მეზობელი, რომელმაც ანდერძით უნდა გადასცეს ბინა მის მომვლელს. ვინ შეიძლება მის მაგივრად დაწეროს საანდერძო განკარგულება და მოაწეროს ხელი?

**მარიამ კოპალეიშვილი,**
ზესტაფონი.

— როგორც ჩვენ შევიტყვეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მოანდერძემ, რომელიც ყრუ-მუნჯია, ან ყრუ-მუნჯი წერა-კითხვის უცოდინარია, საანდერძო განკარგულება მან უნდა გააკეთოს ნოტარიუსთან ორი მოწმისა და ისეთი პირის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის არსი და დაადასტუროს თავისი ხელმოწერით, რომ ანდერძის შინაარსი მოანდერძის ნებას შეესაბამება.

* * *

— უკვე წელიწადი მიილია, რაც ჩემი მეუღლე დაიკარგა, ჩემთან აღარ ცხოვრობს და არც შვილებს ეხმარება. შეიძლება თუ არა მეუღლის დაუსწრებლად მოხდეს ჩვენი განქორწინება?

**ნინო თოდაძე,**
თბილისი.

— განქორწინება შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი მეუღლის დაუსწრებლად მხოლოდ მაშინ, თუ მას საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლია გამოცხადდეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში და, თუ მისი სახელით წარმოდგენილი სათანადოდ დამოწმებული განცხადება განქორწინებაზე მისი თანხმობის დასადასტურებლად.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54, 93-16-90.

ფინანსები

## ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 22 სექტემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| გერმანული მარკა | 1 | 0.9972 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8600 ლარი |
| ევრო | 1 | 1.9504 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0734 ლარი |

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში ღრუბლიანი ამინდი, წვიმა, სუსტი ქარი.
დაბლობში: ღამით +11+16; დღისით +20+25.
მთაში: ღამით +7+12; დღისით +17+22.
მაღალ მთაში: ღამით +3+8; დღისით +13+18.

აღმოსავლეთ საქართველოში ღრუბლიანი ამინდი, წვიმა, სუსტი ქარი.
ბარში: ღამით +9+14; დღისით +14+19.
მთაში: ღამით +5+10; დღისით +9+14.
მაღალ მთაში: ღამით +2+7; დღისით +5+10.

თბილისში ღრუბლიანი ამინდი, წვიმა. ღამით +11+13; დღისით +16+18.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ვიზიტი

# „აზერბაიჯანს აქვს დიდი ნავთობი, სომხეთს — დიდი დიასპორა, საქართველოს კი ჰყავს შევარდნაძე“, — ამბობენ ამერიკელები

(პირველი გვერდიდან)

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ ევრაზიის ჯგუფის პრეზიდენტი იან ბრემერი და ედუარდ შევარდნაძის სახელობის დემოკრატიისა და უმიმრობების ფონდის პრეზიდენტი პოლ ჯოული.

„ყველაზე საოცარი მის ბიოგრაფიაში არის ის, რაც მან საქართველოში დაბრუნებიდან 7 წლის განმავლობაში გააკეთა თავისი ქვეყნისათვის. ამ მცირე დროში, მისი უშუალო ძალისხმევით, პრაქტიკულად დანგრეული და გაპარტახებული ქვეყანა, მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველაზე დინამიკურად განვითარებად სახელმწიფოდ გადაიქცა“, განაცხადა პოლ ჯოულმა და დააკონკრეტა, რომ ეს დინამიკა გამოიხატება იმ ყოვლისმომცველი რეფორმებით, რომლებიც განხორციელდა როგორც ეკონომიკაში, ისე სახელმწიფოს მართვისა და სასამართლო სისტემებში.

იან ბრემერის, პოლ ჯოულისა და კომპანია „მეტრომედია გრუპის“ თავმჯდომარის ჯონ კლუგეს შემდეგ ტრიბუნასთან მიიწვიეს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომლის მოსაზრებებიც თანამედროვე და მომავალი მსოფლიო განვითარების შესაძლებლობებზე, როგორც შეხვედრაზე ითქვა, დღითი დღე სულ უფრო მეტ მნიშვნელობასა და დატვირთვას იძენს.

„ეს საუკუნე, ომებისა და სისხლისღვრების საუკუნეა, რადგან მასთან ერთად მთავრდება იმპერიების ეპოქა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს კოლეგებთან და თანამოაზრეებთან ერთად, მეც შევიტანე გარკვეული წვლილი საუკუნის ბოლო იმპერიის ნგრევაში. მე მას თავისუფლების საუკუნეს ვუწოდებ იმიტომაც, რომ მრავალი სახელმწიფო და ხალხი მართლაც თავისუფალი გახდა. ეს კი არის არა მარტო ადამიანის, პიროვნების თავისუფლება, ანდა სახელმწიფოთა და ხალხთა თავისუფლება, ეს არის, უბრალოდ, თავისუფლება ადამიანებს შორის ურთიერთობაში“, -განაცხადა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ამ შეხვედრაზე, რომლის მსგავსის გამართვის წარმოდგენაც კი ათიოდე წლის წინათ უბრალოდ შეუძლებელი იყო. მან გაიხსენა დაპირისპირებულ სამყაროში ასეთი უბრალო, უშუალო და ადამიანური ურთიერთობის პირველი მაგალითიც, რომლის ადგილიც, ალბათ, კანონზომიერად, სწორედ ამერიკა და მისი მაშინდელი სახელმწიფო მდივნის ჯორჯ შულცის ოჯახი გახლდათ. ეს იყო მოვლენა, რომელმაც, ასევე კანონზომიერად, ცოტა არ იყოს აალელვა პოლიტბიურო, მაგრამ იმავდროულად, შექმნა პრეცედენტი იმისა, რომ ასეთი რამ დიდ პოლიტიკაშიც არის შესაძლებელი. ეს იყო ადამიანების, ხალხების, სახელმწიფოების ურთიერთობაში დიდი და ისტორიული გარდაქმნის დასაწყისი. მოიხსნა ყველა ხელოვნური ბარიერი, სამყაროს გამყოფი უხილავი რკინის ფარდისა თუ ბერლინის კედლის ჩათვლით. და მაინც, ამერიკელებს კარგად ესმით ედუარდ შევარდნაძისა, როდესაც იგი, ამ გლობალური მნიშვნელობის გარდატეხის ფონზეც კი ყველას გასაგონად ხაზგასმით აცხადებს: „ჩემთვის ბედნიერებაა თავისუფალი ევროპა, მაგრამ ყველაზე ბედნიერი იმით ვარ, რომ ჩემი პატარა ქვეყანა გათავისუფლდა“.

ნებისმიერი ახალი დამოუკიდებელი ქვეყნისათვის ზოგადად დამახასიათებელი, საქართველოს სინამდვილეში კი განსაკუთრებით გამწვავებული პრობლემები არ გადაიჭრებოდა, მეგობარი სახელმწიფოებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება რომ არა, ამ დახმარებას საქართველოს ლიდერი ფასდაუდებელს უწოდებს და კიდევ ერთხელ უხდის მადლობას ამერიკის მთავრობასა და ამერიკელ ხალხს. თავის გამოსვლას კი ამთავრებს საქართველოში იმათი მოპატიჟებით, ვინც ჯერ კიდევ უშუალოდ არ იცნობს ამ ქვეყანას: „ჩამობრძანდით და ნახეთ დღევანდელი საქართველო, რათა 2–3 წლის შემდეგ შეძლოთ შედარება. მაშინ თქვენ უკვე ნამდვილად აყვავებულ და გამთლიანებულ ქვეყანას იხილავთ“.

შემდეგ კი ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა აუდიტორიის კითხვებს, რომლებიც შეეხებოდა როგორც საქართველოს საშინაო ვითარებას, ისე რეგიონულ თუ საერთაშორისო პრობლემებს.

დაღესტანში გამწვავებული კონფლიქტისა და მის მოწესრიგებაში საქართველოს როლის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის აზრი ასეთია: სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებმა და რუსეთმა მხარი დაუჭირეს „მშვიდობიანი კავკასიის“ ინიციატივას. ის, რაც დაღესტანში ხდება, ამ ინიციატივის განხორციელებისათვის მოძრაობის ფარგლებში არ თავსდება და ალბათ, არც ისე მალე მოგვარდება, როგორც ბევრს ჰგონია. „ჩვენ ძალიან გვინდა, რომ რუსეთმა თავი გაართვას საკუთარ სახელმწიფოებრივ პრობლემებს. ამიტომაც ვურჩევთ, რომ ნაკლებად ჩაერიოს სხვის საქმეებში და თავის პრობლემებს მიხედოს. ალბათ, ასეც იქნება“..აუდიტორიის კითხვას, შეიცვლება თუ არა სიტუაცია და დაანებებს თუ არა რუსეთი თავს ბრძოლას კავკასიაში გავლენის სფეროს შესანარჩუნებლად, ედუარდ შევარდნაძე უპასუხებს: „როცა იმპერიები იმსხვრევა, ისინი ცდილობენ გავლენის სფეროების შენარჩუნებას ყოფილ კოლონიებში. არ არის გასაკვირი, რომ საქართველოც განიცდის ამგვარ ზემოქმედებას. დღევანდელ მსოფლიოში გავლენის სფეროებისათვის ბრძოლა ანაქრონიზმია. სხვა საქმეა, როდესაც არსებობს ჯანსაღი სტრატეგიული თანამშრომლობის ინტერესი. საქართველოში თავისი სტრატეგიული ინტერესები აქვს ამერიკასაც და რუსეთსაც, მაგრამ ამ ინტერესებისათვის სრულიადაც არ არის საჭირო ომი და დაპირისპირება“.

შეხვედრის მონაწილეებმა გვერდი ვერ აუარეს ბოლო ხანებში ძალზე გახმაურებულ თემას საქართველოში ამერიკის პირველი ლედის ძმების მიერ წამოწყებული თხილის ბიზნესის შესახებ. როგორც ედუარდ შევარდნაძემ განმარტა, ძმები როდჰემების მიერ შემოთავაზებული პროექტი საინტერესო იყო და მან ბიზნესმენებს სრული მხარდაჭერა აღუთქვა. შეთანხმების გაფორმების შემდეგ კი მოხდა ისე, რომ ერთ-ერთმა პიროვნებამ თავისი წინასაარჩევნო ინტერესებიდან გამომდინარე, იკადრა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ჰილარი კლინტონისა და ამერიკის ადმინისტრაციის სახელი. „მიმაჩნია, რომ ეს სპეკულაცია იყო. როგორც ამერიკის პრესა წერს, ასეთივე შეფასება მისცეს ამ ფაქტს ამერიკის ადმინისტრაციაშიც და ძმებმაც მიიღეს სათანადო გადაწყვეტილება“, განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და დაინტერესებულ ბიზნესმენებს „მოუწოდა“ აწ უკვე „ვაკანტური“ ადგილი დაეკავებინათ თხილის ბიზნესში.

შეხვედრის მონაწილეები დაინტერესდნენ, რა კონკრეტული შედეგები მოიტანა საქართველოს ეკონომიკაში, ტრანსპორტის სფეროში, განათლების სისტემაში განხორციელებულმა რეფორმებმა, როგორ მიმდინარეობს ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ.

შეხვედრა დასრულდა „მეტრომედია გრუპის“ თავმჯდომარის ჯონ კლუგეს მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოთი: „ჯორჯ ვაშინგტონმა შექმნა ჩვენი სახელმწიფო და ის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში შევიდა, როგორც ამერიკის მამა. მე ვსვამ ედუარდ შევარდნაძის, როგორც საქართველოს მამის სადღეგრძელოს“.

* * *

იმავე დღეს საქართველოს პრეზიდენტმა თავის რეზიდენციაში მიიღო ებრაული ორგანიზაცია „ბნაი ბრითის“ ხელმძღვანელები.

* * *

22 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ეწვია გაეროს განვითარების პროგრამის შტაბ–ბინას, სადაც იგი შეხვდა პროგრამის ხელმძღვანელს ბატონ ბრაუნს. ინფორმაციას ამ შეხვედრის შესახებ მომდევნო რეპორტაჟში შემოგთავაზებთ.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 18 სექტემბერი ქ. თბილისი

### საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამაშველო სამსახურის თანამშრომლების საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

1999 წლის 17 აგვისტოს თურქეთის რესპუბლიკაში სტიქიური უბედურების ზონაში დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად გამოჩენილი თავდადებისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამაშველო სამსახურის თანამშრომლები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

ღირსების ორდენით:

**ვახტანგ ჩიხრაძე** – რაზმის უფროსი, ექსპერტ-მაშველი.

ღირსების მედლით:

**არსენა აბრამიშვილი** – ექსპერტ-მაშველი; **ივანე აბრამიშვილი** – ექსპერტ-მაშველი; **ზურაბ ბესელია** – მაშველი; **მერაბ გაზაევი** – მაშველი; **შოთა კომახიძე** – მაშველი; **გიორგი კომახიძე** – მაშველი; **დათო სანდროიანი** – მაშველი; **ლევან ტალახაძე** – მაშველი; **ლევან ჯიქია** – მაშველი.

**ე. შევარდნაძე.**

გულისთქმა

## ყველამ უნდა წაიკითხოს!

(პირველი გვერდიდან)

„მხოლოდ მორალური პოზიციებით უნდა ვიმოქმედოთ, თუ გვინდა სიკეთე მოვუტანოთ კაცობრიობას, უნდა ვირწმუნოთ მხოლოდ იმ პოლიტიკისა, რომელიც მხოლოდ მორალსა და ზნეობის საფუძველს ეყრდნობა“ – თქვა ბატონმა პრეზიდენტმა. და განა მხოლოდ ეს? მან იმ დღეს მართლაც შთამბეჭდავი, ბრძნული, მსოფლიოსთვის პრაქტიკულ საქმიანობაში გასათვალისწინებელი სიტყვა წარმოთქვა.

ამაში რომ დარწმუნდე, ეს სიტყვა უბრალოდ, დაკვირვებით უნდა წაიკითხო... ის „საქართველოს რესპუბლიკის“ 21 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა.

საქართველოს ღირსეული პატრონი ჰყავს და, თუ ჩვენც ნამუსიანად გავირჯებით, ქვეყანა აუცილებლად აღორძინდება.

**სპარტაკ ძოწულია.**

განცხადება

## დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარება უკანონოა

(პირველი გვერდიდან)

უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ მურმან ომანიძეს ბრალი ედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობებში, კერძოდ, კონტრაბანდასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებით სხვისი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებაში.

ჩადენილი დანაშაულისათვის მის მიმართ სასამართლო ორგანოებს გაცემული აქვთ დაპატიმრების ბრძანება და გამოცხადებულია ძებნა, რომლის განხორციელებაც დავალებული აქვს შესაბამის სამსახურებს, მათ შორის ინტერპოლს.

მ. ომანიძის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის მასალებით დადგენილია, რომ მას ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში არ უცხოვრია და საქართველოს არც ერთ საკონსულოში არ არის აღრიცხვაზე აყვანილი.

მ. ომანიძის დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარება უკანონო იქნება.

**საქართველოს გენერალური პროკურატურის პრესცენტრი.**

დოკუმენტი

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება № 82/1999

### ზოგიერთი საარჩევნო ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

1. გაუქმდეს „ზოგიერთი საარჩევნო ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 10 აგვისტოს №27/1999 დადგენილების მე-3 პუნქტი.
2. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) ამომრჩეველთა სიის ფორმა;

ბ) ამომრჩეველთა დამატებითი სიის ფორმა;

გ) საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ოქმის ფორმა;

დ) პარტიის (ბლოკის) მიერ წარდგენილ პარლამენტის წევრობის მაჟორიტარ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი მხარდამჭერთა ხელმოწერების შემოწმების შედეგების ოქმის ფორმა.

კომისიის თავმჯდომარე
**ჯუმბერ ლომინაძე.**

1999 წლის 20 სექტემბერი.

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება № 85/1999

### № 79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა დანიშვნის შესახებ

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

დაინიშნონ № 79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებად:

1. ციალა ტუღუში;
2. შოთა თოფურია;
3. ლალი ბერიძე;
4. გიორგი კავაზაშვილი.

კომისიის თავმჯდომარე
**ჯუმბერ ლომინაძე.**

1999 წლის 20 სექტემბერი.

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება № 86/1999

### №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ასარჩევად წარდგენილი კანდიდატების მიერ კენჭისყრის შედეგად მიღებული ხმების დასადგენად ხმის დამთვლელი კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

№79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ასარჩევად წარდგენილი კანდიდატების მიერ კენჭისყრის შედეგად მიღებული ხმების დასადგენად შეიქმნას ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

მამუკა კოპალეიშვილი;
გია გარსევანიშვილი;
ელმირა მესხიშვილი.

კომისიის თავმჯდომარე
**ჯუმბერ ლომინაძე.**

1999 წლის 20 სექტემბერი.

### სადავო საკითხები გადაიჭრება

ევროკავშირთან არსებული აგრობანკის მიერ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორისთვის დახმარების საკითხები განიხილეს ოთხშაბათს სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ და ევროკომისიის წარმომადგენელმა საქართველოში ელიო ჯერმანომ.

როგორც ჯერმანომ შეხვედრის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ამ საკითხში გარკვეული პრობლემები არსებობდა და ამჟამად მიმდინარეობს მხარეებს შორის არსებული სადავო საკითხების გადაჭრა.

### მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები

336 პრეტენდენტი მიიღებს მონაწილეობას მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდებში, რომელიც 25 სექტემბერს გაიმართება საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში.

ამასთან, მოსამართლეებისთვის 63 ადგილია გამოყოფილი, ადვოკატებისთვის – 68 და პროკურორებისთვის – 28.

როგორც ოთხშაბათს სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ პრესკონფერენციაზე იუსტიციის საბჭოს წევრმა, მოსამართლეთა სასწავლო ცენტრის დირექტორმა გია ქავთარაძემ განაცხადა, გამოცდების პირველ ტურში აუცილებელია 100 კითხვიდან 75-ზე სწორი პასუხის გაცემა. ამ შემთხვევაში პრეტენდენტები მეორე ტურში გავლენ და წერით გამოცდას ჩააბარებენ. მეორე ტური გაიმართება 4 ოქტომბერს.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებით, იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეობის კანდიდატი გამოცდას ვერ ჩააბარებს, მას ერთი წლის განმავლობაში ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება ეკრძალება.

თანამშრომლობა

## ქრისტიანობის 16 საუკუნის ისტორია — უნიკალური გამოფენის შთაგონება

(პირველი გვერდიდან)

გამოფენამ კიდევ ერთხელ გაუთვალსაჩინოვა პარიზელებს ქართული ქრისტიანული სამყაროს უნიკალური და უმდიდრესი ხასიათი, აქ წარმოდგენილი უდიდესი პროფესიონალიზმით შესრულებული ფოტოები თუ თვალსაჩინო მასალა, რომლებიც შესანიშნავად ასახავენ ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისა და საეკლესიო ფერწერის მატიანეს, იშვიათი ინტერესით აღიქვა ფრანგულმა საზოგადოებამ, მერიის სალონებში ხალხის ტევა არ იყო.

გამოფენის პარალელურად გაიმართა ორი ლექცია-სემინარი, რომლებიც მიეძღვნა XI-XIV საუკუნის ქართულ ფერწერაში ქრისტეს ამაღლებისა და ჯვარცმის წარმოსახვას და ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებული XI-XIV საუკუნის საქართველოს ისტორიულ ძეგლებს, რომელთა ავტორებია ცნობილი ფრანგი მეცნიერები, ქალბატონი ტანია ველმანსი და ქალბატონი ნიკოლ ტიერი.

გამოფენა რამდენიმე კვირას გასტანს.

**ვლადიმერ ზარიძე.**
**პარიზი.**

გვწერენ

## მოხეულ ტალონებს 20 თეთრი ურჩევნიათ

(პირველი გვერდიდან)

უფასოდ მგზავრობის საბუთის მქონე მგზავრებს მძღოლები მაშინვე გვცნობენ და ასვლისას სახე ეცვლებათ, ჩასვლისას ხომ ნუღარ იკითხავთ, რა სიტყვებითაც „გვამკობენ“.

ადრე ცოტათი მაინც გვცემდნენ პატივს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს, მაგრამ ზოგიერთს, ეტყობა, ბევრი რამ დაავიწყდათ. ჩვენ ხომ ფაშისტების წინააღმდეგ ვიბრძოდით. დაავიწყდათ ის ფილმებიც, რომელიც იმ მძიმე წლებს ასახავდა. ტელეეკრანიდან მხოლოდ ეროტიკის, ძალადობის, პროსტიტუციის ამსახველ ფილმებს უჩვენებენ, რაც ადამიანებს უხეშობისა და აგრესიულობისაკენ უბიძგებს.

სულ ახლახან საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის პროგრამა „ალიონში“ ტრანსპორტით მგზავრობის გაუმჯობესების თაობაზე თავისი მოსაზრება გამოთქვა ზურაბ მურვანიძემ, — უმჯობესია ვეტერანებს ტალონები (თითოეულს დაახლოებით 60 ტალონი) დაურიგდეს, რათა ყოველი მგზავრობისას მძღოლმა თვითონ მოხიოს თითო ტალონი, რომელიც მას თურმე თანხაში ჩაეთვლება. სამწუხაროდ, მძღოლებს 20 თეთრი ურჩევნიათ იმ მოხეულ ტალონს.

ჩვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია, სხვა საშუალების გამონახვა. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები საკმაოდ ასაკოვანი ვართ და რაოდენობითაც ძალიან ცოტანიღა დავრჩით, ისედაც ცოტა დრო დაგვრჩა ამ ქვეყანაზე არსებობის, ამიტომ ვეტერანების მიმართ თავაზიანობა, პატივისცემაა საჭირო.

ძვირფასო რედაქციავ, ჩვენ კანონიერად გვეკუთვნის უფასოდ მგზავრობა, იქნებ რაიმე საშუალება გამოინახოს ამ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად. წინააღმდეგი ვართ ბატონ ზურაბ მურვანიძის წინადადებისა ტალონების შემოღების შესახებ. შემოთავაზებული ტალონების რაოდენობა ერთ თვესაც არ იკმარებს, მერე რა ვქნათ?

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა სახელით,
**ნორა კალანდაძე.**

სიტუაცია

## აჭარაში დაკავებული ურანი შეიძლება ირანში გაყიდულიყო

(პირველი გვერდიდან)

მისი აზრით, დაკავებული ერთი კილოგრამი ურანი „საკმაოდ სერიოზული რაოდენობაა და დიდ კომერციულ ფასეულობას წარმოადგენს“. აბრამიძე მიიჩნევს, რომ „ირანი შეიძლება ყოფილიყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც ამ ურანს ყიდულობდეს“. — „ირანი შეიძლება გრამობითაც ყიდულობდეს ურანს“.

შუქრი აბრამიძე, რომელიც საქართველოში რუსეთის ყოფილი სამხედრო ბაზების რადიაქტიული კვლევის სახელმწიფო კომისიის წევრია, გამორიცხავს, რომ ურან-235 შეიძლებოდა მის რეალიზატორებთან რუსეთის სამხედრო ბაზებიდან მოხვედრილიყო. „სავარაუდოდ, ურანი საქართველოში მოხვდა, როგორც ტრანზიტულ ქვეყანაში ჩრდილოეთის ერთ-ერთი სახელმწიფოდან“, მიიჩნევს ატომური ცენტრის დირექტორი.

პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში აჭარის უშიშროების მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი კუპრეიშვილმა განაცხადა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით დაკავებულია ოთხი პიროვნება. ერთ-ერთმა მათგანმა, თბილისელმა ვალიკო ჩხიკვაძემ, თურქეთის ციხეში მოიხადა სასჯელი რადიაქტიული ნივთიერების ტრანზიტისათვის. ყველა დანარჩენი აჭარის მაცხოვრებლები არიან.

არსებობს საინტერესო დეტალი: ორი მათგანი ჩეჩნეთში ტყვეობაშია ნამყოფი. ამასთან, აბრამიძის თქმით, თუ დავუშვებთ რომ ურანი ჩეჩნეთში მოხვდა, მხოლოდ მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

როგორც კუპრეიშვილმა პრაიმ-ნიუსს აცნობა, აჭარაში დაკავებული ურანი უკვე ჩაიტანეს თბილისში ლაბორატორიაში გამოსაკვლევად, რის შემდეგაც მას სპეციალურ საცავში მოათავსებენ.

აჭარის უშიშროების წინასწარი მონაცემებით, საუბარია მაღალხარისხოვან მძიმე ლითონზე, რომელიც შეიცავს ურან-235-ს. სხვა კომპონენტებთან შერევის შედეგად მისი გამოყენება შესაძლებელია ატომური ბომბის დასამზადებლად.

კუპრეიშვილის ინფორმაციით, შუამავლებს ურანის 170 ათას დოლარად გაყიდვა ჰქონდათ განზრახული.

**პრაიმ-ნიუსი.**

პრობლემა

## ეს მარტო ჩვენ კი არა, მომავალ თაობებს სჭირდება!

(პირველი გვერდიდან)

თვალი გადავავლოთ ევროპის, აზიისა და ამერიკის ქვეყნებს, სადაც კლასიკოსთა მრავალი სახლ-მუზეუმია. ასე, მაგალითად: პუშკინის, ტოლსტოის, ჩეხოვის, ჰემინგუეის, ლერმონტოვის, გოეთეს, შექსპირის, შილერის, ჰიუგოს, ნერუდას, ჰომეროსის, სერვანტესის, ფირდოუსის, ბეთჰოვენის და სხვების.

ვერ ვიტყვით, რომ არ ვაფასებდეთ ჩვენი ერის სულიერების მოძღვრებს, მაგრამ მთავარი რომ გამოგვრჩა, იმაზეც უნდა ითქვას.

ამჟამად იმაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას, რომ თბილისში აუცილებლად უნდა აიგოს ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი, უნდა ჩაიდგას იმ სახლის დუბლიკატი, რომელიც ჩარგალში დგას. ასეთი ფშაური სახლი უნდა ჩაიდგას კუს ტბის მიდამოებში, სადაც ქართული კინოგრაფიული მუზეუმია. იქვე, ან, მასთან ახლოს, ამ დიდებულ მუზეუმს ძალიან შეეფერება უბრალო ქვით აშენებული ვაჟას პატარა ქოხი, სწორედ ისეთი, როგორიც ჩარგალშია! გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული სახლის ასაშენებლად არც თუ დიდი თანხის გაღება იქნება საჭირო.

ვერაზე, მლეთის ქუჩაზე, რაზიკაშვილების მცირე ბინა იყო (ორი პატარა ოთახი), რომელიც მუზეუმის მოვალეობას ასრულებდა. ეს ბინა მესამე სართულზე ძალზე მოუხერხებელ გარემოში მდებარეობდა, ვერ ასრულებდა და არც შეეძლო შეესრულებინა თავისი მოვალეობა, ამის გამო, მრავალი ექსპონატი გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში გადაიტანეს, ის ბინა კი რაზიკაშვილების მთამომავლობას დაუტოვეს. ჩვენი აზრით, სწორადაც მოიქცნენ.

ამიტომ, საჭირო იქნება ისეთი ფშაური, არც თუ ძვირად ღირებული სახლის ჩადგმა კუს ტბის მიდამოებში, ამ მუზეუმს ის დიდი უპირატესობაც ექნება, რომ მნახველს წელიწადის ყველა დროს შეეძლება მისვლა და მონახულება.

უფრო ვისი იმედი გვაქვს ამ საქმეში რომ დაგვეხმარებიან?

უპირველესად ისეთი კეთილშობილი მამულიშვილისა, ბატონი ვანო ზოდელავა რომ არის, რომელმაც მოღვაწეობის მცირე პერიოდში, თავისი ხელი დაატყო ქალაქს და მომავალში უფრო მეტს გვპირდება. ამ ფაქტისადმი ცნობილი ბიზნესმენის, დიდებული მთიელის, ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟას თვისტომის, ბატონი გოგი თოფაძის ყურადღებაც გვინდა მივაპყროთ, რამდენადაც ამ დიდ ეროვნულ საერო საქმეს ყველას ერთხმიანობით უფრო მოელება!

სწორედ ისეთი დიდი ადამიანების მაგალითზე, როგორიც ვაჟა-ფშაველაა, უნდა იზრდებოდნენ თაობები. ამიტომ მიემართავთ ყველას და დახმარებას ვთხოვთ. მთათუშეთის სამუზეუმო ანსამბლების მოწყობის თვალსაზრისით, მსოფლიოს მიერ გაღებული თანხიდან, მცირედიც რომ გამოიყოს ამ საქმისათვის, არაფერი დაშავდება. ვაჟა ხომ შვილია ამ მთებისა, იმის ხერხემალზე ამოსული უკვდავებაა!

ვაჟა-ფშაველას მუზეუმი თბილისში იმდენ მნახველს მიიზიდავს, რომ დანახარჯები მალე ანაზღაურდება. იწყება მსოფლიოს დაინტერესება და შემობრუნება საქართველოსაკენ. ძნელი ცხოვრება გვაქვს, მაგრამ ისტორიამ უნდა შემოინახოს მათი გვარებიც, ვინც სიტყვითა და საქმით თავს მოაბამს ამ კეთილშობილურ იდეას.

ამ საკითხზე საუბარი გვქონდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან, ბატონ თამაზ წიწივაძესთან, პრეზიდენტის რწმუნებულთან მცხეთა-მთიანეთის მხარეში, ღირსეულ მთიულთან ბატონ კობა ბუჩუკურთან, აგრეთვე, მრავალ მწერალთან, მეცნიერთან და კულტურის მოღვაწეებთან. ყველამ მოიწონა ეს აზრი და დახმარებაც აღგვითქვა. ახლა საჭიროა მხოლოდ წადილთა აღსრულება.

დარწმუნებული ვართ, რომ ამაში ბატონი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც აგვიბამს მხარს, ის ხომ ყოველთვის დიდი დამფასებელი იყო და არის ჩვენი კულტურისა და ისტორიისა.

გასულ წლებში მთიელთა საზოგადოებამ მრავალი ათასი ლარი ჩარიცხა თბილისის ბიუჯეტში კუს ტბაზე, ფშაური ყოფიერების კუთხის მოსაწყობად, რაც დღემდე არ გაკეთებულა და არ მოწყობილა! ამ თანხასაც ხომ მოძიება და მოკითხვა უნდა!

ამ წერილით, გთხოვთ ყველას, ვისი მისამართითაც დაიწერა იგი, გამოგვეხმაუროს, რაზეც წინასწარ მადლობას მოგახსენებთ. საქართველოს ყოველთვის უჭირდა, მაგრამ სოფელი მაინც შენდებოდა!..



იქნებ ბატონ ვანო ზოდელავასაც შევხვედროთ და მოვესაუბროთ?!

თავის სიტყვა მთიელთა საძმომაც უნდა თქვას!

**მწერალთა და სხვა ქართული კულტურის მოღვაწეთა სახელით:**

საქართველოს მწერალთა კავშირის გაერთიანება „მწერლის“ თავმჯდომარე
**სილოვან ნარიმანიძე;**

გაერთიანება „ბახტრიონის“ თავმჯდომარე
**კობა არაბული;**

მცხეთა-მთიანეთის მწერალთა გაერთიანების თავმჯდომარე
**ბალათერ არაბული;**

ვაჟა-ფშაველას საზოგადოების თავმჯდომარე
**ჯიბო ლომაშვილი;**

თავმჯდომარის მოადგილე
**შოთა ხოდაშნელი.**

### საძმო პანაშვიდი

აფხაზეთში, ბაბუშერას აეროდრომზე დაღუპული ქართველი მებრძოლების სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს დიდუბის სასაფლაოზე.

სამგლოვიარო ცერემონიას საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსი ავთანდილ იოსელიანი დაესწრო.

1993 წლის 22 სექტემბერს ბაბუშერას აეროდრომზე დაშვების დროს აფხაზმა ბოევიკებმა ქართველი მებრძოლების თვითმფრინავი ააფეთქეს, რის შედეგადაც 89 ადამიანი გარდაიცვალა.

როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობა საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსმა არჩილ ჩხარტიშვილმა, ბაბუშერაში დაღუპული 42 მებრძოლის ცხედარი უკვე გადმოასვენეს. აფხაზურ ხელისუფლებასთან სამშაბათს მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, დარჩენილ 47 ცხედარს უახლოეს დღეებში გადმოასვენებენ.

**ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.**

საქართველოს რესპუბლიკა
№255. ხუთშაბათი, 23 სექტემბერი, 1999 წელი.





# თამუნა მოსაშვილი: უზრუნველად ცხოვრება კი შემეძლო, მაგრამ ეს საინტერესო არ იქნებოდა

## პირველი ინტერვიუ პრეზიდენტის პირველ შვილიშვილთან

**თამუნა ძალიან საინტერესო და სასიამოვნო მოსაუბრეა. ჩემს და, ალბათ, თქვენს ინტერესსაც ის აძლიერებს, რომ იგი საქართველოდან დიდი ხნის წასულია და ბევრი თითქმის არ იცნობს. არადა, ასეთი „პირველი ხელიდან“ მიღებული კი არა, ყურმოკვრით მოსმენილი უმნიშვნელო ინფორმაციაც კი ქვეყნის პრეზიდენტის ოჯახის წევრების შესახებ საყოველთაო ინტერესს იწვევს.**

**– რამდენი წელია, რაც საქართველოდან წახვედით?**

– დეკემბერში ცხრა წელი გახდება.

**– ესე იგი, იმ კატაკლიზმებს, რომელიც საქართველოს დაატყდა თავს, თქვენ „გარედან“ უყურებდით?**

– დიახ, საბედნიეროდ და, შესაძლებელია, საუბედუროდაც.

**– აქ უფრო ხომ არ გაგიადვილდებოდათ ყოველივე ამის გადატანა?**

– ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. აკი გითხარით, საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ, იქ გადავიტანე-მეთქი. საბედნიეროდ იმიტომ, რომ ჩემი ოჯახი და მეგობრები, ალბათ, ცდილობდნენ აერიდებინათ ჩემთვის ბევრი, თითქოსდა უმნიშვნელო, მაგრამ გულსატკენი წვრილმანი. მეორეს მხრივ, კი სულ მეჩვენებოდა, რასაც მეუბნებოდნენ, იმაზე ბევრად უარესი რამ ხდება-მეთქი. ყველაზე მეტად აფხაზეთის კონფლიქტის თუ ომის (როგორც გინდათ ისე დაარქვით) დროს გამიჭირდა. მახსოვს, CNN არხით გადმოსცემდნენ – ბაბუაჩემი, ეს ხანშიშესული კაცი, როგორ იბრძოდა, როგორ დადიოდა ჯარისკაცებთან ერთად და გული მისკლებოდა. იმ წუთებში ნამდვილად მერჩია, საქართველოში ვყოფილიყავი. მეგონა, ჩემი ოჯახის, ქართველების თანაგრძნობა უფრო გამიადვილებდა განსაცდელს.

**– როგორი ბაბუა ბრძანდება საქართველოს პრეზიდენტი?**

– თქვენმა რედაქციამ ბაბუას საიუბილეოდ სპეციალური ნომერი რომ მოამზადა, იქ ჩემი წერილიც გამოქვეყნდა და მაშინაც ეს გავიხსენე: კლასში იცოდნენ, რომ შევარდნაძის შვილიშვილი ვიყავი და სულ მეკითხებოდნენ: როგორია შენი ბაბუ? ძალიან მკაცრია? გცემს ხოლმე? ბაბუაჩემს კი სრულიად საპირისპირო ხასიათი აქვს. – უაღრესად თბილია, ალერსიანი... თუმცა, ყოველთვის ძალიან დაკავებული იყო, შინ გვიან ბრუნდებოდა, მაგრამ როცა მოვიდოდა, სულ გვეფერებოდა, გვასეირნებდა, რაც უნდა გვეთხოვა, მაშინვე გვისრულებდა. რომ წამოვიზარდეთ და სხვა პრობლემები გაგვიჩნდა, ყოველთვის გვისმენდა, რჩევას გვაძლევდა... ახლა, ემორის უნივერსიტეტის ასპირანტურას ვამთავრებ, სამსახური შემომთავაზეს. სწორედ ამის თაობაზე ბაბუაჩემის აზრი მაინტერესებდა. მგონი, ძალიან კარგი რჩევა მომცა.

**– რა გირჩიათ, საიდუმლოა?**

– ჯერჯერობით საიდუმლოა, იმიტომ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია.

**– თუ უკითხავს ბაბუას როდისმე თქვენთვის აზრი?**

– ბავშვობაში მე, სოფოს და ლაშას ხშირად გვეუბნებოდა – რას ფიქრობთ, ბაბუ, ამაზე? არ ვიცი, სერიოზულად გვეკითხებოდა თუ არა, მაგრამ ამით, მე მგონი, დამოუკიდებელ აზროვნებას გვასწავლიდა.

**– თქვენ, გარდა პრეზიდენტი ბაბუისა, გყავთ პრეზიდენტი ბებია...**

– და ძალიან მეამაყება ჩემი პრეზიდენტი ბებია, ბაბუაზე არა ნაკლებ...

**– კიდევ ჩაგეძიებით – რას იტყვის შვილიშვილი ისეთ ბებიაზე, რომელიც ყველაფერს ასწრებდა... ოჯახშიც, სამსახურშიც... თანაც – საფუძვლიანად. წყალწყალა არასოდეს არც მისი დაწერილი წერილი იქნებოდა, არც მისი მომზადებული სადილი...**

– *ბებიაჩემი იდეალთან მიახლოებული ქალია და მე ამას იმიტომ როდი ვამბობ, რომ შვილიშვილი ვარ. ბედნიერებაა, რომ შესაძლებლობა მქონდა, მასთან გავზრდილიყავი, მესწავლა მისგან და მენახა, როგორი უნდა იყოს ქალი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.*

სწორედ ამ ერთი კვირის წინ მე და ჩემი ბიძაშვილი – სოფო ვსაუბრობდით ამის შესახებ. ბებიის ყველაზე მეტად იცით რა გვაოცებს? – რამდენი თაობით არის ჩვენზე უფროსი და მასზე თანამედროვე ბევრი არ გვეგულება. არ არსებობს თემა, რომელზეც მას ვერ დაველაპარაკები, თანაც ძალიან გულახდილად და მეგობრულად. არა მგონია, ბევრმა შვილიშვილმა დაიტრაბახოს ეს. ბებიებზე უფრო ხშირად ამბობენ – საყვარელი, თბილი მოხუცი... ბებიაჩემი კი სულ სხვანაირია, არ ბერდება. დროს მიჰყვება და ხშირად წინაც უსწრებს.

**– საყვარელ ადამიანებს ბავშვობაში ავტომატურად ვბაძავთ, გარდამავალ ასაკში თითქმის ყველაფერს ვაკრიტიკებთ და შინაგანად რატომღაც ვეწინააღმდეგებით, შემდეგ კი ასე ვთქვათ, „გონებრივი გადასინჯვის“ გზით მათგან იმას ვიღებთ, რაც საუკეთესოდ მიგვაჩნია...**

– ვფიქრობ, ჩემი ოჯახის წევრთა ძალიან ბევრი თვისება უკვე მიღებული და გათავისებული მაქვს.

პატარაობისას, მართლაც, ყველას ვაიდეალებდი – ბებია და დედა ყველაზე ლამაზები მეჩვენებოდნენ... შემდეგ ისეთი პერიოდი მქონდა, მეგონა, ყველა ჭკუას მასწავლიდა. ვტიქდებოდი, გამანებეთ თავი, არ მინდა ამდენი ჭკუის სწავლება-მეთქი! ახლა ვხვდები, რომ არცთუ ისე ცუდად მარიგებდნენ და, მართლაც, ბევრი რამ ვისწავლე: პირველ რიგში, ურთიერთსიყვარული და ერთმანეთის გატანა – ჩემს ოჯახს ეს თვისება ნამდვილად აქვს. არ იფიქროთ, თითქოს მჯეროდეს, მარტო ჩვენ ვართ ასეთები, ასეთი ოჯახი, ალბათ, უამრავია. კრიტიკულ მომენტში ისე მტკიცედ ვუდგავართ ერთმანეთს გვერდით, როგორც არასდროს. ეს შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ბაბუაჩემის კარიერის გამო, ჩვენს ცხოვრებაში ხშირად იყო მძიმე მომენტები და უკვე გამობრძმედილები ვართ. ძალიან მინდა, როდესაც ოჯახს შევქმნი, იქაც „გადავიტანო“ ასეთი ურთიერთდამოკიდებულება. გარდა ამისა, და რაც მთავარია, ჩვენ ყველანი ძალიან ვმეგობრობთ. უკვე მოგახსენეთ, ბებია ბებიაა, მაგრამ, ამავდროულად ჩემი მეგობარია-მეთქი. ასევეა ბაბუა, ბიცოლა, ბიძია, სოფოც, რასაკვირველია. ის კი არა, ჩემი პატარა ბიძაშვილი – ლაშა ამას წინათ ისე სერიოზულად მესაუბრა, რომ პირდაპირ გაოგნდი – ბავშვისაგან არ მოველოდი ასეთ ჭკვიანურ საუბარს.

**– ვისი ნებიერი იყავით ოჯახში?**

– ალბათ...ოდო ბაბუსი, მე ასე ვეძახი ბაბუას და მამაჩემის დედის – ეთე ბებისი.

ნანუ... ნანუც მანებივრებდა... რაღაც საოცრად – ბავშვობიდან სულ მისი მოქსოვილი კაბები მეცვა. მის სამკაულებს ავიჩონჩხლავდი ხოლმე. მე და სოფომ „საშინელება დავმართეთ“ სამკაულებს. ფაქტობრივად, სულ დავუმტვრიეთ (კიდევ კარგი, ძვირადღირებული არ იყო), მაგრამ ის ყოველთვის ისე მექცეოდა, როგორც დიდს. – თაკო, ეს არ გააკეთო, იცი, რატომ? – და ლოგიკურად დამიმტკიცებდა, რატომ. არ ვიცი, რა სჯობს, როცა განებივრებენ და ყველაფერს უსიტყვოდ გისრულებენ, თუ ის, რასაც ნანუ ბებო აკეთებდა. მაგრამ ერთი ცხადია, მისმა პაშინდელმა „ჭკუის დარიგებამ“ ბევრი რამ მასწავლა. თანაც ვგრძნობდი, თანატოლივით მექცეოდა და, ალბათ, ამიტომ პასუხისმგებლობის გრძნობაც სულ უფრო მიმძაფრდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ არ მეფერებოდა, სურვილებს არ მისრულებდა... მოკლედ, ის სხვაგვარად მანებივრებდა.

**– მერე ასე განებივრებულს არ გაგიჭირდათ დამოუკიდებლად ცხოვრება?**

– ძალიან გამიჭირდა. მახსოვს, ამერიკაში, კოლეჯში სასწავლებლად როცა წავედი, პირველი სემესტრი სულ ვტიროდი. განებივრება განებივრებაა, მაგრამ, ფაქტობრივად, ოჯახის გარეშე ერთი დღეც არასოდეს მიცხოვრია. და უცებ... აღმოვჩნდი უცხო ქვეყანაში, ოკეანის გაღმა, სრულიად სხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში. მე მაინც საბჭოთა კავშირში გაზრდილი ვიყავი და ამასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა, რამდენიმე თვეში შევეჩვიე. ახლაც ძალიან მენატრებიან ხოლმე ჩემიანები, მაგრამ ცხოვრების იქაურ სტილს „მოვერგე“ და არ ვნანობ, რომ წავედი. დამოუკიდებლად ცხოვრებამ ბევრი ისეთი რამ მომცა, რასაც ვერასოდეს ვისწავლიდი, შინ – ოჯახში რომ დავრჩენილიყავი.

**– თქვენ თქვით, თავიდან ძალიან გამიჭირდაო. მაგრამ ხომ შეგეძლოთ აბსოლუტურად უზრუნველად გეცხოვრათ?**

– ეს მეტისმეტად ადვილი იქნებოდა, მე მგონი, ასე ცხოვრება საინტერესო არ არის.

**– მართლა დამოუკიდებლად ცხოვრობთ, როგორც სხვა თქვენი თანატოლები, თუ როგორც პრეზიდენტის შვილიშვილს, გაქვთ რაიმე განსაკუთრებული პირობები, პრივილეგიები?**

– ამერიკაში ცხოვრება იმიტომაც მომწონს, რომ იქ, ასე თუ ისე, მაინც ვგრძნობ, რომ ვარ თამუნა მოსაშვილი და არა მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილი. მე ძალიან მეამაყება ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილობა და ამას არაფერზე გავცვლიდი, მაგრამ საქართველოში ეს მომენტი მეტისმეტად თვალში საცემია: როდესაც ვინმესთან წარმადგენენ, ეუბნებიან – ეს ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილია. ამერიკაში ამისგან დამშვეული ვარ. *როცა გაიგებენ, რომ შევარდნაძის შვილიშვილი ვარ, ძალიან დიდ ალტაცებას გამოხატავენ. მაგრამ ეს არაფერს ცვლის.*

**– პროფესია როგორ აირჩიეთ?**

– ამერიკაში რომ წავედი, კოლეჯში ანთროპოლოგიას და ფსიქოლოგიას ვსწავლობდი. იურისპრუდენციასთან არანაირი კავშირი არ მქონდა. შემდეგ ორი წელი ვმუშაობდი ემორის უნივერსიტეტში. არ ვიცოდი, მინდოდა თუ არა სწავლის გაგრძელება. მაგრამ მალე მივხვდი, რომ ჩემი კოლეჯის განათლებით მაინცდამაინც საინტერესო საქმეს და სამსახურს ვერ ვიპოვიდი. დავიწყე ფიქრი, რა შეიძლებოდა გამეკეთებინა. „სამართალი“ მივიჩნიე ყველაზე საინტერესო და, ამავე დროს, ისეთ საქმედ, რომელიც გაძლევს ძალიან დიდ განათლებას და გასწავლის, როგორ იფიქრო, იაზროვნო, როგორ გადაჭრა პრობლემები... და შემდგომში, ამ პროფესიას რომც არ გავყვე, მაინც ძალიან გამომადგება.

ასე რომ, თავიდან იურისპრუდენციის შესწავლა უფრო რაციონალური მოსაზრების გამო დავიწყე. მერე და მერე გამიტაცა და ახლა ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევანით. 2000 წლის მაისში დავამთავრებ ემორის უნივერსიტეტის ასპირანტურას და მივიღებ დიპლომს, მაგრამ ორი წელი, ალბათ, კიდევ დავრჩები ამერიკაში, იმიტომ, რომ, რაც არ უნდა კარგი განათლება მიიღო, ვფიქრობ, პრაქტიკის გარეშე არაფერი გამოვა. შემდეგ საქართველოში დავბრუნდები. დაბრუნება კი ძალიან მინდა!

**– კარიერა, თანამდებობა თუ გიზიდავთ?**

– კარიერა არა, მე მაინტერესებს ისეთი საქმე, რომელიც ჩემს ცხოვრებასაც საინტერესოს გახდის. თუ ამას მოჰყვება თანამდებობა, კარგია, მაგრამ აუცილებელი სულაც არ არის.

ამერიკაში ხშირად მეუბნებიან ხოლმე, შენ ბაბუა პრეზიდენტი გყავს, ალბათ პოლიტიკა გაინტერესებსო. არავითარ შემთხვევაში! რაც შეიძლება, შორს პოლიტიკისაგან!

**– რანაირადაც უნდა გიყვარდეს შენი პროფესია, მაინც გჭირდება კიდევ რაღაც...**

– ლიტერატურის, განსაკუთრებით ქართული და რუსული ლიტერატურის კითხვა ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იყო და არის...

**– ბებიის გავლენაა?**

– დიახ. დიახ... მაგრამ სანამ კოლეჯში ვსწავლობდი, კიდევ ვასწრებდი კითხვას. უნივერსიტეტში იმდენად ინტენსიური სწავლებაა, რომ დრო სხვა არაფრისთვის მრჩება. განსაკუთრებით სამედიცინო და იურიდიულ ფაკულტეტებზე საჭიროა რაღაც ჯოჯოხეთური შრომა; სამაგიეროდ უმაღლესი დონის პროფესიონალი იქნები. მე, ალბათ, აქ რომ ვარ გაზრდილი (ჩვენში გაცილებით მეტ საერთო განათლებას იღებენ), ამიტომ ძალიან არც მომწონს ეს. დარწმუნებული ვარ, არ იცი ლიტერატურა, თუ არ გესმის მხატვრობა (ყოველივე ეს სულიერად გამდიდრებს და გავსებს), არც კარგი იურისტი იქნები და არც კარგი ექიმი.

*საერთო განათლების გარეშე ადამიანი შეიძლება იყოს პროფესიონალი, ოღონდ რაღაც „მშრალი“, ვიწრო კალაპოტში მოქცეული: აქედან გამომდინარე, შეიძლება შენი ეს „ვიწრო“ სპეციალობა არც ისე საინტერესო აღმოჩნდეს.* ახლაც ვცდილობ, რაც შემიძლია მეტი ვიკითხო.

**– გარდა საქმისა, ადამიანისთვის აუცილებელია პატარ-პატარა, „წუთშესვენებები“, როცა აუცილებელი ხდება განტვირთვა. სად ან ვისთან ერთად მიდიხართ ამ დროს?**

– რა თქმა უნდა, მეგობრებთან ერთად. რამდენიმე კარგი ქართული ოჯახია იქ და მათთან ვმეგობრობ; ასევე ამერიკაში სასწავლებლად ჩამოსულ უცხოელებთან. ძალიან კარგი წრე გვაქვს. ხან კაფეში წავალთ, ხან – კინოში, ხან – თეატრში. არც ისეა საქმე, რომ ოცდაოთხი საათი ვსწავლობდე. მეგობრებიც მყავს და ძალიან კარგ დროსაც ვატარებთ ხოლმე.

**– უფრო ხანგრძლივი დასვენების – არდადეგების დროს სად მიდიხართ, ალბათ, რომელიმე პრესტიჟულ კურორტზე, არა?**

– დიახ, მართლაც პრესტიჟულ ალაგას, საქართველოში. წელს მხოლოდ სამი კვირით ჩამოვედი. არდადეგები სამი თვე კი მქონდა, მაგრამ აქედან ორი თვე იურიდიულ ფირმაში ვიმუშავე პრაქტიკის მისაღებად.

... არა, არ იფიქროთ, რომ მე რაღაც განსაკუთრებულად ბეჯითი ვარ, იქ სტუდენტების უმეტესობა მთელი დაძაბვით შრომობს.

**– აგატა კრისტი წერდა, ყველაზე საშინელი მკვლელობის სიუჟეტები მაშინ მომდის თავში, როცა ჭურჭელს ვრეცხავო. შეგიძლიათ, გაუგოთ კრისტის, როგორც ქალმა ქალს? თუ დიასახლისობასთან „ურთიერთობა“ არა გაქვთ?**

– დიასახლისობა, მართალი გითხრათ, ჩემთან არც ისე ახლოა. მარტო ვცხოვრობ, თანაც დრო სულ არ მრჩება.

**– ალბათ, ცხოვრების წესიც თავისებური გაქვთ. დილით ადგებით, ისაუზმებთ... შემდეგ?**

– დილით ავდგები, ვისაუზმებ... არა, არ ვისაუზმებ. საუზმე არ მიყვარს. წავალ უნივერსიტეტში. მოგვიანებით იქ წავიხემსებ და, ალბათ, საღამომდე დავრჩები სამეცადინოდ. სახლში დაბრუნებისას კი გზაში ვიყიდი მზა საჭმელს.

იცით, ყოველთვის მეცინება ხოლმე, როცა იქაური დიასახლისები წუწუნებენ, რა ძნელია ქალის საქმეო... რა ძნელია – სარეცხი მანქანა, საშრობი მანქანა, ჭურჭლის სარეცხი მანქანა... სადილის გაკეთება მოგინდება და ყველაფერი გამზადებული და გაწკრიალებული იყიდება. ერთ პაკეტს ჩაყრი, მეორეს, მოურევ და... მორჩა. როცა ამბობენ, როგორ დავიღალეო, გულში ვფიქრობ, ერთი თბილისში ჩამოდი და იცხოვრე, მერე ნახე, როგორ დაიღლები-მეთქი.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი სუფთა და ლამაზია, თვითონ პროდუქტი გემრიელი სრულებით არ არის, ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ხელოვნურია. ძალიან მომენატრა ბუნებრივი „არომატები“. რაც ჩამოვედი სულ პამიდორს და ყველს ვჭამ...

**– ისე, ქართველებს მოგვიხდებოდა უგემური პროდუქტი, წონაში ნაკლებად მოვიმატებდით... მაგრამ, მოდით, ეს თემა დავამთავროთ. საინტერესოა, რა ხდება თქვენს გარდერობში? ამერიკელებს, მგონი, ძალიან უყვართ სპორტული სტილი...**

– მართლაც ასეა. მაგრამ მე სპორტული სტილი არ მიყვარს. ასეთ ტანსაცმელს მხოლოდ მაშინ ვიცვამ, როცა სავარჯიშოდ მივდივარ. ამერიკელები სულ სპორტული ფეხსაცმელებით და შორტებით დადიან. უნივერსიტეტში „ბოტასებით“ როგორ მიავალ! ამაზე იცინიან ხოლმე – ნამეტანი გამოპრანჭული დადიხარო. იმათ რა იციან, რომ ეს ჩემი ქართული გენების „ბრალია“. ეს რაც შეეხება ყოველდღიურ ტანსაცმელს. ბოლო ორი ზაფხული იურიდიულ ფირმაში ვმუშობდი და სრულიად განსხვავებული ტანსაცმლის შეძენა მომიხდა. ასე რომ, ახლა მეორე გარდერობიც მაქვს: მკაცრი, კლასიკური სტილის პიჯაკები, ქვედაბოლოები, შარვლები. სხვაგვარად, უბრალოდ, არ შეგიშვებენ სამსახურში.

მახსოვს, ერთ ჩემს მეგობარს ოფისში პიჯაკი ეცვა. შემდეგ გაიხადა და ახლა მე რომ მაცვია, ასეთი უსახელო კოფთით იყო. კინაღამ გააგდეს. უფროსმა გამოიძახა და უთხრა: პირველ რიგში, თქვენ ჩვენს ფირმას წარმოადგენთ და ასეთი ჩაცმულობით ცუდ რეპუტაციას გვიქმნით. ან ჩაიცვით ისე, როგორც საჭიროა, ანდა მიბრძანდითო.

თავიდან ძალიან გამიჭირდა შეჩვევა და ცოტა უაზრობადაც კი მომეჩვენა ასეთი კონსერვატიზმი, რომელიც განსაკუთრებით იურიდიულ ფირმებშია გამეფებული. აუცილებლად უნდა გეცვას წინდები, სახელო იდაყვს ცოტა ქვემოთ მაინც უნდა იყოს... თანაც ატლანტა ძალიან ცხელი ქალაქია, თბილისზე უფრო ცხელი. კონდიციონერები, რასაკვირველი, ყველგან არის, მაგრამ გარეთ გასვლა მაინც შიწევს. ცოტა რომ შევეჩვიე და კარგადაც ჩავუფიქრდი, მივხვდი, ასე ჩაცმული თავს უფრო მობილიზებულად გრძნობ და საკუთარ პროფესიონალიზმზეც და პიროვნებაზეც უკეთესი წარმოდგენა გექმნება.

ახლა უკვე მეც ვფიქრობ, რომ, როცა შეუფერებლად გაცვია, არც საკუთარ თავს სცემ პატივს და არც შენს პროფესიას. არ არის აუცილებელი, ტანსაცმელი ძვირფასი იყოს, ანდა გარდერობი სავსე გქონდეს საოფისე ტანსაცმლით. ორიოდე კოსტიუმი და რამდენიმე კოფთა სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ თავადაც კარგად იგრძნო თავი და კლიენტმა თუ პარტნიორმაც უფრო მეტად დააფასოს შენი პროფესიონალიზმი.

იურიდიული ფირმები ყველაზე კონსერვატიული დაწესებულებებია ამერიკაში და შეიძლება ამითაც არის გამოწვეული ეს ყველაფერი, მაგრამ *ჩაცმულობას არანაკლებ ყურადღებას უთმობენ ტელე-ჟურნალისტები და ტელე-გამძღოლები. ისინი ყოველთვის რესპექტაბელურად გამოიყურებიან. როგორც ჩანს, კლასიკური სტილი მათთვისაც სავალდებულოა.*

**– როდესაც ახალ ადამიანს გაიცნობთ, რის მიხედვით აგებთ „ურთიერთობის სცენარს“ – წარმომავლობის, ინტელექტის... თუ გულის კარნახით?**

– გულის კარნახით. მხოლოდ და მხოლოდ გულის კარნახით. უმეტეს შემთხვევაში ინტუიცია არ მღალატობს.

**– თქვენი მეგობრები, ასე ვთქვათ, მაღალ წრეს მიეკუთვნებიან თუ რიგითი მოკვდავნი არიან?**

– მაღალი წრე, დაბალი წრე... არც კი ვიცი, როგორ განვსაზღვრო. თუ სნობური კუთხით მივუდგებით... არა, არ ვიცი. ასეთი განმარტებები არ მიყვარს. ყველა ჩემი მეგობარი ჩემთვის საუკეთესო წრის წარმომადგენელია, იმიტომ, რომ არის გულიანი, ერთგული, გონიერი და საინტერესო ადამიანი. ჩემთვის ეს არის მაღალი წრე!

**– როდესაც ბაბუა პრეზიდენტი გყავს, ამას, რა თქმა უნდა, უამრავი პლუსი აქვს. მაგრამ უარყოფითი მომენტებიც აუცილებლად იქნება. ასე მგონია, პრეზიდენტის შვილიშვილი რომ ვიყო, ახალი მეგობრის თუ თაყვანისმცემლის შემომატება ყოველთვის გამიჩენდა ეჭვს: ამას მე ვჭირდები თუ პრეზიდენტის შვილიშვილი? ესეც ხომ არ არის თქვენი მდგომარეობის ერთ-ერთი მინუსი?**

– ... ძალიან დიდი! იცით, ხშირად თვითონ ის ხალხიც ვერ ხვდება, რა ამოძრავებთ ქვეშეცნეულად, მართლა თამუნა აინტერესებთ თუ პრეზიდენტის შვილიშვილი. ჩემს ცხოვრებაში ეს ხშირად მიგრძნია. საბედნიეროდ, მყავს ძველი მეგობრები. ერთი საბავშვო ბაღიდან, შემდეგ – თანაკლასელები, კურსელები. ჯერ ერთი, ისინი მაშინ გავიცანი, როცა შევარდნაძე პრეზიდენტი არ იყო და თანაც ჩემი მეგობრები მაშინაც გვერდში მედგნენ, როცა ბაბუაჩემის სახელი ასე „პოპულარული“ არ იყო საქართველოში. ამერიკაში კი... როგორც გითხარით, როცა გაიგებენ, ვისი შვილიშვილი ვარ, აღფრთოვანებასა და უდიდეს პატივისცემას ვერ მალავენ, მაგრამ კონკრეტულს ისინი ჩემგან არაფერს გამოელიან. საქმეს „ჩავუწყობ“ ამერიკაში თუ რა?! ამიტომ იქ უფრო მიადვილდება. და საერთოდაც, ამერიკაში ბევრად უფრო მარტივია ადამიანებთან ურთიერთობა. ეს არის მხოლოდ, არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი...

**– საქართველოდან, ფაქტობრივად, ბავშვი წახვედით. დედათქვენის – მანანა შევარდნაძის ფილმში „გენერალი შალიკაშვილი“ ეკრანზე გამოჩენა და საქართველოში ასე „დაბრუნება“, ალბათ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, არა?**

– მართალი გითხრათ, ამაზე არც მინერვიულია, იმიტომ, რომ სრულიად მოულოდნელად მოხდა ყველაფერი. გადამღები ჯგუფი ჩამოვიდა და სულ არ აპირებდა, რომ მალხაზ ჯონ შალიკაშვილისაგან ვინმეს ინტერვიუ აეღო. იგი უნდა დამჯდარიყო და მარტო ესაუბრა კამერის წინ. მე კი ჩავედი მათთან მხოლოდ იმიტომ, რომ მეთარგმნა და, რასაკვირველია, დედა მენახა. მაგრამ როცა გადაღებაზე მივედით, გენერალმა შალიკაშვილმა განაცხადა, მე ასე არ შემიძლია, აუცილებლად უნდა მყავდეს თანამოსაუბრეო. მიმოიხედეს და მე შევრჩი ყველას ხელში. არა, არ მინდა-მეთქი, ვიუარე. კი, თაკო, გინდაო. გადაღებისთვის შეუფერებელ ფორმაში ვიყავი, გამხადეს, სხვა ჩამაცვეს, მერე კითხვები ჩამომიწერეს და... ასე ექსპრომტად მოვხვდი ფილმში. სხვათა შორის, უფრო კარგად გამოვიდა ყველაფერი. წინასწარ რომ მცოდნოდა, ვინერვიულებდი, ვიფიქრებდი, ასე კი უფრო ბუნებრივად იყო. მოხარული ვარ, რომ გავიცანი ისეთი საოცარი ადამიანი, როგორც გენერალი შალიკაშვილია. მაღალი კაცი არ არის, მაგრამ რომ შემოდის, თითქოს მთელი ოთახი „შემოაქვს“. ირგვლივ მყოფთა საოცარ პატივისცემას იწვევს.

**– ტკბილი ლუკმა ბოლოს... თქვენ სანახევროდ ბებია-ბაბუას გაზრდილი ხართ, მაგრამ დედა შეუცვლელია. რა თქმა უნდა, გეამაყებათ ასეთი დედა – ქალბატონი მანანა პროფესიონალია. მას საქმე მაშინაც წინ მიჰყავდა, როცა საქართველოში ფილმის გადაღება კი არა, არაფერი მუშაობდა. ქალბატონი ნანულის დარად თუ ახერხებდა დედათქვენი ოჯახისა და პროფესიის შეთავსებას?**

– მე დედასთვის ყოველთვის პირველი ვიყავი. შემდეგ კი – საქმე; საქმეს ძალიან უყვარდა. ის ხშირად დაკავებული იყო, მაგრამ ჩემთვის დრო ყოველთვის რჩებოდა. *დედა ჩემთვის ერთგვარი „მოდელია“. იმედი მაქვს, როცა სამსახურს დავიწყებ, მეც მასავით მეყვარება ჩემი საქმე.*

*დედამ ბევრი რამ კარგი აიღო ბებიასაგან, მათ შორის ისიც, რომ ყველაფერს უმაღლეს დონეზე აკეთებს.*

**– გმადლობთ, ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!**

* * *

**ინტერვიუ დამთავრდა და... შვებით ამოვისუნთქე. იცით, რატომ? ასეთ შეხვედრას ინტერესთან ერთად გარკვეული უხერხულობაც ახლავს. ვაითუ, პრეზიდენტის შვილიშვილი ისეთი არ აღმოჩნდეს, როგორიც წარმომიდგენია? კი არავინ დამსჯის, ქებას თუ არ დავუწყებ, მაგრამ როგორ არ უნდა შევუქო ბებიას სათაყვანებელი შვილიშვილი?! არადა, ტყუილის თქმაც თუ გიჭირს? – ულრმესი მადლობა თამუნა მოსაშვილს, რომელმაც ეს პრობლემები ნამდვილად არ შემიქმნა. მე სრულიად გულწრფელად და თავისუფლად გამოვთქვი ჩემი აზრი, რომელსაც მკითხველს თავს აღარ მოვახვევ. იგი თამუნას პასუხებიდან თავად გამოიტანს დასკვნას.**

ესაუბრა **თამარ საგინაშვილი.**

გაზეთი „მშვიდობა ყოველთა“ № 16 (100).
1999 წლის 1-18 სექტემბერი.





– სამი გრაცია – ასე უწოდებენ ახლობლები ხუმრობით ამ ფოტოს





ტელეოპერატორის მარჯვნივ გენერალი მალხაზ ჯონ შალიკაშვილი და თამუნა მოსაშვილი. მარცხნივ ქალბატონი მანანა შევარდნაძე



სოფო და თამუნა

## კონტაქტები

# „ცირა ბატონები" და „კოჩი ბატონები" — მსოფლიო ფსიქიატრთა ყურადღების ცენტრში

(პირველი გვერდიდან)



**საქართველოს ფსიქიატრთა პროფესიული საზოგადოება ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციის სრულუფლებიან წევრად (4 გადამწყვეტი ხმით) 1996 წელს, მადრიდის მე-10 კონგრესზე მიიღეს. აქვე აღვნიშნავ, რომ აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქმენეთი და ყირგიზეთი ჰამბურგის კონგრესის მიმდინარეობის დროს გაწევრიანდა ასოციაციაში.**

**გადავწყვიტეთ, გავესაუბრებოდით საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების პრეზიდენტს, აკადემიკოს შოთა გამყრელიძეს. იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს დელეგაციას ჰამბურგში და სათქმელიც ბევრი აქვს.**

**— ბატონო შოთა, რას აძლევს ქართულ ფსიქიატრიას მსოფლიო ასოციაციის წევრობა და რა მოვალეობას აკისრებს მას?**

— ასოციაციის წევრობა მეტად მნიშვნელოვანია ქართული ფსიქიატრიისათვის. თუ გავიხსენებთ წარსულს, ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციამ მე-6 კონგრესზე, რომელიც ქ. ჰონოლულუში გაიმართა, თავისი რიგებიდან გარიცხა საბჭოთა კავშირის ფსიქიატრთა საზოგადოება ადამიანის უფლებების დარღვევის და სახელმწიფო დამსჯელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და ფსიქიატრიის არასამედიცინო მიზნით გამოყენების გამო. დიდი ძალისხმევა დასჭირდა საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომ საბჭოთა კავშირის ფსიქიატრები პირობით აღედგინათ 1983 წელს გამართულ ათენის კონგრესზე. მსოფლიო ასოციაციის წევრობა ქართულ ფსიქიატრიას საშუალებას აძლევს, მოახდინოს ინტეგრირება მსოფლიო ფსიქიატრიაში, რეგულარულად მიიღოს სრული ინფორმაცია მსოფლიოს ყველა რეგიონში მიღებული სიახლეებისა და აღმოჩენების შესახებ, გააცნოს ფსიქიატრიულ საზოგადოებრიობას საკუთარი მიღწევები და პრობლემები.

ასოციაციის ხელმძღვანელობისა და მასთან ინტეგრირებულ ე. წ. „ჟენევის ინიციატივა ფსიქიატრიაში" დახმარებით ჩვენმა საზოგადოებამ უფასოდ მიიღო უნიკალური ლიტერატურა, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა, სატელეფონო დამაკავშირებელი ტექნიკა და მაღალხარისხოვნად შეკეთდა ე. წ. რეაბილიტაციური განყოფილება. დახმარების საერთო ღირებულება 20 000 ამერიკულ დოლარს აღემატება. რაც შეეხება კონგრესებსა და სემინარებზე გამგზავრების ხარჯებს, რომელსაც ორივე ეს ორგანიზაცია გვიწევს, 5-7 ათას დოლარს აღწევს.

ქართულ ფსიქიატრიას ევალება, იხელმძღვანელოს მსოფლიო ასოციაციის მიერ შემუშავებული მორალურ-ეთიკური ნორმებით, არ დაუშვას ფსიქიატრიის არასამედიცინო მიზნით გამოყენების არც ერთი შემთხვევა, აქტიურად იბრძოლოს მოსახლეობის ფსიქიკური გაჯანსაღებისათვის, ფსიქიატრთა პროფესიული დონის ამაღლებისათვის და ყოველმა ფსიქიატრმა წელიწადში 2 დოლარი და 50 ცენტი საწევრო გადასახადი გადაიხადოს.

**— ბარემ აქვე ვთქვათ, რომელი ქვეყანაა ე. წ. ტონის მიმცემი მსოფლიო ფსიქიატრიაში და რატომ?**

— დღევანდელი მეცნიერული და პრაქტიკული ფსიქიატრიის შემდგომ განვითარებაში ძირითადი ტონის მიმცემად ამერიკის ფსიქიატრია მიიჩნევა, რომელიც არ კმაყოფილდება ფენომენოლოგიურ-კლინიკური კრიტერიუმების დაზუსტებით და ფსიქიკურ დაავადებათა მიზეზების, განვითარებისა და უკუგანვითარების კანონზომიერებათა მექანიზმებში წვდომას ითვალისწინებს. ამიტომაც, მსოფლიო ფსიქიატრიული საზოგადოებრიობა ამ მიმართულებას უფრო ირჩევს თავის სამოღვაწეო ასპარეზად. აღსანიშნავია, რომ მოხსენებამ „ენდოგენურ ფსიქოზთა ფსიქოფარმაკოლოგიური კონცეფციამ", რომელიც ჩემი მონოგრაფიული ნაშრომის ამონარიდი იყო, ამერიკელი ფსიქიატრების ინტერესი გამოიწვია და მირჩიეს მისი ინგლისურ ენაზე გამოცემა. სამწუხაროდ, ამ ნაშრომის ქართულად გამოცემაც ყოვნდება უსახსრობის გამო და ინგლისურ ენაზე მისი გამოცემა, ალბათ დაგვიანდება.

**— რამ განაპირობა ფსიქიატრთა მორიგი კონგრესის გამართვა ქ. ჰამბურგში, და როგორი ადგილი უჭირავს მსოფლიოში გერმანულ ფსიქიატრიას?**

— გერმანული ფსიქიატრია, ცხადია, ფრანგულ და ინგლისურ ფსიქიატრიასთან ერთად, წარსულში მეცნიერული ფსიქიატრიის მექად მოიაზრებოდა. რუსული ფსიქიატრია, რომლის პირდაპირი მემკვიდრეა ქართული ფსიქიატრიაც, ძირითადად იზიარებდა გერმანული ფსიქიატრიის კლასიკურ მიმართულებებს, რომელიც გარკვეული პარამეტრებით განსხვავებოდა ფრანგული და ინგლისური ფსიქიატრიისაგან. გერმანიაში ჯერ ფაშიზმმა და შემდგომ მისი დამარცხებით გამოწვეულმა კრიზისმა გარკვეულად შეაფერხა გერმანული ფსიქიატრიის შემდგომი განვითარება.

რაც შეეხება ქ. ჰამბურგში კონგრესის მოწვევას, ნებას მივცემთ თავს რამდენიმე სიტყვით მასზედაც შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

ჰამბურგის უნივერსიტეტი ერთ-ერთი მაღალავტორიტეტული სამეცნიერო და სასწავლო ცენტრია ევროპაში. აქ აგებულია 24-სართულიანი კონგრესების სასახლე, რომლის მთავარი სააქტო დარბაზი განსაზღვრულია 10 000 ადგილზე. სწორედ ამ დარბაზში გაიხსნა კონგრესი, რომელსაც 8.693 ფსიქიატრი დაესწრო. გარდა ამისა, აქვეა 200-700-ადგილიანი 37 აუდიტორია და 100-მდე სალექციო და სამეცადინო დარბაზ-კაბინეტი. სიმპოზიუმის ნაწილი გაიმართა უნივერსიტეტის აუდიტორიებში. 5 დღის განმავლობაში ამ აუდიტორიებში გამართული 458 სხდომის მუშაობას პრესაში აშუქებდა აკრედიტირებული 370 კორესპონდენტი, ხოლო სინქრონულად თარგმნიდა 146 პოლიგლოტი. კონგრესის ოფიციალურ ენად ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურთან ერთად იყო რუსული და იაპონური. ზოგიერთი სიმპოზიუმი რუსულ ენაზე გაიმართა. ყველაფერ ამას იმისთვის მოგახსენებთ, რათა ნათელი გახდეს კონგრესის მასშტაბი და მნიშვნელობა.

**— ქართველი ფსიქიატრები რით წარსდგნენ ესოდენ მაღალ ფორუმზე?**

— ქართველი ფსიქიატრების სამეცნიერო მოხსენებებმა, რომლებიც ძირითადად ჩვენს ქვეყანაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებული ე. წ. პოსტსტრესულ ფსიქონერვულ აშლილობათა კლინიკო-ფენომენოლოგიური და სარეაბილიტაციო ღონისძიებები აისახა ბავშვებში (მარინე გეგელაშვილი), მოზრდილებში (მაკა ჯიმშარიანი) და სამეგრელოს რეგიონში განვითარებული თავისებური ფუნქციური დაავადებების (ე. წ. „ცირა ბატონებისა" და „კოჩი ბატონების" შესახებ), კონგრესის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ მოხსენებებისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოავლინეს რუსეთის და ბალტიისპირა ქვეყნების ფსიქიატრებმა.

აფხაზეთის ტრაგედიით და სამოქალაქო ომით ყველაზე მეტად დაზარალდა სამეგრელოს რეგიონი, სადაც კომპაქტურად ჩასახლებულია აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველობა. ჩვენმა ეპიდემიოლოგიურმა გამოკვლევამ (მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატების თ. სილაგაძის, ნ. რუხაძის, ფსიქიატრების ნ. ჯიბლაშვილისა და ნ. ფუტკარაძის თანაავტორობით) გვიჩვენა, რომ სწორედ ამ რეგიონში გახშირდა (და ჯერ კიდევ ვრცელდება ეპიდემიის სახით) სტრესის შემდგომი ფსიქიკური და ნევროზული აშლილობის შემთხვევები, რომელთაც ადგილობრივი მცხოვრებლები მიიჩნევენ, როგორც „ბატონებს", გადამდებ და მოსარჩენ დაავადებას, რომელსაც ექიმი კი არ ესაჭიროება, არამედ პატივისცემა, დაყვავება, გალობით გართობა და გარკვეული რიტუალების დაცვა, ისევე, როგორც ეს უძველესი დროიდან ბავშვთა ინფექციურ დაავადებების მიმართ იყო შემუშავებული. ამიტომ უწოდა მას „ცირა" (ანუ გოგონას) და „კოჩი (კაცის) ბატონები".



უარყოფა არ შეიძლება, რომ ამგვარი ფუნქციური აშლილობის მკურნალობაში, ქართული ტრადიციით დამკვიდრებული რიტუალური წესები, სპეციალურად „ბატონების" სასიამოვნო შესახვედრი და გასაცილებელი საგალობლები მოკლებული არ არის ფსიქოთერაპიულ ზემოქმედებას და ეფექტიანობას, მაგრამ, ვინაიდან ამგვარი ინტერპრეტაცია არაკომპეტენტური მოსახლეობის მიერ ხშირად ჭეშმარიტ ფსიქოსომატურ, აფექტურ, სომატურ და ზოგჯერ ამბულატორიულ დონეზე დუნედ მავალ შიზოფრენიის შემთხვევებსაც კი ხშირად ეძლევა, ავადმყოფური მდგომარეობა, ექიმის ჩაურევლად და სათანადო ფსიქოტროპული მედიკამენტების გარეშე მძიმდება. ამიტომ მარტო ფაქტების ეპიდემიოლოგიური შესწავლა სათანადო სამედიცინო ღონისძიებების გატარებლად, შექმნილ მდგომარეობას ამძიმებს.

ჩვენ დავსვით საკითხი ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციის ხელმძღვანელობის წინაშე, რათა ფინანსურად დაგვეხმარონ ამ ტიპის ფსიქონერვულ აშლილობასთან — ეპიდემიასთან კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გასაწევად.

ჩვენს მოხსენებას თან ახლდა დოკუმენტური ვიდეომასალა, რომელიც აამჟღავნებდა ამგვარი ეპიდემიის ჭეშმარიტ მიზეზებს. მასში ასახულია ქართველი მოსახლეობის გენოციდი და ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ფაქტები აფხაზი სეპარატისტებისა და მათვე დაქირავებული რუსეთელი ბოევიკების მიერ. ფილმმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. რუსმა კოლეგებმა თხოვნით მოგვმართეს, იგივე მოხსენება წავიკითხოთ და ფილმიც ვუჩვენოთ რუსეთის ფედერაციის ფსიქიატრთა საზოგადოების ყრილობაზე, რომელიც წლეულს, ოქტომბრის თვეში ქ. მოსკოვში გაიმართება.

**— ბატონო შოთა, რამდენად საინტერესო იყო ჰამბურგის კონგრესზე განხილული საკითხები ქართველი ფსიქიატრებისათვის და რა დახმარებას გაგიწევთ იქ მიღებული ინფორმაცია თქვენს მომავალ საქმიანობაში?**

— კონგრესი ყოველ სამ წელიწადში იმართება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში. მას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა. პროგრამაშია ახალგაზრდა ექიმების, ასპირანტებისა და რეზიდენტების სწავლება-სემინარები, კურსები და ვარქშოფები. ჰამბურგის კონგრესს ასოციაციის ხარჯით დაესწრო ჩვენი დაწესებულების თანამშრომელი, ასპირანტი დაჩი ჩხიკვაძე, რომელიც, ცხადია, გამდიდრდა სათანადო ცოდნით და გამოცდილებით. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოში გამოჩენილ ფსიქიატრებთან დამყარებულ პირად კონტაქტებს, რაც ერთობლივი კვლევა-ძიების წარმოების აადვილებს. კონგრესის მსვლელობისას ასოციაციის გენერალური ასამბლეას სხდომაზე მოვისმინეთ პრეზიდენტის ბიუროს ანგარიში 3 წლის განმავლობაში მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ავირჩიეთ ამ ბიუროს ახალი წევრები, ანუ დარგობრივი სამსახურების და ასოციაციაში გაერთიანებული ქვეყნების 17 ზონის კოორდინატორები. პრეზიდენტმა, პროფესორმა ნორმან სარტორიუსმა (შვეიცარია) პრეზიდენტობის რეგალიები გადაულოცა პროფესორ ხუან ლოპეს იბორს (ესპანეთი), ხოლო ვიცე-პრეზიდენტად ავირჩიეთ პროფესორი ახმედ ოკაშა (ეგვიპტე), რომელიც პრეზიდენტობას დაიკავებს მე-12 კონგრესზე, 2002 წელს.

**— რამდენად სასარგებლო იყო ქართველი ფსიქიატრებისათვის პრაქტიკულ კლინიკურ მუშაობაში გამოსაყენებლად კონგრესზე გამოვლენილი ახალი აღმოჩენები ან სამკურნალო საშუალებანი?**

— თანამედროვე ფსიქიატრია გარკვეულად რეკონსტრუქციის პროცესშია. სპეციალური სხდომა მიეძღვნა ფსიქიკურ დაავადებათა ე. წ. ლენოზოლოგიურ პრობლემას, რომელიც ძირითადად გერმანული ფსიქიატრიის პირმშო იყო და გაბატონებული იყო მთელი XX საუკუნის განმავლობაში. კლასიკური ნოზოლოგიური პრინციპი კრიზისს განიცდის და ჩიხში მოექცა. სწორედ ფსიქოფარმაკოლოგიური კვლევის მეთოდებმა დაამსხვრია ნოზოლოგიური სისტემის დღემდე შეუვალი ზღუდეები. ახალმა აღმოჩენებმა, რომელიც რეცეპტორულ პათოლოგიაზეა დაფუძნებული, ძირფესვიანად შეცვალა კლასიკური წარმოდგენები ფსიქიკურ აშლილობებზე და მათი მკურნალობის პერსპექტივაზე. სწორედ ამ ასპექტშია შესრულებული ჩემი მონოგრაფია „ენდოგენურ ფსიქოზთა ფსიქოფარმაკოლოგიური კონცეფცია".

ფსიქოფარმაკოლოგიამ, თავისი ჩასახვიდან 50 წლის განმავლობაში კლინიკური და თეორიული ფსიქიატრია 3000-ზე მეტი დიფერენცირებულად მოქმედი ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყო. კონგრესის პროგრამაში გათვალისწინებული იყო და განვიხილეთ 15 სრულიად ახალი და მაღალეფექტიანი ანტიფსიქოზური მედიკამენტების თერაპიული ეფექტიანობის საკითხი, რომელიც უეჭველად დაიკავებს წამყვან ადგილს ფსიქიკური აშლილობის მკურნალობაში. სამწუხაროდ, მათზე ჩვენ, ქართველ ფსიქიატრებს დიდხანს, ალბათ, არ მიგვიწვდება ხელი, რადგან ჯერჯერობით, ფედერალური პროგრამით 10-მდე ასეთი მედიკამენტის გამოყენების საშუალება გვაქვს. ცხადია, მათი უმრავლესობა წარსულს მიეკუთვნება.

**— ამასთან დაკავშირებით კონკრეტული წინადადებები თუ იყო?**

— ჰამბურგის კონგრესზე თავიანთი უახლესი მედიკამენტების გამოფენა მოაწყო ამერიკის, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის და ა. შ. ქვეყნების 84-მა ფარმაცევტულმა ფირმამ. ჩვენ დავამყარეთ კონტაქტი ამ ფირმების ხელმძღვანელობასთან. ცხადია, ჯერჯერობით არ არის ლაპარაკი მათი პროდუქციის ჩვენს სააფთიაქო ქსელში გამოჩენაზე. მაგრამ შევთავაზეთ მათი პროდუქციის თერაპიული ეფექტიანობის გამოცდა ჩვენი სოციალური და კლიმატური პირობების გათვალისწინებით და მრავალი მათგანი დათანხმდა თანამშრომლობაზე.

ვფიქრობ, ეს იქნება მეტად სასარგებლო ღონისძიება, რომელიც ჩვენს ავადმყოფთა გარკვეულ ნაწილს უზრუნველყოფს მაღალეფექტიანი ფსიქოტროპული მედიკამენტების უფასოდ მიღებით და, აგრეთვე ეკონომიკურ გაჭირვებაში მყოფ მეცნიერ მუშაკთა დასაქმებისა და გაწეული კვლევის ასანაზღაურებლად სათანადო შემოსავლების მისაღებადაც დიდ სამსახურს გაგვიწევს.

ესაუბრა
**ბონდო მძინარაშვილი.**



**სურათებზე:** შოთა გამყრელიძე, მანანა შარაშიძე, ნათელა ფუტკარაძე, დაჩი ჩხიკვაძე, მაკა ჯიმშარიანი; ჰამბურგის ხედები.

## განცხადება

# თუ რეფორმები არ დასრულდა, კრიზისი გაუთავებლად გაგრძელდება

ელექტროენერგეტიკული დარგის გენერაციის ობიექტები ინტენსიურად ემზადებიან შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის. სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები ჩატარდა თითქმის ყველა ჰიდროელექტროსადგურში: ენგურჰესზე მუშაობს სამი აგრეგატი 1-ლი, მე-2 და მე-5, მე-4 აგრეგატზე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და უახლოეს მომავალში ჩადგება მწყობრში. ხრამი-2-ზე, ვარდნილჰესზე, ტყიბულჰესზე, შაორჰესზე, გუმათჰესზე გრძელდება აღდგენითი სამუშაოები. რიონჰესზე მიმდინარეობს აგრეგატების სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სექტემბრის ბოლოს ჩაირთვება პირველ აგრეგატი, ხოლო წლის ბოლოს — მე-2. ელექტროსადგურებში აგრეგატების მიზეზით წყლის ღვრას ადგილი არ აქვს, ყველა სადგური ტექნიკურად მომზადებული ხვდება ზამთარს. ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებში მაქსიმალურად ხდება წყლის რესურსების შენარჩუნება, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით დაგროვილია 30 პროცენტით მეტი წყლის მარაგი. „თბილსრესში" მე-4 და მე-10 ენერგობლოკებზე განხორციელდა სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები და ბუნებრივი აირის მიღებისთანავე შესაძლებელი იქნება მათი ექსპლუატაციაში გაშვება. ამჟამად, ენერგოგენერაციისა და „თბილსრესის" სარემონტო ორგანიზაციები მუშაობენ მე-3 და მე-8 ენერგობლოკების აღსადგენად.

ენერგეტიკაში გლობალური რეფორმები მიმდინარეობს, თუ ელექტროენერგეტიკულ დარგში რეფორმები არ დასრულდა, პრივატიზაციის პროცესით, ენერგოსისტემაში კრიზისი გაუთავებლად გაგრძელდება. „თბილსრესში" ყოველი 1 მლნ. კვტ. სთ ელექტროენერგიის გამომუშავება ენერგოსისტემას 55-65 ათასი ლარით აზარალებს. სადღეისოდ საქართველოში არ არსებობს ფინანსური ძალა, რომელიც მომავალ ზამთარს მოამზადებს და „წამგებიან" „თბილსრესს" ეფექტურად ამუშავებს. ჰიდროელექტროსადგურები მართვის უფლებით გადაეცემა ინვესტორს, ენერგეტიკის სექტორში პრივატიზაციის შემდეგ დღეს არსებული პრობლემები თავისთავად გაქრება. თითოეულ ენერგოობიექტს მეპატრონე გამოუჩნდება.

ელექტროენერგეტიკაში დაწყებული რეფორმები უნდა დასრულდეს პრივატიზაციის პროცესით, ან უკან, სიბნელეში უნდა დავბრუნდეთ. ადგილობრივი რესურსებით შეუძლებელია მოძველებული და მოშლილი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, ამისათვის არც ფულია და არც ტექნიკური საშუალება.

„საქენერგოგენერაციის"
პრესსამსახური

## სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და მისი ტერიტორიული ორგანოები გიწვევთ აუქციონებსა და კონკურსებზე

| რაიონი | ობიექტი | საწყისი გასაყიდი ფასი (აშშ დოლარებში) |
|---|---|---|
| თბილისი | სახაზინო საწარმო „სხივ"-ის ავტომეურნეობა (ხევისუბნის ქ. №2/4) | 18000 |
| მცხეთა | სოფ. ნატახტრის ტერიტორიაზე მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელშეუხებელი მარაგის სასაწყობო მეურნეობის №15 საწყობის 5 წლით იჯარა | 5256 წლიური ქირა |
| | სოფ. ნატახტრის ტერიტორიაზე მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელშეუხებელი მარაგის სასაწყობო მეურნეობის №1 საწყობის 5 წლით იჯარა | 3414 წლიური ქირა |
| | კაფე-ბარი „გვირილა" | 1195 |
| | ყოფილი ხიდების სარემონტო სამმართველოს საწარმოო ბაზა დ. ზაჰესში | 2926 |
| თეთრიწყარო | მეთესლეობის სახაზინო საწარმო „მარცვალ"-ის ჯორჯიაშვილის ფილიალის მემცენარეობის განყოფილება | 33279 |
| | ჯორჯიაშვილის სახ. საწარმოს კუთვნილი საფრინველე | 1964 |
| | ჯორჯიაშვილის სახ. საწარმოს კუთვნილი მესაქონლეობის განყოფილება | 4650 |
| | ჯორჯიაშვილის სახ. საწარმოს კუთვნილი საძროხე სოფ. არდისუბანში | 750 |
| | ჯორჯიაშვილის სახ. საწარმოს კუთვნილი საცხვარე სოფ. ბოგვში | 1939 |
| | ჯორჯიაშვილის სახ. საწარმოს კუთვნილი მინ. სასუქების საწყობი | 6435 |
| | ჯორჯიაშვილის სახ. საწარმოს კუთვნილი სატრაქტორო სახელოსნო | 3790 |
| | ჯორჯიაშვილის სახ. საწარმოს კუთვნილი მანქანა-ტრაქტორთა ფარდული | 1559 |
| | თეთრიწყაროს მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტის და ექსპლოატაციის საწარმოს კუთვნილი ყოფილი სათაო სახლი | 3328 |
| ახალციხე | თამარაშვილის ქ.№29-ში მდებარე არასაცხ. ფართი 297 კვ.მ. | 1991 |
| | ახპინძის ქ.№38-ში მდებარე არასაცხ. ფართი 365,15 კვ.მ. | 2419 |
| | საწყობი ქ. ვალეში | 725 |
| | „ქალაქვაჭრობის" სამწვადე №4 | 120 |
| | „ქალაქვაჭრობის" ფარდული №6 | 564 |
| ბაღდათი | შ.პ.ს. „დიმის" სოფ. დიმის საზეინკლო საამქრო | 156 |
| | შ.პ.ს. „დიმის" სოფ. წითელხევის საზეინკლო საამქრო | 94 |
| | შ.პ.ს. „დიმის" ბლოკის საამქრო სოფ. ვარციხეში | 328 |
| | შ.პ.ს. „დიმის" სახერხი საამქრო ქვის სატეხთან | 709 |
| | შ.პ.ს. „დიმის" სახერხი საამქრო | 569 |
| | შ.პ.ს. „დიმის" ე.წ. ბაბანოურის ტერიტორიაზე მდებარე ობიექტები | 4010 |
| ბორჯომი | არასაცხოვრებელი ფართი რუსთაველის ქ. №51-ში | 600 |
| | სახელმწიფო სავაჭრო საწარმო „ბორჯომის" მაღაზია №70 (კოსტავას ქ.) | 520 |
| გარდაბანი | ქ. გარდაბნის ავტოსამრეცხაო საამქრო | 4729 |
| | სადგურის ქ.№1-ში მდებარე არასაცხ. ფართი 326 კვ.მ. (ამჟამად განთავსებულია „გაერთიანებული ქართული ბანკის" გარდაბნის ფილიალი) | 9780 |
| | სოფ. გამარჯვების საკრებულოს ბალანსზე რიცხული ყოფილი „სპეცყოფრემმშენის" კანტორის შენობა | 1191 |
| | თბილისის საავიაციო სახ. გაერთიანების სატბორე მეურნეობა | 3148 |
| | საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ყოფ. სახ. კომერციული ფირმა „პურის მცირე საწარმო „სამადლო" (დაბა კოჯორი) | 2636 |
| | საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს წინუბნის მეფრინველეობის სანაშენე საწარმო | 93049 |
| ქარელი | დირბის ექსპერიმენტული მეურნეობის კუთვნილი სახბორე | 3982 |
| | დირბის ექსპერიმენტული მეურნეობის კუთვნილი საძროხე | 350 |
| | დირბის ექსპერიმენტული მეურნ. კუთვნ. შენობა მოზარდი პირუტყვისათვის | 1800 |
| | დირბის ექსპერიმენტული მეურნეობის კუთვნილი საღორე | 6100 |
| | დირბის ექსპერიმენტული მეურნეობის კუთვნილი ფერმის საწყობი | 1882 |
| | დირბის ექსპერიმენტული მეურნეობის კუთვნილი მარცვლეულის საწყობი | 1055 |
| | დირბის ექსპერიმენტული მეურნეობის კუთვნილი ავტოსარემონტო საამქრო | 2095 |
| | დირბის ექსპერიმენტული მეურნეობის კუთვნილი საღორის მშენებლობა | 1700 |
| | ურბნისის მეურნეობის კუთვნილი საძროხე | 1760 |
| | ურბნისის მეურნეობის კუთვნილი საძროხე 50 სულზე | 16425 |
| | ურბნისის მეურნეობის კუთვნილი საპარიკმახერო | 100 |
| | ურბნისის მეურნეობის კუთვნილი სახერხი საამქრო | 404 |
| დუშეთი | საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის №19 საგზაო-საექსპლოატაციო სამმართველო | 42606,5 |
| | №4 საგზაო-საექსპლოატაციო სამმართველო (დაბა ფასანაური) | 177805 |
| | რაიონის გამგეობის ბალანსზე რიცხული ორსართულიანი შენობის ნაწილი (I სართ. მარჯვ. მხარე) 32,2 კვ.მ. არასაცხ. ფართის 10 წლით იჯარა | 67 წლიური ქირა |

**შენიშვნა:** ნუსხაში მოყვანილი ობიექტების ღირებულების დაფარვა მოხდება ეროვნულ ვალუტაში შესაბამისი კურსით.

კონკურსისა და აუქციონის წესით პრივატიზებული იქნება აგრეთვე ახალციხის, ბაღდათის, გარდაბნის, თეთრი წყაროს და ქარელის რაიონებში განლაგებული სახელმწიფო ქონება.

აუქციონი ნულოვანი საწყისი ფასით, რომელზეც გამოტანილი იქნება ამორტიზებული და ფიზიკურად გაცვეთილი ობიექტები მოეწყობა ბაღდათში, გარდაბანში და თეთრი წყაროში.

აღნიშნულ საპრივატიზებო ობიექტებზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრეს" 10 სექტემბრის № 47-ში.

შპს საგადასახადო-საკონსულტაციო სამსახური „პარტნიორი" აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართით: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4.

შპს „ეტსუნ-ჯორჯია" აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართით: ქ. თბილისი, სადგური ლილო, სს „სამგორის" ფილიალის შენობა.

## ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას დასწრებულ ასპირანტურაში შემდეგ სპეციალობებზე:

გერმანიკული ენები (ინგლისური ენა) — 1 ადგილი

გერმანიკული ენები (გერმანული ენა) — 1 ადგილი

რომანული ენები — (ფრანგული ენა) — 1 ადგილი

რომანული ენები (ესპანური ენა) — 1 ადგილი

მსურველებმა დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართონ შემდეგ მისამართზე:

ი. ჭავჭავაძის გამზ. №45, უნივერსიტეტის ასპირანტურის განყოფილება, III სართ., ყოველდღე 11 სთ-დან 14 სთ-მდე.

საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან ორი თვის განმავლობაში.

## თურქეთის ემლაქ ბანკის თბილისის ფილიალის
## განცხადება

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, შესაძლოა საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ მიმოიქცეოდეს თურქეთის ემლაქ ბანკის თბილისის ფილიალის სახელით გაცემული ყალბი საგარანტიო წერილები.

ამასთან დაკავშირებით, ყველა საბანკო დაწესებულებასა და საწარმოს მოვუწოდებთ: უარი თქვან ემლაქ ბანკის თბილისის ფილიალის საგარანტიო წერილების მიღებაზე და არ მიიჩნიონ ისინი იურიდიული ძალმოსილების მქონედ.

თურქეთის ემლაქ ბანკის თბილისის ფილიალის ადმინისტრაცია.

### მინისტრები შექმნილ რადიაციულ ვითარებაზე იმსჯელებენ

შავი ზღვის აუზის ქვეყნებში შექმნილ რადიაციულ ვითარებას დაეთმობა ბისეკის სახელმწიფოების გარემოს დაცვის მინისტრების სხდომა, რომელიც სალონიკში ხუთშაბათს დაიწყება.

როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზურაბ თავართქილაძემ, სალონიკში რადიაციული პრობლემების გარდა შავი ზღვის აუზის დაბინძურების საკითხზეც იმსჯელებენ.

### თანამშრომლობა მტკიცდება

საქართველოსა და საბერძნეთს შორის არსებული მრავალმხრივი თანამშრომლობის კიდევ ერთი დასტურია საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციის სამუშაო ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში. დელეგაციას ხელმძღვანელობს კულტურულ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი აპოსტოლოს ანინონისი.

ხელს მოაწერენ დოკუმენტს 1999-2001 წლებში საქართველოსა და საბერძნეთს შორის კულტურულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობის შესახებ.

### თენგიზ კიტოვანი კენჭს იყრის გლდანის რაიონში

საქართველოს ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა, 60 წლის თენგიზ კიტოვანმა შეცვალა თავისი გადაწყვეტილება საპარლამენტო არჩევნებში კენჭი იყაროს მცხეთის საარჩევნო ოლქში და კენჭს იყრის თბილისის გლდანის რაიონში.

პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში დეპუტატობის კანდიდატმა ეს გადაწყვეტილება ახსნა იმით, რომ „მცხეთის ამომრჩევლებს აშინებს ადგილობრივი პოლიცია, არ მისცენ ხმა თენგიზ კიტოვანს".

კიტოვანი თვლის, რომ გლდანის რაიონში დეპუტატ-მაჟორიტარის არჩევნები „შედარებით სამართლიანად წარიმართება".

### თანამდებობიდან გადადგნენ

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ოთხშაბათს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება დაწერეს იუსტიციის საბჭოს წევრებმა — დავით მუმლაძემ და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გია მეფარიშვილმა.

### საქართველოს გვარდიას ეხმარებიან

აშშ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების ყოფილი თავმჯდომარის ჯონ-მალხაზ შალიკაშვილისა და აშშ-ში ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელის გივი ზალდასტანიშვილის ძალისხმევით საქართველოს ეროვნული გვარდია დახმარების სახით სექტემბრის ბოლოს მიიღებს 17 ერთეულ ამერიკულ „ჰამერს", გასამხედროებულ ჰოსპიტალსა და საინჟინრო საშუალებებს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს პრაიმ-ნიუსმა, საქინფორმმა.

# ხიდი KÖPRÜ

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველთვიური დამატება № 31 (82)


ვინ მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია.
შოთა რუსთაველი

KİM DOSTUNU ARAMAZSA,
KENDİ CANINA
DÜŞMANDIR EVVEL.
Şota Rustaveli

ინფორმაცია

## კანონი ამნისტიის შესახებ

პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა ამნისტიის შესახებ კანონი ხელმეორედ განსახილველად პარლამენტს გადაუგზავნა და მისი განმეორებითი განხილვა ოქტომბრის თვისთვის გადადო, მას შემდეგ, რაც პარლამენტი განაახლებს მუშაობას. დემირელის თქმით: მან გაითვალისწინა ქვეყნის საზოგადოების დიდი ნაწილის მოთხოვნა.

კანონპროექტის ინიციატორია მემარცხენე დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე და ამავე დროს პრემიერ-მინისტრ ბიულენთ ეჯევითის მეუღლე რაჰშან ეჯევითი.

მიმომხილველთა აზრით ამნისტიის შესახებ კანონპროექტში ძირითადად ნაციონალისტური მოძრაობის პარტიის ინტერესები არის გათვალისწინებული. ამ გარემოებამ თავად მემარცხენე დემოკრატიული პარტიის რიგებშიც გარკვეული დაპირისპირება წარმოქმნა.

ამჟამად თურქეთში 70 ათასზე მეტი პატიმარია. ამნისტიის შესახებ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, 26 500 მიიღებს თავისუფლებას. ამ კანონით ვერ ისარგებლებენ ტერორიზმში ბრალდებულნი, რომელთა რიცხვი აღწევს 10 800 კაცს.

## საჭიროა ფასიანი სამხედრო სამსახური

თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის **ჰუსეინ ქივრიქოღლუს** განცხადებით: მიწისძვრის შედეგად შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობის დაძლევის ერთ-ერთ გზას ფასიანი სამხედრო სამსახურის შემოღება წარმოადგენს. არსებული მონაცემების თანახმად, ამ კანონით დაახლოებით 200 ათასი წვევამდელი ისარგებლებს, რაც დამატებით 3 მილიარდი გერმანული მარკის ოდენობის შემოსავლის მიღებას უზრუნველყოფს.

თურქეთში დღემდე სავალდებულო სამსახურის ვადა განისაზღვრება 18 თვით და წვევამდელის მხრიდან 15 ათასი გერმანული მარკის გადახდის შემთხვევაში მისი ხანგრძლივობა შემოიფარგლება 2-თვიანი სამხედრო მომზადებით.

**დათო დევნოზაშვილი.**

თურქეთი

17 აგვისტოს მომხდარი მიწისძვრა, თურქეთში მეფასდა, როგორც საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი უბედურება. სტიქიამ მიწასთან გაასწორა მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, შეიწირა და დაასახიჩრა ათიათასობით ადამიანი, უსახლკაროდ დატოვა ასიათასობით თურქეთის მოქალაქე, დაანგრია და მწყობრიდან გამოიყვანა ქვეყნის სასიცოცხლო მნიშვნელობის საწარმოები და კომუნიკაციები.

ქართველმა ხალხმა გულთან ახლოს მიიტანა მეგობარი ქვეყნის გასაჭირი და დახმარების ხელი გაუწოდა მეზობელს. საქართველოს პრეზიდენტის, საგარეო საქმეთა მინისტრის, სხვადასხვა უწყებათა ხელმძღვანელების და უბრალო მოქალაქეთა სამძიმრის დეპეშებმა დიდი მორალური დახმარება აღმოუჩინა თურქ ხალხს. ქართველმა მაშველებმა, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენელთა მხარდამხარ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ნანგრევებში მოყოლილ დაღუპულთა მოძიებისა და დაზარალებულთა გადარჩენის საქმეში. ჩვენი ქვეყნის მიერ გაწეული ჰუმანიტარული დახმარება მაქსიმალურად ეფექტურად იქნა გამოყენებული კატასტროფით გამოწვეული უბედურების შესამსუბუქებლად. თურქეთის მთავრობა, მთელი თურქი ერი დიდ მადლობას გამოხატავს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ანკარაში ჩვენი საელჩოსადმი იმ თანადგომისათვის, რომელიც ქართველმა ხალხმა გაუწია მეგობარ ქვეყანას. თურქეთის მთავრობა აპირებს *თითოეულ ქართველ მაშველს* პირადად გადაუხადოს გულწრფელი მადლობა.



# მიწისძვრის ექო

## სავარაუდო ზარალი

კატასტროფის პირველივე დღეებიდან, თურქეთის მთავრობა, ბიზნესმენები, მრეწველები, სავაჭრო პალატები და უცხოური საფინანსო ორგანიზაციები შეუდგნენ მიყენებული ზარალის ციფრების გამოქვეყნებას, სადაც აშკარად ჩანს დაინტერესებული ფირმების მხრიდან ზარალის რაოდენობის გაზვიადება.

ზარალის დადგენის მიზნით, აგვისტოს ბოლოს საკუთარი გამოკვლევა განახორციელა გაზეთ „ჰურიეთის" ეკონომიკურმა სექტორმა. წინასწარი შესწავლის საფუძველზე გაზეთში გამოქვეყნდა სავარაუდო ციფრები დარგების მიხედვით: მიწისძვრის შედეგად სრულიად დანგრეული ან დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რაოდენობამ 200 000-ს მიაღწია, რაც დაახლოებით 2 მილიარდი აშშ დოლარის ზარალს უდრის (ამ ციფრში არ შედის სახლების აშენებისათვის ნაყიდი მიწის ნაკვეთების ფასი, რომელიც თურქეთში საკმაოდ მაღალია).



მიწისძვრით დაზარალებული რეგიონის სამრეწველო საწარმოების წილი ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში დაახლოებით 5,6 პროცენტს შეადგენს. აქედან გამომდინარე, დაზიანებულმა საწარმოებმა მთელი წელი თუ არ იმუშავეს, ეროვნულ შემოსავალს 11,2 მილიარდი აშშ დოლარი დააკლდება: ეკონომისტების გათვლით, საწარმოების მოცდენის ყოველთვიურმა დანაკლისმა დაახლოებით 1 მილიარდი დოლარი უნდა შეადგინოს.

უკანასკნელი წლების მონაცემებით, უცხოური ტურიზმით ქვეყანაში 7 მილიარდი აშშ დოლარი შემოდის, აქედან ქვეყნის ბიუჯეტში 1,4 მილიარდი ირიცხება. თუ გავითვალისწინებთ, რომ შემდგომი სამი წლის განმავლობაში ტურისტების მოზიდვა გაძნელდება, ამ პერიოდში დანაკარგები 1,7 მილიარდი იქნება.

მიწისძვრით დაზარალებული რეგიონის ინფრასტრუქტურის აღდგენას, სპეციალისტთა შეფასებით, სულ მცირე 2 მილიარდი დასჭირდება.

თურქეთის სახელმწიფო საგეგმო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად, მიწისძვრისგან თურქეთის ეკონომიკისთვის მიყენებული ზარალის სავარაუდო რაოდენობა ა. წ. 10 სექტემბრისათვის 9-13 მილიარდ აშშ დოლარს შორის მერყეობს.

იხ. მე-6 გვ.

სამიტი

## 14 ქვეყნის მონაწილეობით

შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნის შემდეგ სულ უფრო ღრმავდება საერთაშორისო დონეზე პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის პრაქტიკა.

ამა წლის 10-11 სექტემბერს, იალტაში, ლივადიის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია ბალტიისა და შავი ზღვების ქვეყნების თანამშრომლობის შესახებ. კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ 14 ქვეყნის ხელმძღვანელები, გაიმართა უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას ინიციატივით.

კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია – სამიტის მონაწილეთა ერთობლივი განცხადება ბალტიისა და შავი ზღვების ქვეყნების შემდგომი თანამშრომლობის შესახებ. აღინიშნა, რომ თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ჰუმანიტარულ დარგებში, აგრეთვე, უშიშროების სფეროში ხელს უწყობს უსაფრთხო, სტაბილური და აყვავებული ბალტია-შავი ზღვის სივრცის, როგორც განუყოფელი ევროპის შემადგენელი ნაწილის საერთო მიზნის მიღწევას.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. მან გამართა რამდენიმე დაგეგმილი შეხვედრა. პირველად მას ეწვია სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი. საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა და ესაუბრა ლატვიის პრეზიდენტს, ქალბატონ ვაირა ვიკე ფრეიბერგს, ესტონეთის პრეზიდენტს ვალდას ადამკუსს, აზერბაიჯანის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ისმაილ ჯემთან შეხვედრისას, ედუარდ შევარდნაძემ კიდევ ერთხელ გამოთქვა ღრმა სამძიმარი თურქეთში დამანგრეველი მიწისძვრის გამო.

საქართველოს პრეზიდენტმა გულთბილი საუბარი გამართა უკრაინის პრეზიდენტთან ლეონიდ კუჩმასთან.

14 Ülke katıldı

Karadeniz Ülkeleri Ekonomik İşbirliği Örgütü kurulduktan sonra uluslararası düzeyde politik ve ekonomik işbirliğinin hayata geçirilmesi gün geçtikçe daha da hızlanmaktadır.

Bu anlamda 10-11 Eylül tarihleri arasında Yalta Livadya Sarayı'nda 'Karadeniz ve Baltık ülkeleri işbirliği' ile ilgili konferans düzenlendi. 14 ülke üst düzey yöneticisinin katıldığı konferans Ukrayna Cumhurbaşkanı Leonid Kuçma'nın girişimiyle düzenlendi.

Konferansa katılan ülkeler, Karadeniz ve Baltık ülkeleri arasında 'gelecekte işbirliği' ile ilgili sonuç bildirgesi onayladı. Bildirgede; politik, ekonomik, ekolojik, insancıl ve güvenlik alanlarını kapsayan işbirliğinin bu ülkelerin ortak amaçlarına ulaşmasına yardımcı olacağının altı çizildi.

Konferansta Gürcistan Cumhurbaşkanı Eduard Şevardnadze konuşma yaptı. Bu arada bazı devlet başkanları da ikili görüşmelerde bulundu.

Gürcistan Cumhurbaşkanı Eduard Şevardnadze Ermenistan Cumhurbaşkanı Robert Koçaryan ile bir süre görüştü. Gürcistan Cumhurbaşkanı Ukrayna Cumhurbaşkanı Leonid Kuçma, Letonya Cumhurbaşkanı Vaira Vike Freiberga, Estonya Cumhurbaşkanı Lenart Meri, Litvanya Cumhurbaşkanı Valdas Adamkus, Azerbaycan Cumhurbaşkanı Haydar Aliyev ile görüşmelerde bulundu.

Gürcistan Cumhurbaşkanı Eduard Şevardnadze ayrıca Türkiye Dışişleri Bakanı İsmail Cem ile de görüşerek Türkiye'de meydana gelen depremle ilgili olarak başsağlığı diledi.

Konferans 11 Eylül'de sona erdi.

ხიდი KÖPRÜ
საქართველოს რესპუბლიკა
№255. ხუთშაბათი, 23 სექტემბერი, 1999 წელი

## პრესის ფურცლებზე

### პარლამენტს მიღმა დარჩნენ

თურქეთის პარლამენტის არჩევნებისას სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ 10-პროცენტიანი ზღუდე ვერ გადალახა. ამის გამო ამ პარტიის ცნობილი ლიდერები პარლამენტს მიღმა დარჩნენ. ცნობილმა პოლიტიკოსებმა მურად კარაიალჩინმა და ჰიქმეთ ჩეთინმა ახალი სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტებიდან მიწვევა მიიღეს ლექციების წასაკითხად.

„ჰურიეთი", 6,8,99.

### დოღუ ფერინჩექი გაათავისუფლეს

მუშათა პარტიის ყოფილი გენერალური თავმჯდომარე დოღუ ფერინჩექი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. იგი პატიმრობაში იმყოფებოდა 1998 წლის 29 სექტემბრიდან.

ყველა გაზეთი, 7,8,99.

### ლაზურ-თურქული ლექსიკონი

თურქეთში გამოვიდა ი. ბუჯაკლიშისა და პ. უზუნჰასანოღლუს მიერ შედგენილი ლაზურ-თურქული ლექსიკონი. ლაზურისათვის გამოყენებულია ლათინური ანბანი.

„ჩვენებური",
ივლისი-აგვისტო, 99.

### ქართველი მხატვრების გამოფენა

სტამბოლში, თაქსიმის ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში მოეწყო ქართველი მხატვრების ბორის ჯიმშერაულისა და მზიური ჩაჩუას ნახატების გამოფენა. გამოფენა მრავალმა სტამბოლელმა დაათვალიერა. გამოფენილი ნახატები ძალიან მოკლე დროში გაიყიდა.

„ჩვენებური",
ივლისი-აგვისტო, 99.

### შამილ თარიპი მსოფლიო ჩემპიონი გახდა

თურქი სპორტსმენი პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი კრივში, თურქმა მოკრივემ შამილ თარიპმა ფინალში დაამარცხა მეტოქე ყაზახეთიდან და ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

ყველა გაზეთი, 28,9, 99.

### ქართული სამზარეულოს შესახებ

ყოველთვიურ თურქულ ჟურნალში, რომელსაც „იოლ ბოიუნჯა" ეწოდება, დაბეჭდილია წერილი სათაურით „ქართველების სოფელი". ამ წერილში მოთხრობილია სოფელ ერდემლის ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების შესახებ. წერილი შეიცავს 8 გვერდს. ამავე ჟურნალში გამოქვეყნებულია ოთხგვერდიანი წერილი ქართული სამზარეულოს შესახებ.

„ჩვენებური",
ივლისი-სექტემბერი, 99.

### თბილისის უნივერსიტეტის გუნდმა პრემია მიიღო

ტრაპიზონში შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ გამართულ ფოლკლორის მე-5 ფესტივალზე თბილისის უნივერსიტეტის გუნდმა ჟიურის პრემია მოიპოვა.

თურქულიდან თარგმნა
მურმან ბელთაძემ.

## თურქეთი



კარვების ქალაქი.

(მეხუთე გვერდიდან)

### „ერთი აგური თქვენც დადეთ"

კატასტროფის შედეგების სწრაფად დაძლევის მიზნით, თურქეთის მასმედიის ინიციატივით წამოწყებულ კამპანიას „ერთი აგური თქვენც დადეთ," მთელი თურქეთი დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა. სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები, ჰოლდინგები და ტურისტული ფირმები, სავაჭრო და სამეურნეო გაერთიანებები, კერძო პირები და უბრალო მოქალაქეები ბანკების მიერ სპეციალურად გახსნილ ანგარიშებზე გადარიცხავენ გარკვეულ თანხას, რომელიც დაზარალებულთა ფონდში მიდის. აღნიშნულ კამპანიაში განსაკუთრებით აქტიურად ჩაებნენ ისლამური მიმართულების ორგანიზაციები და დაჯგუფებები, რომლებიც სარგებლობენ რა სტიქიური უბედურებით გამოწვეული მოსახლეობის მძიმე მდგომარეობით, მიწისძვრით გამოწვეულ მძიმე შედეგებში არსებულ ხელისუფლებას ადანაშაულებენ და პოლიტიკური დივიდენდების მოხვეჭას ცდილობენ. გერმანიაში, სადაც 2 მილიონზე მეტი თურქი ცხოვრობს, ისინი ამ მიზნებისათვის მოხერხებულად იყენებენ ევროპის თურქული ისლამური ორგანიზაციების კუთვნილ 3 ათასზე მეტ მეჩეთს. აღნიშნულ მეჩეთებში ხოჯები ნამაზის შესასრულებლად მისულ მრევლს არწმუნებენ, რომ ეს მიწისძვრა ალაჰის მხრიდან გაფრთხილება იყო, და სანამ თურქეთი ყურანის წესით არ იცხოვრებს, მსგავსი გამაფრთხილებელი უბედურებები გაგრძელდება. აქვე, შარიათული სისტემების ეკონომიკის გაძლიერების მიზნით, მათ ფულს სძალავენ. მასმედიის მიერ წამოწყებულ აღნიშნულ კამპანიაში დიდია ისლამური მიმართულების ჟურნალ-გაზეთების, ტელე-და რადიოარხების წვლილი.

ამ კამპანიაში აქტიურად მონაწილეობენ თურქეთის კონსტიტუციის თანახმად აღიარებული ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებიც და მათი პრესა, კერძოდ, თურქეთში გამომავალი სომხური გაზეთი „აგოს". ეს კამპანია დღესაც გრძელდება და 10 სექტემბრისათვის უკვე შეგროვებულია 35 ტრილიონზე მეტი თურქული ლირის ექვივალენტური თანხა (მათგან 30 ტრილიონი თურქული ლირით), რაც 75 მილიონამდე აშშ დოლარს უდრის. ამავე დროს თურქეთის „ზირაათ ბანკმა" თავის მეანაბრეებს 1 მილიარდი თურქული ლირის (დაახლოებით 2 200 აშშ დოლარი) უანგარო დახმარება გაუწია. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში ასევე აქტიურად არიან ჩაბმული საერთაშორისო ისლამური საქმიანი და ფინანსური ორგანიზაციებიც, კერძოდ, ისლამური აღორძინების ბანკმა, თავისი აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც გაიმართა საუდის არაბეთის ქალაქ ჯიდაში, თურქეთს გამოუყო 300 მილიონი აშშ დოლარის კრედიტი. მეგობრული ჟესტი გააკეთა ერაყმაც, რომელმაც თურქეთს უსასყიდლოდ გადასცა 10 მილიონი დოლარის ღირებულების ნავთობი.

# მიწისძვრის ექო

### კარვების ქალაქები

თურქეთში მეტად პოპულარულია, აგრეთვე, „მოძმე ოჯახის კამპანია", რომელიც ხორციელდება დაზარალებულთა მატერიალური და მორალური დახმარების მიზნით. იგი გულისხმობს დაზარალებული ოჯახების შეკედლებასა და დახმარებას. მიწისძვრით დაზარალებულთათვის თურქეთში დღეისათვის მოქმედებს 156 კარვების ქალაქი, სადაც 101 444 კარავში, ღია ცის ქვეშ დარჩენილი ათასობით ადამიანი ცხოვრობს. ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით, მთავრობა ცდილობს მდგომარეობა შეუმსუბუქოს დაზარალებულებს. კერძოდ, 11 სექტემბერს საქარიას ვილაიეთის ფერიზლის რაიონში საფუძველი ჩაეყარა პირველ ასაწყობ სახლს, რომელიც ზამთრის პირობებისათვის არის გათვალისწინებული (იგი აღჭურვილია გასათბობი სისტემითა და გენერატორით). 5 ათასი ასეთი სახლის მშენებლობა 15 ნოემბრისათვის უნდა დამთავრდეს. ამ დღეებში კი ნორვეგიიდან შემოვა ადაფაზარისთვის განკუთვნილი კიდევ 5 ათასი ასაწყობი სახლი. კარვების ქალაქების უკეთ მომსახურებისა და იქ მცხოვრებთა საჭიროებების მთლიანად გათვალისწინების მიზნით, თურქეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ამ დასახლებებში შექმნას მმართველობითი ორგანოები გუბერნატორის დონეზე, რომლებიც წარმართავენ კარვების ქალაქების უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, კვებისა და საცხოვრებელი პირობების პრობლემების მოგვარების საკითხებს. თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად აკითხავენ დაზარალებულ რეგიონებს და მორალურად ამხნევებენ კარვების ქალაქში მცხოვრებთ. კვირას, 12 სექტემბერს, პრეზიდენტი სულეიმან დემირელი ეწვია იალოვასა და გოლჯუკს, სადაც დაზარალებულებს განუცხადა, რომ „სახელმწიფო მთელი ძალით ეცდება მიწისძვრით მიყენებული ჭრილობების შეხორცებას, ანკარა სხვა არაფერზე ფიქრობს, თუ არა მიწისძვრით მიყენებულ იარებზე". ჟურნალისტებისთვის მოწყობილ ბრიფინგზე ადგილობრივმა გუბერნატორმა ნიჰათ ოზგიულმა განაცხადა, რომ მარტო იალოვაში დაღუპულთა რიცხვმა 2 502-ს მიაღწია, 351 შენობა მთლიანად არის დანგრეული, 10 178 შენობა კი სერიოზულად დაზიანებული. მთლიანად იალოვაში 86 700 საცხოვრებელი და საწარმო არის დაზიანებული.

### დახმარება გრძელდება

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან დახმარების პროცესი გრძელდება. ამ პროგრამის ფარგლებში, 5 სექტემბერს, ერთდღიანი ვიზიტით თურქეთს ეწვია აშშ სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი, რათა ქვეყნის ხელისუფ-



ლებისა და ხალხისათვის მიესამძიმრებინა მომხდარი მიწისძვრის ტრაგიკული შედეგების გამო. მან მოინახულა ქ. იზმითი, რომელიც სტიქიისაგან ყველაზე მეტად დაზარალდა და აღნიშნა, რომ აშშ-ის მთავრობა გეგმავს გრძელვადიანი დახმარების პროექტის მომზადებას, რათა მოკლე ვადაში დაძლეულ იქნეს მიწისძვრის შედეგად შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობა.

თურქეთში მომხდარი უდიდესი მიწისძვრის ექომ მთელ მსოფლიოს გაელვებასავით გადაუარა და ყველა სახელმწიფომ შეძლებისდაგვარად დახმარების ხელი გაუწოდა თურქ ხალხს. განსაკუთრებით მისასალმებელია ის დახმარება, რომელიც თურქეთს აღმოუჩინა მისმა ისტორიულმა მოქიშპემ — საბერძნეთმა, რომელსაც მთელი თურქი ხალხი დიდი მადლიერებით შეხვდა. 7 სექტემბერს კი, ათენში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ, თურქ მაშველთა რაზმი პირველი გაჩნდა კატასტროფის ადგილზე. სტიქიური უბედურების დროს გაწვდილი დახმარების ხელი პოლიტიკური დაახლოების საწინდარი გახდა. დიალოგი, რომელიც დაიწყო თურქეთსა და საბერძნეთს შორის, მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ეგეოსის ზღვის რეგიონისა და კვიპროსის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში.

მიწისძვრამ თავისი ტრაგიკულობის მიუხედავად, ხელი შეუწყო თურქეთსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესებას. საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის, იტალიის პრემიერ-მინისტრის მასიმო დ' ალემას და სხვა ევროპელი ლიდერების განცხადებებით, ისინი მხარს უჭერენ მიწისძვრისაგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად თურქეთისთვის ევროკავშირიდან თანხების გამოყოფას, ამჯერად შესაძლოა, საბერძნეთმაც აღარ დაადოს ვეტო თანხების გადარიცხვას. როგორც ჩანს, მათ შეცვალეს პოზიცია თურქეთის ევროკავშირში მიღებასთან დაკავშირებით. უნდა ველოდოთ, რომ ჰელსინკის 10-11 დეკემბრის სამიტზე ევროპის სახელმწიფოები, მხარს დაუჭერენ თურქეთს, მისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხში.

ზაურ მჭედლიშვილი.

### ახალი მიწისძვრა თურქეთში

13 სექტემბერს, 14 საათსა და 58 წუთზე მარმარილოს ზღვის რეგიონში მოხდა 5,8 ბალიანი მიწისძვრა, რომელიც 20 წამს გრძელდებოდა და, რომლის ეპიცენტრიც, ისევე, როგორც 17 აგვისტოს, **იზმითში** იყო. ახალი მიწისძვრის შედეგად იზმითში დაიღუპა 5, დაშავდა 239 და ნანგრევებში მოყვა 20 ადამიანი. ქოჯაელისა (იზმითი) და საქარიას (ადაფაზარი) ვილაიეთებში თავზარდაცემული ხალხი ფანჯრებიდან და აივნებიდან ხტებოდა, რის გამოც, მრავალი დაშავდა და 2 ადამიანი დაიღუპა. იზმითში დაინგრა 15, ხოლო გოლჯუქში 7 შენობა. ბიძგები აგრეთვე, იგრძნობოდა სტამბოლში, ბურსაში, ჩანაქქალესა და იზმირშიც.

ბოსფორის უნივერსიტეტის მიწისძვრების კვლევის ინსტიტუტის დირექტორის პროფ. აჰმეთ იშიქარას თქმით, ახლანდელ მიწისძვრას ისინი ელოდნენ და ამ ძალის (5-6 ბალი) მიწისძვრები შემდეგშიც (3 თვიდან 1 წლამდე პერიოდის განმავლობაში) განმეორდება.

დათო დევნოზაშვილი.



ბავშვები, ყველგან ბავშვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღვაწე

# რიგით მეშვიდე პრეზიდენტი



თურქეთის რესპუბლიკის რიგით მეშვიდე პრეზიდენტი **ქენან ევრენი** დაიბადა 1918 წელს მანისის ვილაიეთის, ალაშეპირის რაიონში, სახელმწიფო მოხელის ოჯახში. მამამისი ჰაირულაჰ ბეი მონოპოლიური პროდუქციის სამმართველოს მუშაკი იყო, დედა ქალბატონი ნაჯიე-დიასახლისი.

ქენან ევრენმა დაწყებითი და საშუალო განათლება ალაშეპირის, მანისისა და სტამბოლის სკოლებში მიიღო. 1936-1938 წლებში, იგი სამხედრო სასწავლებლის მსმენელია. 1940 წელს, საარტილერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ქენან ევრენი სამხედრო სამსახურს თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში იწყებს. 1946 წელს სამხედრო აკადემიაში შედის და 1949 წელს წარმატებით ამთავრებს. იგი, ჯერ გენერალური შტაბის სასწავლო სამმართველოს ერთ-ერთი ნაწილის უფროსად ინიშნება, შემდეგ იყო პირველი არმიის სარდლის თანაშემწე, სახმელეთო ჯარების აკადემიის მასწავლებელი, მონაწილეობდა კორეის ომში თურქეთის რესპუბლიკის ბატალიონის შტაბის უფროსად.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ქენან ევრენი თურქეთის შეიარაღებული ძალების ტექნიკური აღჭურვისა და მომარაგების სასწავლო ცენტრის უფროსია, შემდეგ, 227-ე ფეხოსანი პოლკის, მე-9 საარმიო კორპუსის მეთაურია, იყო სახმელეთო ჯარების სამხედრო სასწავლებელთა სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე.

ქენან ევრენს 1964 წელს ბრიგადის, 1967 წელს დივიზიის, ხოლო 1970 წელს კორპუსის გენერლის სამხედრო წოდებები ენიჭება. მალე იგი მე-11 კორპუსის სახმელეთო შეიარაღებული ძალების საინსპექციო საბჭოს, სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსი ხდება.

1974 წლის 30 აგვისტოს, ქენან ევრენმა არმიის გენერლის წოდება მიიღო, 1975 წელს კი, თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ვიცე-სარდალია. მალე იგი ეგეოსის რეგიონში დისლოცირებული არმიის მეთაურად, ხოლო შემდეგ, სახმელეთო ჯარების სარდლად ინიშნება.

1978 წლის 7 მარტს ქენან ევრენი გენერალური შტაბის უფროსის პოსტს იკავებს. ამ პერიოდში თურქეთის რესპუბლიკა ანარქიამ და შინაგანმა არეულობამ მოიცვა. სეპარატისული და უკანონო შეიარაღებულმა ბანდების თარეშმა, პოლიტიკურმა ტერორმა, სახელმწიფო და კერძო პირთა ქონების ძარცვამ, ადამიანის გატაცებამ კულმინაციას მიაღწია. ქვეყანა სამოქალაქო ომის დაწყების რეალური საფრთხის წინაშე დადგა. ხელისუფლება უძლური აღმოჩნდა კონტროლი გაეწია შექმნილი ვითარებისათვის.

რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესები დაუყოვნებლივ მოითხოვდა რადიკალურ ღონისძიებათა განხორციელებას, საშიში მოვლენების აღკვეთას და სათანადო წესრიგის დამყარებას.

1980 წლის 12 სექტემბერს თურქეთის შეიარაღებული ძალების სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო და ჟანდარმერიის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობამ ხელისუფლების სადავეები თავის ხელში აიღო და ეროვნული უშიშროების საბჭოს სახელით სახელმწიფოს მართვა-გამგეობა იტვირთა. 1982 წლის 7 ნოემბერს ქენან ევრენი არსებული კონსტიტუციის შესაბამისად ქვეყნის პრეზიდენტის პოსტს იკავებს.

მისი მმართველობის პერიოდში მრავალ სასიკეთო ინიციატივას მიეცა დასაბამი. ქვეყანა, კვლავ ჩვეულ რიტმში ჩადგა, გაფართოვდა და გაუმჯობესდა ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა, კვლავინდებურად აღდგა ქვეყნის საერთაშორისო სახელი და ავტორიტეტი.

პრეზიდენტი ქენან ევრენი აქტიურად მონაწილეობს თურქეთის საგარეო პოლიტიკის შემდგომი განმტკიცების საქმეში. იგი სახელმწიფო ვიზიტით ეწვია შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს, პაკისტანს. მისი ინიციატივით და თავმჯდომარეობით მოეწყო ისლამური ქვეყნების წარმომადგენელთა მე-4 და მე-5 კონფერენციები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ხსენებულ ქვეყნებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ განვითარება-გაფართოებას.

1989 წლის 9 ნოემბერს პრეზიდენტი ქენან ევრენი პრეზიდენტობის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა.

ამჟამად ქენან ევრენი პენსიაზეა.

**ანზია ჯანელიძე.**

მეცნიერება

## ბუნების იშვიათი მოვლენის კვალდაკვალ

# მზის სრული დაბნელება

**როგორც ვიუწყებოდით, 11 აგვისტოს, თურქეთში მზის სრული დაბნელების დასაკვირვებლად მუშაობდა ქართულ-თურქული ორი ერთობლივი ექსპედიცია. ამის თაობაზე მოგვითხრობს ექსპედიციის თურჰალის ჯგუფის ხელმძღვანელი ვაჟა ყულიჯანაშვილი.**

დღეს 13 აგვისტოა. თექვსმეტსაუკუნოვანი ბრწყინვალე ისტორიის მქონე ქალაქ სტამბოლში იწყება საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: **„ჩვენი ათასწლეულის მზის უკანასკნელი სრული დაბნელება“**, რომლის მიზანია მზის წინა დაბნელებებზე მიღებული მასალის შეჯერება და მიღებული შედეგების გაცნობა. ხვალ ჩემი მოხსენებაცაა დაგეგმილი.

კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, იაპონიის, კორეის, რუსეთისა და სხვა დელეგაციებთან ერთად ჩვენი სამკაციანი ჯგუფიც იყო მიწვეული. ჩემმა მოხსენებამ მრავალი კითხვა და საკმაოდ დიდი ინტერესიც გამოიწვია. კონფერენცია საქმიანად ჩატარდა. ახლა საჭიროა 11 აგვისტოს მზის სრულ დაბნელებაზე გადაღებული მასალა გავამჟღავნო და ორიოდე ტონა საექსპედიციო ტვირთს მივხედო, რომელიც თურჰალსა და ელაზიღში მზის სრულ დაბნელებაზე დაკვირვების შემდეგ სტამბოლში შეგროვდა. აუცილებელია ამ ტვირთის ობსერვატორიაში მშვიდობით დაბრუნება. ფირების პირველი პარტიის გამჟღავნებამ კარგი შედეგი მოგვცა.

16 აგვისტო... დღის სიცხით გათანგულმა საწოლს მივაშურე და ხვალინდელ საზრუნავზე ფიქრში გართულმა ძილს მივეცი თავი... უეცრად ელდანაკრავმა გავახილე თვალი, ღამის 2 საათია, გაოგნებული ვიყავი... გარკვევით ისმოდა ხმაური, მიწა გუგუნებდა, ხმა ძლიერდებოდა და როდესაც მას ფრინველებისა და ცხოველების შეშფოთებული ხმებიც დაერთო, საწოლიდან წამოვიჭერი, სასწრაფოდ გარეთ გამოვვარდი და იქ მყოფ ხალხს შევუერთდი. ორიოდე წამში წიაღიდან პირველი ბიძგიც ვიგრძენი. დედამიწა თრთოდა და ბიძგები ძლიერდებოდა. ვერტიკალური რხევა, შემდეგ ჰორიზონტალურით შეიცვალა და ისე გაძლიერდა, რომ თითქოს დედამიწა უნდა გაიხსნას და ყველაფერი შიგ ჩაიტანოსო. შეშინებული ხალხი იდგა, უმწეოდ გაჰყურებდა სივრცეს, რომელსაც ერთმანეთთან ახლო მდგომი ელექტრობოძების ვარდნით გამოწვეული, მოკლე ჩართვების შედეგად წარმოქმნილი ცეცხლოვანი ენები რომ გაანათებდნენ დრო და დრო.

როგორც შემდეგ გაირკვა, სტამბოლში მიწისძვრის ძალამ 7,2 ბალს მიაღწია რიხტერის შკალით. თურქეთის სხვადასხვა ქალაქში მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მსხვერპლმა 40 000 მიაღწია.

მზე ზღვიდან ნელა ამოიწვერა, ჰორიზონტი განათდა, ბიძგები ფაქტობრივად შეწყდა, მაგრამ მცირე ძალით ისინი მეორდებოდნენ და გვახსენებდნენ იმ საშინელი შეგრძნებით გამოწვეულ წუთებს, რომელსაც ძლიერი ბიძგების მომლოდინენი განვიცდიდით. მაგრამ ძირითადი საფრთხე გავლილი იყო. ვირწმუნეთ, რომ ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

ფირების მეორე პარტიის გამჟღავნებამაც კარგი შედეგი მოგვცა, ისიც მოხერხდა, რომ სარეისო ავტობუსი სტამბოლი-თბილისი ტვირთის თავმოყრის ადგილამდე მიგვეყვანა და დაგვეტვირთვა.

„მერსედესის“ მარკის ავტობუსის მოხერხებულ სავარძელში მოკალათებულმა, თავი საფრთხიდან გამორიდებულად ვიგრძენი... წინ 24 საათიანი გზა მელო და თავი ფიქრს მივეცი..

თითქოს შეცდომა არსად დაგვიშვია... 11 აგვისტოს მზის დაბნელების სრული ფაზის დადგომის წინ ერთი საათით ადრე ყველა ხელსაწყო სრულ მზადყოფნაში იყო ცისკენ მიმართული და დამკვირვებლები ჩემს ნიშანს ელოდნენ. ექსპერიმენტი კი, რომლის მართვა და წარმატებით დასრულებაც მევალებოდა — ექვსი იყო, აქედან ოთხი, ჩვენი ობსერვატორიის მიერ დაგეგმილი, ხოლო ორი თურქული, მათი ხელსაწყოებისა და ინტერესების მიხედვით მიმდინარე, რომელთა დაგეგმვასა და მომზადებაში ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. თუ მიღებული მასალის ხარისხის მიხედვით ვიმსჯელებთ, სამეცნიერო შედეგის თვალსაზრისით უკმაყოფილების არავითარი საბაბი არ არის, ვერც საყოფაცხოვრებო პირობებს დავემდურებით. ჩემი აზრით, შესაძლებლობის მაქსიმუმი გაკეთდა, რომ ნაყოფიერად გვეშრომა და შინაარსიანად დაგვესვენა. ამ საქმეში ძალზე დიდი როლი ადგილობრივმა გურჯებმა შეასრულეს; ყურადღებას არ გვაკლებდნენ, თავს დაგვტრიალებდნენ, ხშირად სტუმრად გვეძახდნენ და თვითონაც გვაკითხავდნენ ხოლმე შესაბამისი ძღვენით. ამას დაუმატეთ ოფიციალური მიღებები ქალაქის ხელისუფალთა მიერ, გამოსვლები და ინტერვიუები ადგილობრივი ტელევიზიით, ორიგინალური საჩუქრები ჩვენი იქ ყოფნისა და ექსპედიციის მომზადებაში ჩვენი წვლილის აღსანიშნავად. დასვენებისას, ქალაქის სტადიონზე, რომლის ძირითადი ნაწილის მიღმა მდებარე არე დასაკვირვებელ მოედანს წარმოადგენდა, ფეხბურთის მატჩიც გავმართეთ ჩვენი ექსპედიციის წევრებსა და თურქეთის „ნაკრებს“ შორის.

დიდი მადლობა ექსპედიციის **თურჰალის** ჯგუფის ყველა წევრს, ვინც ძალ-ღონე არ დაიშურა, რომ დაგეგმილი სამუშაო მთელი სისრულით მაღალ დონეზე შეგვესრულებინა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ზურაბ კაპანაძე, რომელიც ქ. **ელაზიღში** დაბანაკებულ ჯგუფში იყო და, რომელმაც დაუზარებლად 700 კმ გადმოლასა ჩვენს პირველ დაძახილზე და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ელექტროპოლარიმეტრისა და კომპიუტერის ერთობლივი სისტემის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას. მადლიერების გრძნობით მინდა მოვიგონო ჩვენი მასპინძლების, ველზე ჩვენთან ერთად მყოფი სხვა ექსპედიციების ყურადღება ჩვენი ჯგუფის ყოველი წევრისადმი.

ირიჟრაჟა... ფიქრებში გართულს ნელ-ნელა დამათენდა თავზე. საქართველოს საზღვარი გადმოვკვეთეთ. წინ მოპოვებული მასალის დამუშავებისა და გაანალიზების ხანგრძლივი და რთული პროცესია, რომელიც საშუალებას მოგვცემს კიდევ ერთი მცირე ნაბიჯი გადავდგათ მზის კორონის აგებულების შეცნობის გზაზე.

**ვაჟა ყულიჯანაშვილი,**
აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ექსპედიციის ხელმძღვანელი.

**სტამბოლი-აბასთუმანი.**



მიმდინარეობს პირდაპირი გადაცემა.


სტუმრები.


სრული მზადყოფნა.

გახსენება

# რევაზ ჯაფარიძე



გამოჩენილი ქართველი მწერლის, **რევაზ ჯაფარიძის** გარდაცვალებით ქართულმა მწერლობამ, საქართველომ დიდი დანაკლისი განიცადა.

რევაზ ჯაფარიძე ჩვენი საზოგადოების გამორჩეული, მაღალი ეროვნული იდეალებისათვის მებრძოლი პიროვნება იყო და ყოველთვის ხმალამოღებული ებრძოდა საქართველოს მტრებს.

მოესწრო კიდეც თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს, რომლისთვისაც მთელი სიცოცხლე თავს არ იზოგავდა და რისკის ზღვარზე მოქმედებდა.

ქართული პროზის შესანიშნავი ოსტატის რევაზ ჯაფარიძის რომანები და მოთხრობები ქართველი კაცის ქედუხრელობასა და ვაჟკაცობას ემსახურებოდა, მწერლის პროზაულ ნაწარმოებებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ოთხტომეულს „მძიმე ჯვარი". ამ რომანისათვის მწერალმა უდიდესი ჯილდო, შოთა რუსთაველის სახელობის პრემია დაიმსახურა.

სხვა მრავალი ჯილდოებიც ჰქონდა ღვაწლმოსილ მოღვაწეს. მისთვის ძალზე ძვირფასი იყო თავისუფალი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდო – „ღირსების ორდენი".

რევაზ ჯაფარიძე ყოველთვის ეხსომება ქართველ ხალხს, მის მრავალრიცხოვან მკითხველებს.

**„ხიდის" რედაქცია.**

**REVAZ CAPARİDZE**

Ünlü Gürcü yazarı Revaz Caparidze yakalandığı hastalık sonucu hayata gözlerini yumdu.

Revaz Caparidze kamoyumuzun seçkin, yüksek, milli mefkureye candan bağlı bir siması idi. O, Gürcistan düşmanlarına karşı özveriyle savaşıyordu. Rüyası hakikat oldu.O, özgür ve bağımsız Gürcistan'a yetişti.

Caparidze'nin ölümü Gürcü Edebiyatı için büyük bir kayıp.Revaz Caparidze Gürcü neslinin yetiştirdiği büyük usta kalemlerden birisiydi. Roman ve öykülerinde Gürcü insanının yaşamını yansımıştı. Eserlerinden en önemlisi dört ciltlik Ağır Haç (Mdzime Cvari) romanıdır. Bu roman için yazara "Şota Rustaveli" ödülü verildi.

Emektar yazar yaşamı boyunca birçok ödüle layık görülürken bunlar arasında en önemlisi Bağımsız Gürcistan'ın "Şeref Nişanı" onun için özellik taşıyordu.

Revaz Caparidze'nin adı Gürcü halkı ve çok sayıda okuyucusu tarafından hiçbir zaman unutulmayacak..

"HİDİ" Gazetesi Yazı İşleri Kurulu

თარგმანი

Nodar Dumbadze

# SONSUZLUK YASAK

Türkçesi: ALİ ALTUN
Yayına hazırlayan: MEHCURE KARAORE

**devam**

"Papaz İoram, başka sayfalara da baksana, Bulika'nın söylediği gibi bu ne biçim sansasyon?" dedi Baçana. Papaz gazeteyi evirip çevirdi. Birinci sayfaya dikkatle baktı, birden saşırdı.

"İnanamıyorum!" diyerek gazeteyi gözlükle birlikte Baçana'ya attı.

"Neye inanamıyorsun papaz efendi?" dedi ve hemen gözlüklerini taktı Baçana.

"Olamaz!" dedi Baçana gazeteyi bakınca.

"Ne o olamayan, savaş mı var yoksa?" diye korkuyla sordu Bulika.

"Nebieritze'yi görevden almışlar!" dedi Baçana ve yeniden gazeteye eğildi. "Evet!" diye sürdürdü haberi gözden geçirince.

"Bu hangi Nebieritze, parti merkez komitesinde çalışan mı?" Bulika'nın gözleri şaşılaştı.

"Evet!" diye yanıtladı Baçana gözünü gazeteden ayırmadan.

"En büyük şube müdürü mü?" diye sordu Bulika.

"Evet, en büyük şube müdürü!" diye yanıtladı Baçana.

"Vah vahhh!" diye başını salladı Bulika.

"Şimdi de onun arkadaşlarını buz patencisi gibi yerlerinden kaydırırlar.

"Gerçeği söylemek gerekirse, sanmıyordum!" dedi Baçana, gazeteyi bir yana atarak.

"Ben hâlâ inanamıyorum," dedi papaz İoram.

"Düne kadar ülkeyi tirtir titretiyordu. Bugün görevden alıyorlar. Benim aklım ermiyor buna."

"Görevden mi uzaklaştırdılar, yoksa görevden mi aldılar?" dedi Bulika.

**devamı var**

გამოცემა

# ოსმალეთის სახელმწიფოს 700 წელი

წლეულს შესრულდა ოსმალეთის სახელმწიფოს დაარსების 700 წელი. 1299 წელს სელჩუკთა სასულთნოს სასაზღვრო ტერიტორიის (უჯის) მმართველმა (უჯბეგმა), ოღუზთა მოდგმის ქაის ტომის ბელადმა ოსმანმა თავი დააღწია სელჩუკთა სულთნისადმი მორჩილებას და ფაქტობრივ დამოუკიდებლობას მიაღწია. სწორედ ეს წელი ითვლება ოსმალეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების დასაწყისად. ევროპელები ოსმანს ოტოს უწოდებდნენ. აქედან წარმოიშვა ოსმალეთის სახელმწიფოს სახელწოდება – ოტომანთა სახელმწიფო ანუ ოტომანთა იმპერია.

ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორიის საკითხების შესწავლას საქართველოში ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილმა მიაქცია ყურადღება, ხოლო მის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაუყარა დიმიტრი ბაქრაძემ. ოსმალეთის ისტორიის საკითხებს მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი. უაღრესად მნიშვნელოვანი ოსმალური წყაროები და სამეცნიერო ნაშრომები გამოაქვეყნეს აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ, პროფესორმა ვალერიან გაბაშვილმა და მათმა მოწაფეებმა ცისანა აბულაძემ, გიორგი ფუთურიძემ, ნოდარ შენგელიამ, ვიტალი ჩოჩიევმა, გიული ალასანიამ და სხვ. ოსმალეთის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა და კულტურის პრობლემებს წარმატებით იკვლევს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ სვანიძე, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს 200-მდე ნაშრომი (მათ შორის 7 მონოგრაფია) ქართულ და უცხოურ ენებზე.




ახლახან გამოქვეყნდა პროფესორ მიხეილ სვანიძის 275 გვერდიანი ნაშრომი „ოსმალეთის ისტორია". წიგნი იმითაც არის საყურადღებო, რომ საქართველოში დღემდე არ არის დაწერილი ოსმალეთის ისტორია. პროფესორ მიხეილ სვანიძის წიგნი ნაწილობრივ ავსებს ამ ხარვეზს.

ნაშრომში განხილულია ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორიის საკითხები XIV-XVI საუკუნეებში. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა და გაძლიერდა ოსმალეთის სახელმწიფო. ამავე დროს შეინიშნება მისი დასუსტება – დაქვეითების ნიშნებიც.

წიგნში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ოსმალეთის ურთიერთობას დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან, კერძოდ, საქართველოსთან. ავტორი მის მიერ მიკვლეული ფაქტების ანალიზის საფუძველზე, ბევრ საყურადღებო, ახლებურ დასკვნებს აკეთებს, რაც დიდად მნიშვნელოვანია საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის.

ნაშრომი დასურათებულია ოსმალეთის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სულთნების სამეფო კარის ცხოვრების ამსახველი ფოტოებით, რაც სამწუხაროდ, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე ვერ არის შესრულებული.

წიგნს თან ერთვის ქრონოლოგიური დანართი ახლო აღმოსავლეთში სელჩუკთა შემოტევებიდან დაწყებული, ვიდრე მე-16 საუკუნის დამლევსა და მე-17 საუკუნის დასაწყისში ანატოლიაში გლეხთა აჯანყებამდე, რომელსაც ყარაიაზიჯი-დელი ჰასანი მეთაურობდა.

საყურადღებოა ბიბლიოგრაფიის – გამოყენებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის დანართი.

პროფესორ მიხეილ სვანიძის ნაშრომი „ოსმალეთის ისტორია" დიდ დახმარებას გაუწევს მეცნიერებს, სტუდენტ ახალგაზრდობას, ყველა დაინტერესებულ პირს ოსმალეთის ისტორიის შესწავლაში.

**აბესალომ იმედაშვილი.**

ღიმილის დოზა



მიწისძვრა ვერ შეარყევს ჩვენს ძმობას!

ვახტანგ კუციას ნახატი.

სარედაქციო კოლეგია:
აბესალომ იმედაშვილი (რედაქტორი), ანზორ ბასილაია, მურმან ბელთაძე, ნელი გურგენიძე, ოთარ დოლიძე, მიხეილ სვანიძე, ჯემალ ქარაზანიშვილი, ნოდარ ჟანაშია.
ტელ: 99-73-01.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოევიკები თავისას არ იშლიან



აღმოსავლეთ ტიმორში საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტის სარდალმა, გენერალ-მაიორმა პიტერ კოსგრუევმა განაცხადა, რომ ტერიტორიის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ბოევიკთა აგრესიული მოქმედება გრძელდება უცხოელ სამხედრო მოსამსახურეთა ჩამოსვლის მიუხედავად. კოსგრუევმა აღნიშნა, რომ სიტუაცია განსაკუთრებით სახიფათოა იმის გამო, რომ შეუძლებელია ამ თავდასხმების განჭვრეტა. მშვიდობისმყოფლებმა დაადასტურეს დილის მიდამოებში დასავლელი ჟურნალისტის – „ფაინენშლ ტაიმსის“ ჯაკარტელი კორესპონდენტის მკვლელობის ფაქტი. როგორც გენერალმა კოსგრუევმა თქვა, ინდონეზიისაგან აღმოსავლეთ ტიმორის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლი სამხედრო ფორმირებები კვლავ გააქტიურდნენ დილიში ლტოლვილთა დაბრუნების შემდეგ.

დამშეული ადამიანები კი ველარ ითმენენ, ამიტომ გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამა ოპერაციას ახორციელებს აღმოსავლეთ ტიმორში და ლტოლვილებს ჰაერიდან უყრიან აუცილებელ ნივთებსა და პროდუქტებს. სამი სამხედრო თვითმფრინავი 30 ტონამდე სურსათს ჩაყრის ლტოლვილთა ყველაზე დიდი თავშეყრის ადგილებში. ამ დროს, ათასი სასოწარკვეთილი ადამიანი დაბრუნდა დილიში, ისინი შეესივნენ საწყობებს, რომლებშიც ინახებოდა ბრინჯის, შაქრისა და ცხიმის მარაგი. როგორც სურსათ-სანოვაგის დატაცების მონაწილე ერთ-ერთმა ლტოლვილმა განუცხადა ბი-ბი-სის კორესპონდენტს, ადამიანები იმდენად დამშეულები არიან, რომ ველარ დაელოდებიან, როდის დაიწყება საერთაშორისო დახმარების განაწილება.

# განმეორებითი მიწისძვრა ბიძგი ტაივანში

ტაივანში მძლავრი განმეორებითი მიწისქვეშა ბიძგის გამო მაშველებმა ვერ მიაღწიეს მიწისძვრის შემდეგ გადარჩენილ ადამიანებამდე, რომლებიც შენობების ნანგრევების ქვეშ აღმოჩნდნენ. დაახლოებით სამი ათასი კაცის ნანგრევებიდან ამოყვანისათვის ოპერაციაში მონაწილეობდნენ ჯარები ვერტმფრინავებითა და ბულდოზერებით. მიწისძვრამ 1700-ზე მეტი კაცი იმსხვერპლა და მაშველები ძირითადად მხოლოდ ახლა პოულობენ დაღუპულთა გვამებს. მიწისძვრამ განსაკუთრებით დააზიანა რაიონები ტაივანის ცენტრში. სამაშველო ოპერაციებს ხელს უშლის დანგრეული გზები და დაზიანებული ხიდები. მთელმა რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის შეერთებულმა შტატებმა, სინგაპურმა და თურქეთმა, იქ მაშველი ბრიგადები გაგზავნეს.



# ომი ჩეჩნეთთან თუ საერთაშორისო ტერორიზმთან?

მართალია, დაღესტანში ისლამისტი ბოევიკების წინააღმდეგ ბრძოლები შეწყდა და ბოევიკებმა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე დაიხიეს, ვითარება რუსეთში უკიდურესად დაძაბული რჩება.

ტერორისტულმა აქციებმა რუსეთის ქალაქებში 300-მდე მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე შეიწირა. თუ ჩეჩნეთის ომის დროს რუსეთის მოსახლეობა და საერთაშორისო საზოგადოებრიობა მკაცრად გმობდა კრემლის ხელისუფალთ ომის გაჩაღებისათვის, ამჟამად დაღესტანში ისლამური რესპუბლიკის შექმნის ლოზუნგით ისლამისტი ბოევიკების შეჭრისა და რუსეთის ქალაქებში ტერორისტული აქციების შემდეგ განწყობილება რადიკალურად შეიცვალა. მოსახლეობის აღშფოთებამ ტერორისტული აქციების გამო აპოგეას მიაღწია. გაისმის ისტერიული მოწოდებებიც კი – გაუსწორდნენ არა მარტო ტერორისტებს, არამედ „კავკასიური წარმოშობის პირებს“, სულ უფრო პოპულარული ხდება ლოზუნგი – ერთი საცხოვრებელი სახლის აფეთქების პასუხად მოსპონ ერთი ჩეჩნური სოფელი. ვითარებას უკიდურესად ძაბავს გაურკვევლობა, არავინ იცის, ხვალ ვისი საცხოვრებელი სახლი აფეთქდება. ქალაქებში იქმნება შენობების დაცვის რაზმები. რუსეთის ხელისუფლებისაგან გადამჭრელ მოქმედებას მოითხოვენ მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.



რუსეთის ფედერალური საბჭოს დახურულ სხდომაზე კავკასიაში შექმნილი მდგომარეობა განიხილეს. პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ტერორისტების წინააღმდეგ „იმოქმედებენ მკაცრად და სწრაფად“. თქვა, რომ საბჭოს არ განუხილავს ჩეჩნეთში ჯარების შეყვანის საკითხი. მაგრამ განაცხადა, რომ რუსეთის ავიაცია და არტილერია გააგრძელებს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ბოევიკების დასაყრდენი ბაზებისა და შეკრების ადგილების ინტენსიურ დაბომბვას, გაძლიერდება ჩეჩნეთის ირგვლივ ადმინისტრაციული საზღვრის დაცვა. შეიქმნება სანიტარიული კორდონი, რათა არ მოხდეს ჩეჩნეთის ტერიტორიიდან ბოევიკების შეჭრა, მათი იარაღით მომარაგება. პრემიერმა თქვა, რომ არ დაუშვებენ რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობის ხელყოფას, უნდა გადაისინჯოს 1996 წლის ხასავიურტის შეთანხმებები; ჩეჩნეთი რუსეთის ფედერაციის სუბიექტია!



რუსეთის ავიაცია, ვერტმფრენები, არტილერია ინტენსიურად ბომბავს დაღესტანსა და ჩეჩნეთს შორის საზღვრის მთელ მონაკვეთს, ბოევიკების ბაზებსა და თავშეყრის ადგილებს. აღნიშნავენ, რომ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე 5-7 ათასი ისლამისტი ბოევიკი დაღესტანში შესაჭრელად ემზადება.

რუსეთმა ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვარზე თავი მოუყარა რეგულარული არმიის თითქმის 30 ათას რჩეულ ჯარისკაცს (სპეცრაზმები, მედესანტეები, საზღვაო ქვეითები) და 2500 ოფიცერს. დაიწყო ჩეჩნეთის საზღვრის ირგვლის „სანიტარიული კორდონის“ შექმნა.

ინგუშეთის პრეზიდენტმა რუსლან აუშევმა ნება დართო რუსეთის ჯარს დაეკავებინა პოზიცია ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვარზე.

ფრანს პრესის ცნობით, ბოევიკების ერთ-ერთმა თავკაცმა შამილ ბასაევმა განაცხადა, რომ სპეციალურად ამზადებს 400 ტერორისტ-კამიკაძეს რუსეთის ტერიტორიაზე შესაგზავნად.

რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ გენერალ-პოლკოვნიკმა ვალერი მანილოვმა თქვა, რომ დაღესტნის დაცვა და ტერორისტ-ბოევიკების განადგურება სამეტაპიანი გეგმის შესაბამისად განხორციელდება, რომ გეგმა ითვალისწინებს ჩეჩნეთის ირგვლივ „სანიტარიული კორდონის“ შექმნას, „საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიით იარაღის შეღწევის შეწყვეტას“.

დაღესტნის კონფლიქტს და მის ირგვლივ მოვლენებს რომ რამდენიმე „რეჟისორი“ ჰყავს, ამაზე მეტყველებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთი შეხედვით მოულოდნელი, რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის ჯგუფის ვიზიტი. ჯგუფის ხელმძღვანელის განცხადებით, კორუფცია რუსეთში ტერორიზმის მწვერვალია.

სამშაბათს ამერიკის კონგრესის საბანკო საქმეთა კომიტეტმა დაიწყო მოსმენა რუსეთიდან გამდინარე „ბინძური კაპიტალის“ ნიუ-იორკის ბანკების მეშვეობით „გაკეთილშობილების“ ფაქტების შესასწავლად. პირველ მოსმენაზე გამოიძახეს ფინანსთა მინისტრი ლორენს სომერსი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსი ჯეიმზ ვულსი.

**რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ახლა რუსეთი საერთაშორისო ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციის შეგზავნილებს ებრძვის.**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა და მისმა კანადელმა კოლეგამ მიმართეს „დიდი რვის“ ხელმძღვანელებს, მომავალ კვირას, ნიუ-იორკში გამართონ სპეციალური სამიტი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

**საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი თანამშრომლობენ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი სტრატეგიისა და ტაქტიკის შესამუშავებლად.**

ირაკლი ჯაფარიძე.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადეს ლია გოგიჩაიშვილმა, ლევან ბოჭორიშვილმა.

D. M. GEORGIA USA CVISCO DIPLOMAT MOTORS LTD

საქართველო აშშ შპს კვისკო დიპლომატ მოტორსი

გთავაზობთ

| მოდელი | ფასი |
|---|---|
| LADA 21043 (ფურგონი) | 3830 |
| LADA 21065 | 3500 |
| LADA 21070 | 3560 |
| LADA 21074 | 3620 |
| LADA 21093 (სტანდარტი) | 4190 |
| LADA 21093 (მეტალიკი ლუქსი) | 4305 |
| LADA 21099 (სტანდარტი) | 4535 |
| LADA 21099 (მეტალიკი ლუქსი) | 4650 |
| LADA 21213 | 3850 |
| LADA 21213 (თეთრი) | 3950 |
| LADA 21102 | 5225 |
| LADA 21102 (მეტალიკი) | 5340 |
| ჰონდას ელექტროგენერატორებს. დაგვიკავშირდით: 51-91-61. პრეისკურანტის ვადა ერთი თვე. | |



მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-14 კმ. ნ. ბარათაშვილის ქ. № 8. ტელ: 53-35-35; 53-35-36. ფაქსი: 53-35-40. ავტომანქანების რეალიზაცია მოხდება ნ. ბარათაშვილის ქ. № 8-ში, დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-14 კმ.

## დააპატიმრებულია ჰამასის სამი ხელმძღვანელი

პალესტინის რადიკალური მოძრაობის ჰამასის სამი ლიდერი – პოლიტიკური ბიუროს შეფი, ორგანიზაციის პრესმდივანი და პოლიტბიუროს ერთ-ერთი წევრი – იორდანიის ხელისუფლებამ დააპატიმრა საზღვარგარეთ მოგზაურობიდან დაბრუნებისთანავე. სამივეს ბრალად ედება არაკანონიერი პოლიტიკური საქმიანობა. აგვისტოში იორდანიის ხელისუფლებამ ამანში დახურა ორგანიზაციის ოფისები და ჰამასის 15 წევრი დააპატიმრა იმავე ბრალდებით. ჰამასმა, რომელიც მკაცრ ოპოზიციაში უდგას ახლო აღმოსავლეთის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესს, ბრალად დასდო იორდანიას ის, რომ ქვეყნის ხელისუფლება დაჰყვა ამერიკელების ნებას.

## ფეხბურთი

**ბრძოლისუნარიანობა თანდაყოლილი თვისებაა თუ შეძენილი?! მოდით, ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის რამდენიმე შეხვედრის მაგალითზე ვეცადოთ. ისე, თუ პირადად ჩემი მოსაზრება გაინტერესებთ, ახალს არაფერს გეტყვით, უბრალოდ, მრავალთა პოზიციას გავიზიარებ და გავიმეორებ – ამ ღირსებით მოჭარბებულად გერმანელები არიან დაჯილდოებულნი.**

გადის წლები, იცვლებიან თაობები, ამ ქვეყნის ნაკრები და კლუბები კი სპორტული ქინით (რა თქმა უნდა, ოსტატობითაც) მიღწეულ წარმატებებს ახვავებენ. იქნებ, აღნიშნული პარადოქსული კანონზომიერების საიდუმლო თვით ამ ყველაზე ომისმოყვარული (ცნებავთ, მეომარი) ერის მენტალიტეტში იმალება? ვინ იცის.

ახლა კი უმთავრეს სათქმელს – ჩემპიონთა ლიგის მორიგ რაუნდს დავუბრუნდეთ.

წინა გათამაშების ფინალისტი მიუნხენის „ბაიერნი“ შოტლანდიაში 20 წლის პორტუგალიელა მეკარის ვესლერის ამარა ჩავიდა. მისი უფროსი კოლეგები – გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი კანი და დრეერი ბუნდესლიგის განვლილი ტურის მატჩში დამავდნენ და შინ დარჩნენ. დაუმატეთ ყოველივეს „გლაზგო რეინჯერსის“ ფანატთა მუსიკალური აკომპანიმენტი და წარმოიდგინეთ, როგორი გამოცდა ელოდა ფავორიტს. ვითარება კრიტიკული გახდა 22-ე წუთიდან, როცა სტუმართა თანამემამულემ ალბერტცმა შორეული დარტყმით ბრიტანელები დააწინაურა – 1:0. სწორედ ამ მძიმე პერიოდში ისახელა თავი ბავარიელთა დებიუტანტმა. მან რამდენიმე ძნელად ასაღები ბურთი მოიგერია და გამძვინვარებულ სქოთურ კლუბს უპირატესობის გაღვივების საშუალება არ მისცა. ახალწვეულის დამაჯერებლობა პარტნიორებსაც გადაედოთ და შესვენების შემდეგ თამამმა ძირითადად უკვე მასპინძელთა ნახევარზე გადაინაცვლა. მასირებული დაწოლა ლოგიკური შედეგით დასრულდა – უკანასკნელ, 90-ე წუთზე (ვინ იცის, ეს უკვე მერამდენედ) გარნატის ყუმბარისებურ საჯარიმოს სანტა კრუზის რიკოშეტი და საპასუხო გოლი მოჰყვა – 1:1.

ქების ღირსია მოსკოვის „სპარტაკიც“, რომელმაც საშინაო შეხვედრა პრაღის „სპარტასთან“ 9 ფეხბურთელით ფრედ – 1:1 დაამთავრა. შვედმა მსაჯმა ნილსონმა მინდვრიდან კოვტუნი და რობსონი გააძევა. მასპინძლებმა ანგარიში მაშინ გაათანაბრეს, როცა ათნი თამაშობდნენ.

ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლა სტამბოლის „გალათასარაიც“, თუმცა „მილანის“ ორბურთიანი ფორის სრულად ამოქაჩვა თურქებმა ვერ მოახერხეს – 1:2.



„პორტუ“ – „ოლიმპიაკოსი“

# ჭეშმარიტება ბრძოლაში იბადება

კვლავ პარადოქსულად ასპარეზობს „ვალენსია“. გუნდი, რომელმაც ესპანეთის ჩემპიონატის სტარტზე ოთხივე მატჩი წააგო და ბოლო ადგილზეა, საერთაშორისო სარბიელზე შესაშურ შემართებას ავლენს და ქვეჯგუფის სათავეში იმყოფება. ჰექტორ კუპერის კლუბმა ამჯერად ჰოლანდიაში იყოჩაღა – ყრუ დაცვით მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა „ეინდჰოვენთან“ – 1:1. აღსანიშნავია, რომ ესპანელებსაც მეკარის პრობლემამ შეახსენა თავი – ეროვნული ნაკრების წევრი კანისარესი მეორე ტაიმის დასაწყისში დაშავდა და ადგილი დუბლიორ პალოპს დაუთმო, რომელმაც საპასუხო ბურთი საეჭვო პენალტით გაუშვა.

გია პლატონიშვილი.



„ეინდჰოვენი“ – „ვალენსია“

### გაუწყებთ განვლილი ბატალიების სრულ შედეგებს:

„ე“ ჯგუფი

„პორტუ“ – „ოლიმპიაკოსი“ 2:0,

„რეალი“ – „მოლდე“ 4:1.

„პორტუ“ – 6, „რეალი“ – 4, „ოლიმპიაკოსი“ – 1, „მოლდე“ – 0 ქულა.

„ვ“ ჯგუფი

„ეინდჰოვენი“ – „ვალენსია“ 1:1,

„გლაზგო რეინჯერსი“ – „ბაიერნი“ 1:1.

„ვალენსია“, „ბაიერნი“ – 4-4, „ეინდჰოვენი“, „გლაზგო რეინჯერსი“ – 1-1 ქულა.

„ზ“ ჯგუფი

„სპარტაკი“ – „სპარტა“ 1:1,

„ბორდო“ – „ტილბურგი“ 3:2.

„სპარტაკი“, „ბორდო“ – 4-4, „სპარტა“ – 2, „ტილბურგი“ – 0 ქულა.

„თ“ ჯგუფი

„ჰერტა“ – „ჩელსი“ 2:1,

„მილანი“ – „გალათასარაი“ 2:1.

„ჰერტა“, „მილანი“ – 4-4, „გალათასარაი“, „ჩელსი“ – 1-1 ქულა.



„მილანი“ – „გალათასარაი“

## ჩოგბურთი

### „ალდაგის თასზე“

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ და საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ერთობლივი ინიციატივით გაიმართა საინტერესო ტურნირი – „ალდაგის თასი“. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ერთეულთა თანრიგში ქალთა შორის უძლიერესი იყო საერთაშორისო ორგანიზაცია „მსოფლიო სასურსათო პროგრამის“ თანამშრომელი პასკალ კრაუსი, რომელმაც ფინალში ინა დობრესს („ევროპის სასურსათო პროგრამა“) სძლია. მესამე ადგილზე ინა მუდი (ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო) გავიდა. მამაკაცებში ყველას აჯობა სერთიფიკაციის სამმართველოს უფროსმა გია მანჯგალაძემ. ფინალში მან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი დაჯაბნა. მესამე იყო ქართველთა სიძე, ისრაელის ელჩი საქართველოში იეჰუდ ეიტამი.

წყვილთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი ვალერი ჩეჩელაშვილისა და კარლო მეზურნიშვილის (სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“) დუეტმა დაიკავა. მათ ედნარ დიასამიძის (თბილისში აჭარის წარმომადგენლობის თანამშრომელი) და გიორგი ზედგენიძის (საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციის თანამშრომელი) წყვილს სძლიეს.

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. გადაწყდა, რომ „ალდაგის თასის“ გათამაშება ტრადიციული გახდეს.

გარი ამირხანოვი.

## ყოველი მხრიდან

### პრეზიდენტი კუჩმა: მატჩი „ლუჟნიკებში“ შედგება

როგორც უკვე ვწერდით, დიდ შეშფოთებას იწვევს რუსეთში მომრავლებული ტერაქტების გამო 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის – რუსეთ-უკრაინა-გამართვის ბედი. ეს ბუნებრივიც არის, რადგან საქმე ეხება ადამიანების – სპორტსმენებისა და მათი ქომაგების სიცოცხლის უსაფრთხოებას. ლაპარაკი იყო მატჩის მოსკოვიდან სხვა ქალაქში, ანდა სულაც მესამე ქვეყანაში გადატანის შესახებ.

მაგრამ, როგორც უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა აცხადებს, შესარჩევი მატჩი აუცილებლად მოსკოვში უნდა შედგეს: „შეხვედრა გაიმართება ყველანაირ ამინდში. რუსეთს შეუძლია უსაფრთხოების უზრუნველყოფა“, – განუცხადა პრეზიდენტმა ჟურნალისტებს, – „ეს ღირსების საქმეა“, დაუმატა მან და თან ორივე ნაკრებს მეგობრული და საინტერესო თამაში უსურვა.



### ცურვით – იამაიკიდან კუბამდე

ოთხ წელიდან წინა ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზე ამოვიდა კუბის აღმოსავლეთის გრანმას პროვინციის სანაპიროზე. ავსტრალიელმა მოცურავე ქალმა სიუზი მარონიმ კარიბის ზღვაში 36 საათი გაატარა, დაამყარა მსოფლიო რეკორდი და გახდა პირველი ადამიანი, ვინც იამაიკიდან კუბამდე გაცურა.

ამ გრანდიოზულ მოგზაურობას სტარტი წინა ორშაბათს მიეცა. თავდაპირველად საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ ბაჰამის კუნძულებთან ქარიშხალ „ფლოიდისაგან“ აბობოქრებულმა ზღვამ მრავალი დაბრკოლება შეუქმნა. ტალღებმა მარონის ზვიგენებისაგან დამცავი გალია და სპეციალური ტივი მოსტაცა, რომელიც ლითონის კონსტრუქციებს ჩაძირვის საშუალებას არ აძლევდა. ჩასაძირად განწირულმა გალიამ მას სხეული დაუზიანა. დამწვრობები კი მედუზებისაგან მიიღო. გაცურვის დამთავრებისთანავე 24 წლის სიუზი საავადმყოფოში გააქანეს. სამედიცინო შემოწმებამ ცხადყო, რომ მამაც ქალიშვილს არავითარი საფრთხე არ ემუქრება და მანაც დასასვენებლად სასტუმროს მიაშურა.

**სურათზე: მამაცი ავსტრალიელი მოცურავე ქალი სიუზი მარონი კუბის სანაპიროზე.**



### „ოქროს ბიჭუნას“ კრახი

ლას-ვეგასის ერთ-ერთ სამორინეში მოხდა ის, რისაც ბევრ ამერიკელ კრივის მოყვარულს ეშინოდა და თან მოუთმენლად ელოდა – პროფესიული კრივის „ოქროს ბიჭუნამ“ მსოფლიოს ჩემპიონმა WRC და WRA ვერსიებით 66,7 კილოგრამამდე წონაში, ამერიკელმა ოსკარ დე ლა ჰოიამ ქულებით წააგო 12-რაუნდიანი ბრძოლა IBF ვერსიით ოქროს ქამრის მფლობელთან პუერტორიკოელ ფელიქს ტრინადადთან.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ორთაბრძოლამ არნახული აჟიოტაჟი გამოიწვია. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ჰოიამ 32 ბრძოლიდან 31-ში გაიმარჯვა. აქედან – 25-ში ნოკაუტით, თანაც ამას წინათ ოსკარმა გააფორმა კონტრაქტი 7 ბრძოლაზე, რისთვისაც სულ ცოტა 150 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. ამდენს დღეს არავინ ღებულობს. თვით სუპერ-მოკრივეც კი.

26 წლის ტრინადადი თავის მეტოქეზე ერთი თვით უფროსია, მაგრამ თავისი პირველი ტიტული 20 წლისამ მოიპოვა – 2 წლით ადრე ოსკარზე. ჩემპიონის ოქროს სარტყელი 14-ჯერ დაიცვა. 36 ორთაბრძოლიდან ყველაში გაიმარჯვა, თანაც 30-ჯერ – ნოკაუტით. ამიტომაც დაუნდობელი ნოკაუტორის სახელი დაიმსახურა.

ბრძოლის წინ ტრინადადის პრომოუტერი დონ კინგი მილიონ დოლარზე დაენიძლავა მეტოქის მენეჯერს ბობ არუმს, რომ მისი ფალავანი გაიმარჯვებდა, მაგრამ ის სანაძლეოზე არ დათანხმდა.

ამ გამარჯვებისათვის ტრინადადმა 8,5 მილიონი დოლარი მიიღო, დამარცხებულმა ჰოიამ კი (ამერიკელი ქალებისა და ტელემაყურებლების კერპმა) თავის ფულებს კიდევ 21 მილიონი დოლარი შემატა.

**სურათზე: ფელიქს ტრინადადმა (მარჯვნივ), „ოქროს ბიჭუნას“ გამარჯვებებს წერტილი დაუსვა.**

## კარტინგი

### დასკვნითი ეტაპის წინ

რუსთავის ავტოდრომზე გაიმართა საქართველოს ღია ჩემპიონატის ბოლოსწინა, IV ეტაპი კარტინგში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სტუმრებმა სომხეთიდან. საერთოდ კი ჯილდოებს ერთმანეთს ეცილებოდა 23 მონაწილე. გამარჯვებულნი და პრიზიორები ვლინდებოდნენ სამ ცდაში დაგროვილი ქულების ჯამის მიხედვით. კლასებში „მინი“, „პრომო“ და „სუპერ-ა-ში“ პირველი ადგილები შესაბამისად დაიკავეს თბილისელებმა აკაკი ახალაიამ, გუგა გაბუნიამ და გიორგი ოება-იძემ. „ცეროდენას“ კლასში საუკეთესო იყო მიხეილ ეორობიოვი თელავიდან, ხოლო „სუპერ-ც“ კლასში ყველას აჯობა ერევნელმა არსენ სარქისოვმა.

საქართველოს ღია ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი გაიმართება 10-11 ოქტომბერს.

ამირან გაბრიაძე.

სპორტის რედაქცია.

## ქველმოქმედება

ჩვენი დოსიე: ომარ გოგია დაიბადა სენაკის რაიონის სოფელ ლეძაძამეში. დიდი ოჯახი, სადაც რვა და-ძმა იზრდებოდა, ღარიბულად ცხოვრობდა, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის სავაჭრო ტექნიკუმში, იქიდან სწავლის გასაგრძელებლად ქალაქ სტავროპოლს მიაშურა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი წარმატებით დაასრულა. მერე მთელი ცხოვრება შრომაში გაატარა. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი, ხუთი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი.

# ბოლომდე გახსნილი გულის კარი



17 წელიწადი იმუშავა სტავროპოლში, კომერციულ საქმიანობას მისდევდა. იმ დროისათვის ეს აკრძალულ ხელობად ითვლებოდა. შემდგომ ბრუნდება სოხუმში, სადაც მისი დიდი ოჯახი იმყოფებოდა. ჩამოსვლისთანავე შექმნა საწარმო „გრუზია". მასში გაერთიანებული იყო გულრიფშის რაიონის საგზაო სამმართველო, „ცეკავშირის" ადგილობრივი ავტოსატრანსპორტო კანტორა, რაიონის ხე-ტყის ბაზა და სხვა. 1991 წელს საწარმოს საკუთრებაში შევიდა სოხუმის ავეჯის ფაბრიკა და სასტუმრო „ტურისტი". სისტემაში მთლიანად დასაქმდა 850 კაცი. მაშინდელი თანამშრომლები იხსენებენ, რომ მუშა-მოსამსახურეთა სასადილოში უფასოდ იკვებებოდნენ. იმ პერიოდში ობიექტებს ოფიციალურად იცავდა მილიციის 45 თანამშრომელი, რომლებიც ხელფასს ამ საწარმოში იღებდნენ. საწარმოს ჰქონდა კერძო ბანკიც.

სამწუხაროდ, მშვიდობიანი ცხოვრება და საქმიანობა დიდხანს არ გაგრძელდა. აფხაზეთში ომი დაიწყო. იმ დროისათვის საწარმოს სისტემაში საქონლის ნაშთის ღირებულება ოთხ მილიარდ მანეთს აღემატებოდა. საწარმო ფლობდა 60-მდე მსუბუქ და სატვირთო ავტომანქანას. ომის დაწყებამდე სამიოდე დღით ადრე სოჭიდან და გაგრიდან მიიღეს საკუთარი ფულით შეძენილი 14 „ვოლგა". მალე სისტემას მხოლოდ ერთი „მოსკვიჩი" შერჩა, დანარჩენი ძალით თუ ნებით წაიყვანეს. სასტუმრო „ტურისტის" ნომრებში იდგა ახალი იმპორტული ავეჯი და ფერადი ტელევიზორები. სასტუმროს ჰქონდა თავისი რესტორანი, როგორც ალკოჰოლიანი სასმელების, ასევე სურსათის საკმაოდ დიდი მარაგით, ყველაფერი დაიკარგა, ყველაფერი განადგურდა.

როცა სოხუმში დარჩენა აღარ შეიძლებოდა, ომარ გოგია მოსკოვში წავიდა. ჩასვლიდან რამდენიმე დღეში, იქაური მეგობრების ხელშეწყობით, ერთ-ერთი დიდი კომერციული ფირმის გენერალური დირექტორი გახდა...

როგორც ცნობილია, სოხუმის დაცემის შემდეგ, როგორც რუსეთის სხვა ქალაქებში, ისე მოსკოვშიც აფხაზეთიდან უამრავი დევნილი ჩავიდა: ქართველები, რუსები, აფხაზები, სომხები... ისინი მადლიერების გრძნობით იხსენებენ იმას, რაც ომარ გოგიამ იმ პერიოდში მათთვის გააკეთა: რუსეთშიც და საქართველოშიც ბევრს დაეხმარა ფულით.

ომარ გოგია უდიდეს საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. 1994 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფასოდ გამოუგზავნა 50 მილიონი მანეთის ფორმის ტანსაცმელი, 1996 წელს კი ასევე მოსკოვიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებისათვის გამოგზავნა საზაფხულო და საზამთრო სპეცტანსაცმელი. ცხადია, ისიც უფასოდ. მაშინვე სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლით უფასოდ შემოსა სენაკის რაიონის პოლიციის პირადი შემადგენლობა. ასევე, სენაკის რაიონის ფეხბურთელთა გუნდი „ეგრისი" მთლიანად დააკმაყოფილა სპორტული ფორმით, თან ფულადი დახმარებაც გაუწია. ამ რამდენიმე თვის წინათ კი ომარ გოგიამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის 200 კურსანტისათვის შეაკერინა პოლიციის ფორმის ტანსაცმელი. ბატონ ომარს განზრახული აქვს კიდევ უფრო გააძლიეროს აკადემიისადმი დახმარება და ხელშეწყობა.

შემდგომ, როცა ჩვენს ქვეყანაში ვითარება დაწყნარდა, ომარ გოგიას, ისე როგორც ბევრ ჩვენს თანამემამულეს, გულმა მშობლიური მხარისაკენ გამოუწია. სენაკში სახლი ააშენა, ოჯახი ჩამოიყვანა. ქალაქის ცენტრში ხანძრისგან დამწვარ-განადგურებული შენობა შეიძინა, განაახლა და ცენტრალური უნივერსამი გახსნა. ასე თანდათანობით ისევ დამკვიდრდა მშობლიურ ქვეყანაში. ჯერ იყო და რუსეთის სასაზღვრო ჯარების სარდლობაში მსახურობდა, სერიოზული თანამდებობაც ეკავა, იქვე მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. ახლახან ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი გახდა და აკადემიის უფროსის მთავარ მრჩევლად დაინიშნა. აფხაზეთიდან დევნილი ომარ გოგია ყოველდღიურად ფიქრობს და ელოდება აფხაზეთში დაბრუნებას, აქტიურად მონაწილეობს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ყოველდღიურ საქმიანობაში, ძალოვან სტრუქტურებში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მთავარი სახელმწიფო მრჩევლის თანამდებობაც შეითავსა.

ომარ გოგია ქველმოქმედებას არ იშლის. სენაკელებსაც ბევრს ეხმარება, მაგრამ მისი უმთავრესი საფიქრალი და ყოველდღიური საზრუნავი აფხაზეთიდან დევნილებია. განზრახული აქვს შემოიტანოს და სენაკის, მარტვილის და აბაშის რაიონებში განსახლებულ აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახებს უფასოდ დაურიგოს ათობით ტონა პურის ფქვილი და შაქარი.

ბელა ნარსია – ლეძაძამეს საკრებულოს თავმჯდომარე – სოფელში ახალ სკოლას ვაშენებთ. მაგრამ ამას, სოფლის ბიუჯეტი ვერ გასწვდება. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია მშენებლობა უზრუნველვყოთ ადგილობრივი ხე-ტყის მასალით, მუშა-ხელით, მაგრამ ეს საკმარისი როდია. საჭიროა საკედლე მასალა, არმატურა, ცემენტი, სახურავი... ამიტომ გადავწყვიტეთ მივმართოთ ჩვენი სოფლის მკვიდრს ომარ გოგიასთვის და ვეთხოვა მხარში ამოდგომა. იმედიც გვაქვს, რომ ბატონი ომარი ზურგს არ შეგვაქცევს. ეს ჩვენი მოსახლეობისათვის დაუვიწყარი საჩუქარი იქნება. გვინდა ვალში არ დავრჩეთ და ცოტათი მაინც დავაფასოთ ბატონ ომარის დიდი ამაგი და ღვაწლი. წინასწარ ამის გამხელა არ გვინდოდა, მაგრამ დასამალიც რა გვაქვს? გადავწყვიტეთ, ახალ სკოლას, სადაც ის ბავშვობაში სწავლობდა, ომარ გოგიას სახელი დავარქვათ.

ღმერთმა ქნას, ეს ჩანაფიქრი ასრულებულიყოს!

**იოსებ გოგეჩია,**
„სრ" საკ. კორ.
ქ. სენაკი.

## კონკურსი

# განცხადება

**„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო სამსახურის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:**

| № | ბიუროს დასახელება | თანამდებობის დასახელება | ვაკანტური ადგილის რაოდენობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 12 | 21.70 ლარი |
| 2 | ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 11 | 21.70 ლარი |
| 3 | ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 9 | 21.70 ლარი |
| 4 | ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 12 | 21.70 ლარი |
| 5 | ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 9 | 21.70 ლარი |
| 6 | ამბროლაურის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 4 | 21.70 ლარი |
| 7 | ახალციხის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 5 | 21.70 ლარი |
| 8 | გორის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 14 | 21.70 ლარი |
| 9 | დედოფლისწყაროს რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 4 | 21.70 ლარი |
| 10 | ვანის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 2 | 21.70 ლარი |
| 11 | ზესტაფონის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 4 | 21.70 ლარი |
| 12 | ზუგდიდის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 8 | 21.70 ლარი |
| 13 | თელავის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 3 | 21.70 ლარი |
| 14 | ლაგოდეხის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 3 | 21.70 ლარი |
| 15 | მარნეულის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 9 | 21.70 ლარი |
| 16 | მესტიის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 1 | 21.70 ლარი |
| 17 | მცხეთის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 5 | 21.70 ლარი |
| 18 | ოზურგეთის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 5 | 21.70 ლარი |
| 19 | რუსთავის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 7 | 21.70 ლარი |
| 20 | საგარეჯოს რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 4 | 21.70 ლარი |
| 21 | სამტრედიის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 4 | 21.70 ლარი |
| 22 | სენაკის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 5 | 21.70 ლარი |
| 23 | ფოთის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 2 | 21.70 ლარი |
| 24 | ქუთაისის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 9 | 21.70 ლარი |
| 25 | ყაზბეგის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 1 | 21.70 ლარი |
| 26 | ჭიათურის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 3 | 21.70 ლარი |
| 27 | ახალქალაქის რაიონული სააღსრულებო ბიურო | სასამართლო აღმასრულებელი | 2 | 21.70 ლარი |

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას. კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის 21-დან 65 წლამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

● სასამართლო აღმასრულებლის თანამდებობაზე:
– უმაღლესი იურიდიული განათლება;
– ჩაბარებული აქვს სასამართლო აღმასრულებლობის საკვალიფიკაციო გამოცდა.

კონკურსს ატარებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო სამსახურის საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსის მონაწილენი გაივლიან ატესტაციას.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო სამსახურში უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია წერილობით განცხადებასთან ერთად;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

**დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე:**

**თბილისი, რუსთაველის გამზ. №30,
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
ტელ: 93-26-72**

**საქართველოს სახელმწიფო
კანცელარიის სახელმწიფო
სამსახურის ბიურო.**

## ხსოვნა



### გოგუცა დობორჯგინიძე

გარდაიცვალა ქ. თბილისის ბავშვთა №10 პოლიკლინიკის მედდა ქალბატონი გოგუცა დობორჯგინიძე, რომელიც 1955 წლიდან ემსახურებოდა პატარა პაციენტების ჯანმრთელობას. იგი უსაზღვროდ იყო შეყვარებული თავის პროფესიაზე და უხმაუროდ აკეთებდა საქმეს. კეთილშობილი, ნათელი, სიკეთით სავსე პიროვნება – ასე ემახსოვრებათ მუდამ ქალბატონი გოგუცა ახლობლებს, მეგობრებს და თანამშრომლებს.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი. მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს მიწა.

**ქ. თბილისის ბავშვთა №10 პოლიკლინიკის თანამშრომლები.**

შვილები თემურ, ეთერ გოგაევები, რძალი ლინა, სიძე გურამ, დები მურა, ეთერ დობორჯგინიძეები, სიძეები გივი და ჯოჯიკი, შვილიშვილები ირაკლი, თამუნა, გიორგი, ნინო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოგუცა ვიქტორის ასული დობორჯგინიძე

პანაშვიდი 23, 24 IX, 4 სთ, გამოსვენება 25 IX, 3 სთ-ზე სიმონ ჩიქოვანის (ყოფილი ხილიანი) ქ. №20, III სადარბაზო, II სართული.

მეუღლე რევაზი, შვილები მერაბი, მაია, შვილიშვილები გიორგი, ქეთი ბეროშვილები, და ელენე თინიკაშვილი, რძალი მაია, მძახლები დალი და გიორგი დარახველიძეები, მაზლები კოტე და შალვა ბეროშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთევან ვასილის ასული თინიკაშვილი

პანაშვიდი 24,25 IX, გამოსვენება 26 IX, 2 სთ. ნაძალადევის რაიონი, სუმბათაშვილ-იუჟინის (ყოფილი მუშკორის) 39.

მეუღლე სვეტა, და ნანა, შვილები ლალი, თამარი, სიძე ლერი დათაშვილი, შვილიშვილები სალომე, თინათინი, ზურაბი, მაგდა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ იონას ძე გიგინეიშვილი

პანაშვიდი 24,25 IX, 4 სთ. დაკრძალვა 26 IX, 2 სთ. დიღმის მასივი, V კვარტალი, მე-20 კორპუსი, I სადარბაზო, III სართული, ბინა 4.

მეუღლე ლამარა, შვილები მამუკა, ლაშა, ზვიადი, შვილიშვილი ბექა სულაბერიძე, ძმისწულები ნუგზარი, ირინა, პაატა, ლევანი, ცოლისდა ლილი კინწურაშვილი ოჯახით, რძლები ნინო არჯევანიშვილი, რუსუდან ჭიჭინაძე, სიძე ბადრი ფხაკაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნოდარ ერმილეს ძე სულაბერიძე

პანაშვიდი 23,24 IX, 5 სთ. გამოსვენება 25 IX, 3 სთ. თაქთაქიშვილის (რიგის) ქ. №4.



საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ონის რაიონის საგადასახადო ინსპექციის ყოფილი მთავარი საგადასახადო ინსპექტორი

ნიკოლოზ დავითის ძე გობეჯიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქ. თბილისის სამგორის რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე

ნოდარ ანტონის ძე მარგიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 23,24 სექტემბერს, დაკრძალვა 25 სექტემბერს 2 საათზე. მისამართი: ქ. თბილისი, ორხევის დასახლება, წუწუნავას ქ. №18.

სააქციო საზოგადოება „თბილგაზის" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ შპს „თბილწყალკანალის" გენერალურ დირექტორს იუზა ცარციძეს მამის

შალვა ცარციძის

გარდაცვალების გამო.

ქალაქ ჭიათურის პროკურატურის ყოფილი თანამშრომლები ვაჟა გელაშვილი, კუკური მიროტაძე, გოგი გაფრინდაშვილი, გივი მჭედლიშვილი, გალინა აბდუშელიშვილი, სულიკო შეყილაძე, დარიკო აბდუშელიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვილი იოსების ძე კაკულია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის საგამოძიებო სამმართველო გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილეს ნიკოლოზ ჯანიბეგაშვილს სიმამრის

ვილი კაკულიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურა იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის პროკურატურის თანამშრომელი

ვილგელმ კაკულია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მამა ზურაბი, მეუღლე ნატო კილასონია, შვილები სოფიკო, თორნიკე, საბა და თამუნა, დეიდა ციცო, ბიძა ომარ მაღრაძეები, დისშვილი ირაკლი ჩომახიძე, სიდედრი ნაზი, ცოლისძმა ზურაბი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ზურაბის ძე ქლენტი.

გამოსვენება 23 IX, 3 სთ. გ. ჭავჭავაძის (შეროზიას) 5.

## ხუთშაბათი – 23 სექტემბერი

**I არხი**

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 9.18 ტელემაღაზია. 9.30, 23.20 ვიდეოპატრული-02. 9.45 მხ.ფ. „ჩიტი მავთულზე". 11.35 ქორწინუსი. 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 12.15 ტელე-სინევიდეო. 12.45 საქმე 13.05 ვიზიტი. 13.25 მულტფილმი 14.45, 19.50 მაესტრო. 15.15 გრიფით საიდუმლოდ. 15.35 მხ.ფ. „სერპიკო". 17.40 მესაკუთრე. 18.10 ლატარია „ოქროს გასაღები". 18.35 რამპა. 18.45 სერიალი „დალასი". 19.35 „ბასტი-ბუბუ". 20.50 „რა ხდება?!" 21.35 კავკასიური სამკუთხედი. 22.00 ვესტნიკი. 22.25 მრავალსახეობა. 23.00 ეკოდაიჯესტი. 23.35 ტაქსი. 23.45 ნამდვილი ამბები. 0.15 კომუნიკატორი. 0.45 მხ.ფ. „იცნობდეთ, ჯო ბლეკი".

**II არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 19.40 რაინდები. 20.00 ორატორი. 20.10 დოკ.ფ. 21.10 სერიალი „ანტონელა". 22.00 შეიდეული. 22.25 მხ.ფ „როკი-4". 0.05 ჰიტ-პარადი.

**[illegible]**

11.30, 18.05, 20.05, 22.15 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩრდილი. 11.50 მხ.ფ. „კატა-თაგვობანა". 18.10, 18.35, 19.05, 22.20 მუსიკა. 18.15 ნახ.ფ. 18.40 დოკ.ფ. „ველური ბუნება". 19.10 ტელესერიალი „ზინძური ცეკვები" - II სერია. 20.35 მხ.ფ. „მალჰოლანდის კლდე". 22.20 მხ.ფ. „ადამიანი ვარსკვლავებიდან". 0.05 დოკ.ფ „ბრძოლა წესების გარეშე". 0.40 სერიალი „მიჰაილი".

**[illegible] 2**

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტფილმი. 18.10, 20.20, 21.45, 0.45 მუსიკა. 19.00 სპექტრი. 21.00 ვარსკვლავები. 22.00, 0.15, 0.50 მხ.ფ. „ნათლიმამის გზა" 3.05 მუს. კალეიდოსკოპი.

**[illegible]**

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 „ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 1.00 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 21.50 მხ.ფ „ნიკიტა". 10.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა. 10.30, 19.10 „ნაითმენი". 11.20, 20.05 „გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 „კორდიე". 18.15 „სიყვარულის ოცნებები". 18.40 აკუნა მატატა. 23.30 მხ.ფ „შუამავალი". 1.10 კლასიკა.

**[illegible]**

11.00, 18.00, 22.00, 0.00 „სტუდია-25". 11.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი „მხოლოდ შენ". 14.15 მხ.ფ. „შავი ნეიმა". 18.05, 20.30 მუსიკა. 19.00 „ზვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 20.35 პოლიტიკური პორტრეტი. 21.35 „ფეხბურთის ლეგენდები". 22.30 გადაცემა „გასაღები". 23.00 მხ.ფ. „ნილოსის განძი".

**1ST**

8.00 ტონიკი. 10.30 მხ.ფ. „თევზი სახელად ვანდა". 12.20 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმი. 19.20 მხ.ფ. „დათვი სახელად „არტური". 20.50 მხ.ფ. „კლასი 1999". 22.35 მხ.ფ. „ქალის სურნელი". 1.10 მხ.ფ „ბლეიდი". 3.10 ნონსტოპ.

**საქართველოს სმა**

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.00 ექო. 10.15, 17.15 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტპროგრამა. 13.05, 15.45, 21.00, 23.30, 1.15 მხ.ფ. 15.00 მუსიკა. 19.30 მშობლიური სტადიონებზე

**ОРТ**

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.00 Новости. 10.15, 20.45 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Джентльмен-шоу". 11.40 "Человек и закон". 12.25 Жизнь замечательных людей. 13.15 Телеканал "Добрый день". 14.00 Х/Ф "ВЫЗЫВАЕМ ОГОНЬ НА СЕБЯ". 15.30 "Вместе". 16.15 Возможно все. 16.35 "Улица Сезам". 17.00 "... До 16 и старше". 17.30 Х/Ф "ИЩИТЕ ЖЕНЩИНУ". 19.20 "Маски-шоу". 19.45 "Здесь и сейчас". 20.05 "Старые ключи". 21.45 "Спокойной ночи, малыши!". 22.00 Время. 22.40 "Однако". 22.50 Х/Ф "ВАС ОЖИДАЕТ ГРАЖДАНКА НИКАНОРОВА". 00.25 "Экстренный вызов". 01.15 Сериал "ПЯТНИЦА, 13-Е". 02.00 Сериал "СЛУЖБА НОВОСТЕЙ".

**РТР**

07.30, 10.20 ДОБРОЕ УТРО, РОССИЯ. 08.00, 09.00, 10.00, 14.00, 18.00, 20.00, 22.00, 2.00 ВЕСТИ 10.15, 01.45 Дежурная часть. 10.20 "Ле Монти". 10.30 "Арена-спорт". 11.00 "МИЛЕДИ". Сериал 11.50 Сериал "ЛЕТО НАШЕЙ ТАЙНЫ". 12.50, 13.50 "Гомеопатия и здоровье". 13.00 "Урмас Отт с Андреем Вознесенским". 14.20 "Два рояля". 15.10 "АНТОНЕЛЛА". Сериал 16.05 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ". 17.00, 03.15 "Магазин на диване" 17.30 Мультфильм. 18.20 БАШНЯ. 18.55 Сериал "КОМИССАР РЕКС". 20.30 Клуб "Белый попугай". 21.00 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ". 22.45 Х/Ф "ПАТРИОТ". 00.30 "Театр + TV. Школа современной пьесы". 01.30. "Народ хочет знать" Ток-шоу. 02.20 Горячая десятка.

**НТВ**

07.00, 07.30, 07.45, 08.00, 08.30, 08.45, 09.00, 09.30 Сегодня утром. 07.20, 08.20, 09.20, 19.40 "Криминал". 07.35 "Карданный вал". 07.50, 09.45, 18.25 "Впрок". 08.35 Мультфильм. 08.50 "Большие деньги". 09.55, 21.50 Сериал "Д.Д.Д. ДОСЬЕ ДЕТЕКТИВА ДУБРОВСКОГО". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.25 Х/Ф "ВАШ СЫН И БРАТ". 13.30 Х/Ф "ИНСПЕКТОР ЛОСЕВ". 15.30, 20.55 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ". 16.25 "Дог-шоу". 17.30 Сериал "ЗАХВАТЧИКИ". 18.50 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ" (США). 20.35 Герой дня. 23.45 Сериал "ГРАФ МОНТЕ-КРИСТО". 00.45 "Сегоднячко". 01.25 "Сегодня в полночь". 01.45 "Антропология".

**ТВ6**

16.00, 18.00 ТСН-6. 16.05, 17.25 Мультфильм. 16.15 Телемагазин. 16.40 Сериал "ПРОСТО МАРИЯ". 18.10 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ ШЕРЛИ ХОЛМС". 18.40, 00.55 Диск-канал. 19.15, 23.45 Дорожный патруль. 19.30, 00.15 Сериал "ГРЕЙС В ОГНЕ 4". 19.55 Сериал "СКАРЛЕТТ". 21.00 Новости дня. 21.20 В мире людей. 21.40 О.С.П.-студия. 22.40 Сериал "ПСИ-ФАКТОР". 23.30 Современник. Открытие сезона. 00.00 Шесть новостей дня. 00.40 Те Кто. 01.30 Сериал "ЭРОТИЧЕСКИЕ ПРИЗНАНИЯ". 02.00 Знак качества.

**ТВ-ЦЕНТР**

07.00, 09.15 Утренний телеканал. 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 События. 10.00, 12.45 Парад плюс. Выбери песню. 10.15 Музыкальная программа. 10.45, 00.20 "Петровка, 38" 11.00, 00.30 Сериал "МИССИЯ НЕВЫПОЛНИМА". 12.15 Английский док. сериал "Закон любви". 13.00, 18.15 Телеканал "Дата". Взгляд из виртуальной студии. 14.00 Х/Ф "РЕБЕНОК НА ВРЕМЯ". 15.15 Мультверсия знаменитой комедии "ТУПОЙ И ЕЩЕ ТУПЕЕ". 15.45 "От и до...". 16.00 Сериал "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 17.30 "Сразись с чемпионом". 19.15 "Деловая Москва". 21.55 Х/Ф "ПРИГОВОР ВРЕМЕНИ". 23.45 События одной строкой. 23.50 "Постскриптум". 00.00 ВРЕМЕЧКО 01.30 ВРЕМЕЧКО. "Ночной полет" 02.00 Молодежный канал "Да".

**DISCOVERY**

19.00 Катастрофы. 19.30 Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.00 Мир будущего. 20.30 Всепоглощающая страсть. 21.00 Линия полета. 21.30 Поворотные моменты истории. 22.00 Ветеринар. 22.30 Живая Европа. 23.30 Катастрофы. 0.00 Детективы-медики. 1.00 Криминалисты. 2.00 Архивы ФБР. 3.00 Лучшее из Британии: Нортон. 4.00 Планета Океан. 5.00 Линия полета. 5.30 Поворотные моменты истории. 6.00 Красивое решение.

**МИР КИНО**

11.35, 19.10 Сериал "Ностромо". 12.30 Х/Ф "Мечта каждой женщины". 14.00, 18.55, 01.00 КиНовости. 14.10 Х/Ф "Искатель сенсаций". 15.45 Х/Ф "Грешники". 17.15 Х/Ф "Мост". 20.05 Х/Ф "Школа выживания". 21.40 Х/Ф "Лунная крепость". 23.05 Х/Ф "Берсальеры идут". 01.10 Х/Ф "Лепрекон".

**EUROSPORT**

11.30 Водные лыжи. Кубок мира. 12.00 Гольф. 13.00 Теннис. 15.00 Мотогонки. 15.30 Триал. Чемп. мира. 16.00 Теннис. Франция. 17.30 Гонки на воздушных шарах. Чемп. мира. 18.00 Велогонки. 20.00 "Формула-3000". 21.30 Гонки на грузовиках. Кубок Европы. 22.00 Экстремальный спорт. 23.00 Мотоспорт. 00.00 Самый сильный человек. 01.00 Бокс. 02.00 Футбол. Легенды чемпионата Европы. 03.00 Велогонки. 04.00 Мотоспорт.

# იმპორტიორების საყურადღებოდ!

1999 წლის 1 ოქტომბრიდან ITS-ის საქართველოს წარმომადგენლობა აღარ განახორციელებს იმ ტვირთის დანიშნულების ადგილზე ინსპექტირებას, რომელიც ამ დროისათვის იქნება ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე და, შესაბამისად, არ გასცემს იმპორტის გადასახადის მოწმობას (სერტიფიკატს). დანიშნულების ადგილზე ინსპექტირება განხორციელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში საბაჟო დეპარტამენტის ITS-ის ოფისისადმი საგანგებო მოთხოვნის საფუძველზე.

საიმპორტო პროცედურების გამარტივებისა და გადაზიდვამდე ინსპექტირების მომსახურების სრულფასოვანი განხორციელების მიზნით, იმპორტიორმა უნდა უზრუნველყოს მის მიერ განზრახული საიმპორტო ოპერაციის წინასწარი განცხადება ITS-ის საქართველოს წარმომადგენლობაში (მარჯანიშვილის ქ. №9) გამომგზავნ ქვეყანაში საიმპორტო საქონლის ჩატვირთვამდე სულ მცირე 7 დღით ადრე. (ანუ, ტვირთი, რომელიც 1 ოქტომბერს ჩაიტვირთება, განცხადებული უნდა იქნას არა უგვიანეს 23 სექტემბრისა). ამის შემდეგ ITS უზრუნველყოფს საქონლის საქართველოში ტრანსპორტირებამდე ინსპექტირებას ექსპორტიორ ქვეყანაში. რის შემდეგაც იმპორტიორს მიეცემა ტვირთის საქართველოში შემოტანის უფლება.

**საბაჟო სახელმწიფო
დეპარტამენტის
პრესსამსახური.**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი – შპს „პრესა-98"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოგულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
როლანდ ბასილაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.